

# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები







EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები



COUNCIL OF EUROPE    CONSEIL DE L'EUROPE

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013

გაეროს ბავშვთა ფონდი  
ერისთავის ქ 9, გაეროს სახლი  
0179, თბილისი, საქართველო

ტელ: 2 25 11 30, 2 23 23 88  
ელ.ფოსტა: [tbilisi@unicef.org](mailto:tbilisi@unicef.org)  
[www.unicef.ge](http://www.unicef.ge)

პუბლიკაცია იბეჭდება ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

## სარჩევნი

---

<b>საქმე ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ</b> (განაცხადი #24724/94) .....	5
<b>ს.ქ-ს საქმე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ</b> (განაცხადი #60958/00) .....	55
<b>საქმე სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ</b> (საჩივარი No. 36391/02) .....	75



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმე ტ. გარტიანიძის სამეფოს წინააღმდეგ

(განაცხადი #24724/94)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

16 დეკემბერი, 1999 წ.





## საქმეში ტ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელიც შეიკრიბა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 27-ე მუხლის შესაბამისად, 11-ე ოქმის<sup>1</sup> ცვლილებებისა და სასამართლოს სათანადო პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით,<sup>2</sup> დიდი პალატის სახით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მოსამართლეები:

ბ-ნი ლ. უილდჰაბერი, თავმჯდომარე,  
 ქ-ნი ე. პალმი,  
 ბ-ნი ც.ლ. როზაკისი,  
 ბ-ნი ა. პასტორ რირუეხო,  
 ბ-ნი გ. რესი,  
 ბ-ნი ჯ. მაკარჟიკი,  
 ბ-ნი პ. კიურისი,  
 ბ-ნი რ. თიურმენი,  
 ბ-ნი ჯ.პ.კოსტა,  
 ქ-ნი ფ. ტალკენსი,  
 ბ-ნი ც. ბირსანი,  
 ბ-ნი პ. ლორენცენი,  
 ბ-ნი მ. ფიშბახი,  
 ბ-ნი ბ. ბუტკევიჩი,  
 ბ-ნი ჯ. კასადევალი,  
 ბ-ნი ა.ბ. ბაკა,  
 ლორდი რიდი, *ad hoc* მოსამართლე,

და აგრეთვე ბ-ნი პ.ჯ. მაჰოუნი, რეგისტრატორის მოადგილე, 1999 წლის 15 სექტემბერსა და 24 ნოემბერს განმარტოებით ითათბირა და გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ბოლოს მითითებულ დღეს:

## პროცედურა

1. საქმე სასამართლოს გადაეგზავნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) მიერ 1999 წლის 4 მარტს და ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ 1999 წლის 6 მარტს, კონვენციის უწინდელი 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47-ე მუხლით დადგენილი სამთვიანი ვადის ფარგლებში. მას საფუძვლად უდევს ბრიტანეთის მოქალაქე ტ-ს მიერ, 1994 წლის 20 მაისს უწინდელი 25-ე მუხლის შესაბამისად გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ კომისიაში შეტანილი საჩივარი (no. 24724/94). განმცხადებელმა სთხოვა სასამართლოს, არ გამჟღავნებულიყო მისი ვინაობა.

სახელმწიფოცა და კომისიაც სასამართლოსგან მოითხოვედა, მიეღო გადაწყვეტილება, იმასთან დაკავშირებით, არღვევდა თუ არა საქმეში წარმოდგენილი ფაქტები მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-3, მე-5, მე-6 და მე-14 მუხლებს.

2. დიდი პალატის კოლეგიამ 1999 წლის 31 მარტს, ოქმი #11-ის მე-5 მუხლის § 4-ის, და ამასთან ერთად წესი 100 § 1-სა და წესი 24 § 6-ის დებულებების შესაბამისად დაადგინა, რომ მოცემულ საქმეს სასამართლოს დიდი პალატა შეისწავლიდა. დიდ პალატაში *ex officio* შედიოდნენ: ნიკოლას ბრატზა, მოსამართლე არჩეული გაერთიანებული სამეფოდან (კონვენციის 27-ე მუხლი § 2 და წესი 24 § 4), ბ-ნი ლ. უილდჰაბერი (სასამართლოს თავმჯდომარე), ქ-ნი ე. პალმი და ბ-ნი ც.ლ. როზაკისი (სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტები), და ბ-ნები გ.რესი, ჯ.პ. კოსტა და ფიშბახი (სექციის ვიცე-პრეზიდენტები) (კონვენციის 27-ე მუხლი § 3 რეგლამენტის მუხლი 24 §§ 3 და 5 (ა)). დიდი პალატის შესავსებად დანიშნული წევრები იყვნენ: ბ-ნები ა. პასტორ რირუეხო,

<sup>1</sup> მდივნის შენიშვნა 1-2. ოქმი No. 11 და სასამართლოს რეგლამენტი ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბერს.

გ. ბონელო, ჯ. მაკარჟიკი, პ. კიურისი, რ. თიურმენი, ც. ბირსანი, პ. ლორენცენი, ვ. ბუტკევიჩი და ქ-ნები ფ.ტალკენსი და ვ. სტრაჟნიკა, (რეგლამენტი 24 § 3). მოგვიანებით ბ-ნმა ნიკოლას ბრატზამ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კომისიის მიერ საქმის განხილვაში, უარი განაცხადა დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობაზე (წესი 28). შესაბამისად, სახელმწიფომ დანიშნა ლორდი რიდი, *ad hoc* მოსამართლედ (კონვენციის 27-ე მუხლი § 2 და წესი 29 § 1). მოგვიანებით ბ-ნი ბონელო, რომელმაც ველარ შეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა, შემცვლელმა მოსამართლემ - ბ-ნმა ბაკამ შეცვალა (რეგლამენტი 24-ე მუხლი § 5 (ბ)).

3. 1999 წლის 23 ივნისს პრეზიდენტმა გადაწყვიტა გაეუქმებინა სახელმწიფოსა და განმცხადებლის მიერ სასამართლოში წარდგენილი ყველა დოკუმენტის ხელმისაწვდომობა და სასამართლო სხდომა დახურულ კარს მიღმა ჩაეტარებინა (წესი 33 §§ 2 და 3).

4. 1999 წლის 1 ივნისს პრეზიდენტმა დართო ნება არასამთავრობო ორგანიზაცია „მართლმსაჯულებას“ და ბ-ნ ბულგერს და ქ-ნ ფერგუსს - ვ-სა და განმცხადებლის მიერ (იხილეთ ქვემოთ პუნქტი მე-7) მოკლული ბავშვის მშობლებს საქმესთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები წარმოედგინათ (კონვენციის მე-36 მუხლი § 2 და წესი 61 § 3). 1999 წლის 6 სექტემბერს პრეზიდენტმა ნება დართო მსხვერპლის მშობლებს, დასწრებოდნენ სასამართლო განხილვას და ზეპირად დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია (წესი 61 § 3).

5. განხილვა გაიმართა 1999 წლის 15 სექტემბერს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, „ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ საქმის განხილვასთან ერთად (განაცხადი #24888/94).

სასამართლოს წინაშე წარდგინენ:

(a) მთავრობის სახელით

ბ-ნი პ. ლეველინი,  
საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტრო, წარმომადგენელი,  
ბ-ნი დ. ფენიქი, დედოფლის ადვოკატი, ბარისტერი  
ბ-ნი მ. შოუ, ბარისტერი, ადვოკატი;  
ბ-ნი ს. ბრემლი, შინაგან საქმეთა სამინისტრო,  
ბ-ნი ჯ. ლეინი, შინაგან საქმეთა სამინისტრო,  
ბ-ნი თ. მორისი, მისი უდიდებულესობის სასჯელაღსრულების სამსახური, მრჩეველები;

(b) განმცხადებელი ტ-ს სახელით

ბ-ნი ბ. ჰიგსი, დედოფლის ადვოკატი, ბარისტერი  
ბ-ნი ჯ. ნათერი, ადვოკატი, ადვოკატი;  
ბ-ნი დ. ლოიდი, სოლისიტორი,

(c) განმცხადებელი ვ.-ს სახელით

ბ-ნი ე. ფიცჯერალდი, დედოფლის კონსულტანტი, ადვოკატი, ადვოკატი;  
ბ-ნი ბ. ემერსონი, ადვოკატი, სოლისიტორი,  
ბ-ნი ჯ. დიკინსონი, მრჩეველი;  
ბ-ნი თ. ლოფლინი, იურისტი,

(d) დაზარალებულის მშობლების სახელით

ბ-ნი რ. მეიკინი, სოლისიტორი, ბ-ნი ბულგერის ადვოკატი,  
ბ-ნი ს. სექსტონი, სოლისიტორი, ქ-ნი ფერგუსის ადვოკატი,  
ბ-ნი მ. მონტეფიორე, მრჩეველი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ფიცჯერალდის, ბ-ნი ჰიგსის, ბ-ნი მეიკინის, ბ-ნი სექსტონისა და ბ-ნი ფენიქის მიმართვები და, აგრეთვე, ბ-ნი ფენიქის პასუხი სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მიერ დასმულ შეკითხვაზე.

6. 1999 წლის 24 ნოემბერს ბ-მა ჯ. კასადევალმა, სათადარიგო მოსამართლემ, ჩაანაცვლა ქ-ნი სტრაჟნიკა, რომელმაც ვერ მიიღო მონაწილეობა საქმის შემდგომ განხილვაში (წესი 24 § 5 (ბ)).

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

#### A. სასამართლო პროცესი

##### 1. დანაშაული

7. განმცხადებელი 1982 წლის აგვისტოს დაიბადა.

1993 წლის 12 თებერვალს, ათი წლის ასაკში, თავის თანატოლთან, ათი წლის ვ-სთან (განმცხადებელი საქმეში #24888/94) ერთად აცდენდა სკოლას. მათ სავაჭრო ცენტრიდან მოიტაცეს ორი წლის ბიჭი, წაიყვანეს ორი მილის მოშორებით, ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს და დატოვეს სარკინიგზო მაგისტრალზე, რომ მასზე მატარებელს გადაეგლო.

##### 2. სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესი

8. განმცხადებელი და ვ 1993 წლის თებერვალში დააკავეს და სასამართლო პროცესის მსვლელობის განმავლობაში წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

9. სასამართლო პროცესი 1993 წლის ნოემბერში, სამი კვირის განმავლობაში საჯაროდ მიმდინარეობდა პრესტონის სამეფო სასამართლოში მოსამართლისა და თორმეტი ნაფიცი მსაჯულის წინაშე. პროცესამდე ორი თვით ადრე ორივე განმცხადებელი სოციალურმა მუშაკებმა სასამართლო დარბაზის სანახავად მიიყვანეს და „მონმე ბავშვთა პაქეტის“ საშუალებით - რომელიც წიგნებსა და თამაშებს შეიცავს - გააცნეს სამართალწარმოების წესი და სასამართლოს პერსონალი.

სასამართლოს წინ უძლოდა და თან სდევდა საზოგადოების ცხოველი ინტერესი. პროცესი ფართოდ იყო გასაჯაროებული, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზეც. სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას, სასამართლოში მიყვანილ ბრალდებულებს მტრულად განწყობილი ბრბო ხვდებოდა. ხალხი პერიოდულად ცდილობდა თავს დასხმოდა სატრანსპორტო საშუალებებს, რომლითაც ბრალდებულები სასამართლოში დაჰყავდათ. დარბაზი მუდამ გადაჭედული იყო პრესისა წარმომადგენლებითა და მაყურებლებით.

სასამართლო ჩატარდა ზრდასრულთა სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი ფორმალობით. მოსამართლესა და ადვოკატებს ეცვათ მანტიები და ეკეთათ პარიკები. თუმცა, პროცედურა, გარკვეულწილად, მოდიფიცირებულ იქნა ბრალდებულთა ასაკის გათვალისწინებით. ისინი დასვეს სოციალური მუშაკების გვერდით, სპეციალურად ამალღებულ საბრალდებო სკამზე. მათი მშობლები და იურისტებიც იქვე ისხდნენ. ზეპირი მოსმენების ხანგრძლივობა შეამცირეს სკოლის გაკვეთილების ხანგრძლივობამდე (10:30 საათიდან 3:30 საათამდე, ერთსაათიანი სადილობის შესვენებით). ამასთან, ყოველ საათში ერთხელ ცხადდებოდა ათწუთიანი ინტერვალი. შესვენებების დროს, ბრალდებულებს უფლება ჰქონდათ დრო თავიანთ მშობლებთან და სოციალურ მუშაკებთან ერთად გაეტარებინათ თამაშისათვის განკუთვნილ ადგილას. მოსამართლემ ცალსახად განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ გამოაცხადებდა შესვენებას, როგორც კი სოციალური მუშაკები, ან ადვოკატები აცნობებდნენ, რომ რომელიმე ბრალდებული დაღლილობის, ან სტრესის ნიშნებს ავლენდა. ეს ერთხელ მართლაც მოხდა.

10. 1993 წლის 1 ნოემბერს, სასამართლო პროცესის გახსნისას მოსამართლემ გასცა ბრძანება ბავშვებისა და ახალგაზრდების 1933 წლის კანონის 39-ე ნაწილის (იხ. ქვემოთ § 30) შესაბამისად, რომ არ უნდა გამჟღავნებულყო განმცხადებლის, ან ვ-ს ვინაობა, მისამართი თუ სხვა მაიდენტიფიცირებელი დეტალები და არ უნდა გამოქვეყნებულყო მათი ფოტოსურათები.

იმავე დღეს, განმცხადებლის ადვოკატმა შუამდგომლობა დააყენა სამართალწარმოების შეჩერების შესახებ იმ საფუძველით, რომ სასამართლო პროცესი, მედიის ცხოველი ყურადღებიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, უსამართლო იქნებოდა. არგუმენტების მოსმენის შემდეგ

მოსამართლემ დაადგინა, რომ არ არსებობდა იმის მტკიცებულება, თითქოს ბრალდებულების მიმართ მიკერძოებულობის გამო სამართლიანი სასამართლო პროცესი ვერ გაიმართებოდა. მოსამართლემ მიუთითა იმ გაფრთხილებაზე, რომელიც მან ნაფიც მსაჯულებს მისცა - რომ არ გაეთვალისწინებინათ არაფერი, რასაც საქმესთან დაკავშირებით შეიტყობდნენ ან ნახავდნენ სასამართლო დარბაზის გარეთ.

11. პროცესის მსვლელობისას ბრალდების მხარემ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ ბრალდებულებს შეეძლოთ პასუხი ეგოთ საკუთარ ქმედებებზე. რადგან ისინი შესანიშნავად აცნობიერებდნენ თავიანთი ნამოქმედარის სიავეს (იხ. ქვევით §27).

განმცხადებელმა უარი თქვა ბრალდების მხარის კონსულტანტი ფსიქიატრის, დოქტორ სიუზან ბეილის მიერ შემოწმებაზე. ტ-ს ადვოკატების მიერ მოწვეული კონსულტანტი ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრიაში, დოქტორი აილინ ვიზარდი, უწყებით გამოიძახეს სამეფო სასამართლოს წინაშე ჩვენების მისაცემად. 1993 წლის 5 ნოემბრის დაცვის მხარისთვის მომზადებულ ანგარიშში, დოქტორმა ვიზარდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ განმცხადებელი იყო კარგი, ან საშუალო ინტელექტის მქონე ბავში, რომელმაც სწრაფად და სწორად გასცა პასუხი შეკითხვებს და რომელსაც შეეძლო განესაზღვრა განსხვავება ცუდსა და კარგს შორის - უფრო კონკრეტულად, იგი აცნობიერებდა, რომ ბავშვის დედისათვის წართმევა, მისთვის ზიანის მიყენება და სარკინიგზო მაგისტრალზე დატოვება არასწორი იყო. გარდა ამისა, დოქტორმა ვიზარდმა დაასკვნა, რომ ტ-ს აღენიშნებოდა პოსტტრავმული სტრესის ნიშნები - იგი გამუდმებით წუხდა დანაშაულის გარემოებებზე, აღენიშნებოდა უმადობა და უძილობა. ამ აშლილობამ და დანაშაულის შემდგომი თერაპიული მკურნალობის არარსებობამ, საგრძნობლად შეზღუდა მისი უნარი, მითითებები მიეცა ადვოკატებისათვის და თავის დასაცავად სასამართლოს წინაშე ადეკვატური ჩვენებით გამოსულიყო. პროცესზე დოქტორმა ვიზარდმა განაცხადა, რომ მიუხედავად მოსაზრებისა, რომ განმცხადებელი ქმედუნარიანია სასამართლოს წინაშე წარსადგომად, მაინც საკითხავია, რა გავლენას იქნებს პოსტტრავმული სტრესის სიმპტომები სამართალწარმოების მისეულ გააზრებაზე.

ამასთან, ბრალდების მხარემ მოწმედ გამოიძახა იმ სკოლის დირექტორი, რომელშიც ბიჭები სწავლობდნენ. მან განაცხადა, რომ ოთხი-ხუთი წლის ასაკის ბავშვებიც კი აცნობიერებენ, რომ მეორე ბავშვისათვის იარაღის დარტყმა ცუდი საქციელია. მან დასძინა, რომ ვ. და განმცხადებელი შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ მათი ქმედება არასწორი იყო. იგივე ჩვენება მისცა კიდევ ერთმა მასწავლებელმა.

12. გარდა ამისა, ჩვენებები მისცეს იმ პირებმა, რომლებმაც დაინახეს ვ და განმცხადებელი იმ სავაჭრო ცენტრში, რომლიდანაც ორი წლის ბიჭი გაიტაცეს და რომლებმაც ეს სამი ბავშვი სხვადასხვა ადგილას ნახეს სავაჭრო ცენტრსა თუ სარკინიგზო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მოგვიანებით გვამი იქნა ნაპოვნი. სასამართლო პროცესზე უჩვენეს პოლიციის მიერ ვ-ს და განმცხადებლის დაკითხვის ჩანაწერი. უშუალოდ პროცესზე არც განმცხადებელს და არც ვ-ს ჩვენება არ მიუციათ.

13. ნაფიცი მსაჯულებისათვის საბოლოო ინსტრუქციების მიცემისას, მოსამართლემ აღნიშნა, რომ მოწმეები სასამართლოში საზოგადოების გაცხოველებული ინტერესის პირობებში გამოცხადდნენ, და რომ ბევრი მათგანი ფოტოგრაფებს გადააწყდა. მათ ჩვენების მიცემა მოუხდათ დიდ სასამართლო დარბაზში, რომელიც ადამიანებით იყო სავსე და გასაკვირი არაა, რომ რამდენიმე მათგანი ემოციურად საუბრობდა, ხოლო ზოგს სულაც უჭირდა გარკვევით საუბარი. ეს ფაქტორი, აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული მტკიცებულებების შეფასებისას. მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს *inter alia* მიუთითა, რომ ბრალდების მხარეს წაყენებული ბრალის დეტალებთან ერთად ისიც უნდა დაემტკიცებინა, რომ განმცხადებელი და ვ აცნობიერებდნენ საკუთარი ქმედების შედეგებს.

14. 1993 წლის 24 ნოემბერს ნაფიცმა მსაჯულებმა ვ. და განმცხადებელი მკვლელობასა და მოტაცებაში ცნეს დამნაშავედ. მსჯავრი სააპელაციო სასამართლოში არც ერთ განსასჯელს არ გაუსაჩივრებია.

15. განაჩენის გამოცხადების შემდეგ, მოსამართლემ შეცვალა ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ 1933 წლის კანონის 39-ე ნაწილის (იხ. ზემოთ § 10) შესაბამისად მიღებული დადგენილება და ნება დართო, დეტალების გარეშე გასაჯაროებულიყო განმცხადებლისა და ვ-ს ვინაობა. მომდევნო დღეს, 1993 წლის 25 ნოემბერს, მათი სახელები, ფოტოსურათები და სხვა მონაცემები მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოქვეყნდა გაზეთებში. 1993 წლის 26 ნოემბერს მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რომელიც კრძალავდა ბავშვების მისამართებისა და სხვა იმ დეტალების გამჟღავნებას, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ადგილმდებარეობის, მკურნალობისა თუ განთავსების ადგილების გამოაშკარავება.

### 3. სასამართლო პროცესის ზეგავლენა განმცხადებელზე

16. განმცხადებლის შესახებ 1997 წლის ნოემბრით დათარიღებულ ანგარიშში მოზარდთა სასამართლო ექსპერტი, დოქტორი ივ ჯონსი, რომელიც ტ-სთან 1995 წლის მაისიდან მუშაობდა, აღნიშნავს: „ნდობის ჩამოყალიბება რთული და გაჭიანურებული პროცესი გამოდგა, რაც ერთი მხრივ, [ტ-ს] შურისძიებისა და მედიის შიშით, მეორე მხრივ კი, ფსიქიატრების მიმართ თანდაყოლილი შიშითა და ანტიპათიით იყო განპირობებული“. ნდობის განსამტკიცებლად, დოქტორი ჯონსი თავიდანვე შეუთანხმდა განმცხადებელს, რომ მათი სესიები კონფიდენციალური იქნებოდა, ხოლო პროგრესის შესახებ ანგარიშგება მხოლოდ ზოგადად განხორციელდებოდა. აქედან გამომდინარე, სახეზეა ფსიქიატრიული მტკიცებულებების ნაკლებობა, რომლებიც *inter alia* ასახავს სასამართლო პროცესის ზეგავლენას განმცხადებელზე.

17. სასამართლოს მიმართ გაკეთებულ სარჩელში, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო, მან ვერ შეძლო თვალი ედევნებინა სამართალწარმოებისათვის, ან თავისი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე მიელო გადაწყვეტილებები. იგი ძალიან შეშინებული და დათრგუნული იყო განხორციელებული სამართალწარმოების გამო.

18. ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის ინსტიტუტის ბავშვთა ფსიქიატრიის პროფესორი, სერ მაიკლ რატერი, განმცხადებელ ვ-ს შესახებ წარმოდგენილ 1998 წელს თებერვლის ანგარიშში აღნიშნავს:

“გარდა ამისა, მთხოვეს შემეფასებინა, რა სავარაუდო ფსიქოლოგიური და ემოციური ზეგავლენა შეიძლება იქონიოს გაჭიანურებულმა სასამართლო პროცესმა ზოგადად ბავშვებზე და კერძოდ [ვ-ზე], პროცესის საჯაროობის პირობებში. ჩემი აზრით, [ვ-ს] ასაკის ბავშვებთან მიმართებაში სასამართლო პროცესს ორი უარყოფითი ასპექტი ახასიათებს. პირველი, სასამართლო განხილვაში ხანგრძლივი მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, რომ ამ შემთხვევაში უსათოდ გვიანდება აუცილებელი ფსიქოლოგიური მკურნალობა და თერაპიული დახმარება. ათი წლის ბავშვს ფსიქოლოგიური განვითარების ბევრი წელი აქვს წინ და უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ პროცედურები არ იყოს გაჭიანურებული. კერძოდ, როდესაც ბავშვებმა ჩაიდინეს ისეთი სერიოზული დანაშაული, როგორც სხვა ბავშვის მკვლელობაა, აუცილებელია, მათ გააცნობიერონ, რა დააშავეს და რას ნიშნავს ეს. რაც შეუძლებელია, როდესაც სასამართლო პროცესი კვლავ მიმდინარეობს და ბრალეულობის საკითხი სასამართლოს მიერ ჯერ არ გადაწყვეტილა. ამდენად, ვასკენი, რომ სასამართლო პროცესის გაჭიანურება უდავოდ საზიანოა ათი, ან თერთმეტი წლის ბავშვისათვის (უფრო მეტი ასაკის ბავშვისთვისაც კი).

დამატებით პოტენციურ საზიანო ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სასამართლო პროცესი გასაჯაროებულია და რომ აშკარაა საზოგადოების უარყოფითი (ხშირად უკიდურესად უარყოფითი) რეაქცია. სერიოზული დანაშაულის ჩამდენი ახალგაზრდებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ქმედების სიმძიმისა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რეალობის გაცნობიერებას, ამას კი მეტად ართულებს სასამართლო პროცესის საჯაროობა...”

## B. სასჯელი

### 1. თავისუფლების აღკვეთა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ და ტარიფის დადგენა

19. მკვლელობაში დამნაშავედ ცნობის შემდეგ, მოსამართლემ განმცხადებელსა და ვ-ს, კანონის შესაბამისად, შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ (იხ. ქვემოთ § 34).

შემდეგ, მისი რეკომენდაციით, ბიჭებს სასჯელი უნდა მოეხადათ, სულ მცირე, 8 წლით, რომ დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ (“ტარიფი” – იხ. ქვემოთ §§ 38-40). მან განმარტა, რომ ვერ განსაზღვრა ვაჭების შედარებითი ბრალეულობა და აღნიშნა:

“დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, სანამ რომელიმე განსასჯელს საზოგადოებაში დაბრუნების უფლებას მივცემთ. მანამდე აუცილებელი იქნება ვრცელი ფსიქოთერაპევტული, ფსიქოლოგიური და შემეცნებითი გამოკვლევა და დახმარება.

გარდა იმისა, რომ ისინი სრულად უნდა იქნენ რეაბილიტირებულნი და აღარ უნდა წარმოადგენდნენ საფრთხეს სხვებისათვის, არსებობს სერიოზული რისკი სხვების მხრიდან მათზე შურისძიებისა.

... განსასჯელები ზრდასრულები რომ ყოფილიყვნენ დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებელ პატიმრობის აუცილებელ ვადად თვრამეტ წელს განვუსაზღვრავდი.

თუმცა, ეს ბიჭები დიდი სოციალურ და ემოციური სირთულეების მქონე ოჯახებიდან არიან. ისინი გაიზარდნენ წარუმატებელი ქორწინების ატმოსფეროში, რომელშიც ხშირად აწყდებოდნენ, ხედავდნენ ან განიცდიდნენ ჩაგვრას, ალკოჰოლიზმსა თუ ძალადობას. ეჭვი არ მეპარება, რომ ორივე მათგანი ხშირად უყურებდა სხვადასხვა სახის გადახრებისა თუ ძალადობის სცენების შემცველ ვიდეოფილმებს.

ჩემი აზრით, დამსახურებული სასჯელისა და შემდგომი მკვლელობის პრევენციის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, დანაშაულის საზარელი გარემოებებისა და დანაშაულის ჩადენის მომენტში განსასჯელთა ასაკის გათვალისწინებით, თავისუფლების აღკვეთის სათანადო ვადაა რვა წელი... რვა წელი ძალიან ბევრია ათი, ან თერთმეტი წლის ბავშვისათვის. ახლა ისინი ბავშვები არიან, რვა წლის შემდეგ კი ახალგაზრდა მამაკაცები იქნებიან”.

20. ლორდმა სასამართლოს თავმჯდომარემ ათწლიან ტარიფს გაუწია რეკომენდაცია. განმცხადებლის წარმომადგენლებმა წერილობითი განცხადებით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც ტარიფის ვადა უნდა დაედგინა.

21. 1994 წლის 16 ივნისის წერილით, შინაგან საქმეთა მინისტრმა განმცხადებელს აცნობა, რომ გარდაცვლილი ბავშვის ოჯახის წევრებმა წარადგინეს 278,300 ადამიანის მიერ ხელმოწერილი პეტიცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ მათი რწმენით ბიჭები არასოდეს არ უნდა განთავისუფლებულიყვნენ. პეტიციას თან ახლდა 4,400 მხარდამჭერის წერილი. გარდა ამისა, პარლამენტის წევრმა წარადგინა 5,900 პირის მიერ ხელმოწერილი პეტიცია, რომლითაც, მინიმალური სასჯელის სახით, ოცდახუთი წლის დაწესებას მოითხოვდა. გაზეთმა *Sun*-მა კი გამოგზავნა 21,281 კუპონი, რომლებშიც მკითხველები უვადო თავისუფლების აღკვეთას უჭერდნენ მხარს. კიდევ არსებობდა 1,357 წერილი და მცირე პეტიცია, რომელთაგან 1,113-ში ხელმომწერები სასამართლოს მიერ რეკომენდებულზე უფრო მაღალი ტარიფის დადგენას ითხოვდნენ.

განმცხადებლის ადვოკატებს მიეცათ შესაძლებლობა, საკუთარი მოსაზრებები წარედგინათ მინისტრის აპარატისთვის.

22. 1994 წლის 22 ივლისით დათარიღებულ წერილში შინაგან საქმეთა მინისტრი განმცხადებელს აცნობებს, რომ დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნების გათვალისწინებით მან თხუთმეტი წელი უნდა მოიხადოს. წერილში *inter alia* ნათქვამია:

“გადაწყვეტილების მიღებისას შინაგან საქმეთა მინისტრმა გაითვალისწინა დანაშაულის გარემოებები, სასამართლოსაგან მიღებული რეკომენდაციები, თქვენი სახელით წარმოდგენილი მოსაზრებები და ის, თუ რამდენად შეიძლებოდა მოცემული საქმის შედარება სხვა საქმეებთან. ამასთან, მან ასევე მხედველობაში მიიღო საზოგადოების შეშფოთება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რასაც მოწმობს პეტიციები და სხვა კორესპონდენცია, რომლის შინაარსიც 1994 წლის 16 ივნისს ჩვენი წერილით ეცნობა თქვენს წარმომადგენლებს. მან აგრეთვე გაითვალისწინა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების საჭიროება.

სახელმწიფო მდივანი სრულად ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ თქვენ მხოლოდ ათი წლისა იყავით დანაშაულის ჩადენის მომენტში. ამასთან, იგი აღიარებს, რომ უნდა მოქმედებდეს ბევრად უფრო მცირე ტარიფი, ვიდრე სრულწლოვანთა შემთხვევაში.

შინაგან საქმეთა მინისტრი ითვალისწინებს თქვენი სახელით წარდგენილ მოსაზრებებს თქვენი და თქვენი თანაბრადებულის შედარებით ბრალეულობასთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლემ ამის განსაზღვრა ვერ შეძლო. იმავე დასკვნამდე მივიდა შინაგან საქმეთა მინისტრიც.

პირველი ინსტანციის მოსამართლის რეკომენდაციის თანახმად მისაღები ტარიფი რვა წლით, ლორდი სასამართლოს თავმჯდომარის რეკომენდაციით კი, ათი წლით უნდა განისაზღვროს. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის მოსამართლემ დასძინა, რომ განსასჯელთა სრულწლოვანების შემთხვევაში შესაფერისი ტარიფი თვრამეტი წელი იქნებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გაითვალისწინა აღნიშნული მოსაზრებები. მისი აზრით, სახეზეა განსაკუთრებით სასტიკი და სადისტური ქმედებები, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაში ხორციელდებოდა მცირეწლოვანი, დაუცველი მსხვერპლის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა მინისტრის აზრით, ეს დანაშაული სრულწლოვანი პირის მიერ რომ ყოფილიყო ჩადენილი, სათანადო ტარიფი განისაზღვრებოდა დაახლოებით ოცდახუთი წლის ვადით და არა თვრამეტი წლის ვადით, როგორც ეს პირველი ინსტანციის მოსამართლემ დაადგინა.

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის თქვენი მცირე ასაკის გათვალისწინებით, სახელმწიფო შინაგან საქმეთა მინისტრმა გადაწყვიტა, თქვენს საქმეში ტარიფი თხუთმეტი წლის ვადით განსაზღვროს. იგი დარწმუნებულია, რომ ეს ტარიფი შეესაბამება სხვა საქმეებში დადგენილ ტარიფებს.

სახელმწიფო მდივანი მზადაა გაითვალისწინოს ნებისმიერი ახალი მოსაზრება, რომელსაც ტარიფის ვადასთან დაკავშირებით თქვენ, ან თქვენი წარმომადგენლები გამოთქვამენ და ამგვარი ახალი მოსაზრებების საფუძველზე შესაბამისობის შემთხვევაში შეამციროს ტარიფი.”

## 2. საქმის გადახედვის პროცესი

23. განმცხადებელმა წამოიწყო საქმის გადახედვის პროცესი. იგი, *inter alia* ასაჩივრებდა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილ ტარიფს, როგორც არაპროპორციულად ხანგრძლივს და რეაბილიტაციის საჭიროებების გაუთვალისწინებლად დადგენილს. განცხადება წარმოებაში 1994 წლის 7 ნოემბერს იქნა მიღებული.

24. 1996 წლის 2 მაისს უმაღლესმა სასამართლომ *ორი მოსამართლის შემადგენლობით* ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. 1996 წლის 30 ივლისს სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის სააპელაციო საჩივარი. 1997 წლის 12 ივნისს ლორდთა პალატამ ხმათა უმრავლესობით არ დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა

მინისტრის სააპელაციო განცხადება და დაუშვა განმცხადებლის შესაგებელი. ლორდთა პალატამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა უკანონოდ დანერგა ტარიფების სისტემის გამოყენების პოლიტიკა, რომელიც გამონაკლის შემთხვევებშიც კი უმნიშვნელოდ მიიჩნევა, უვადო პატიმრობაში მყოფი ბავშვის პროგრესსა და განვითარებას. გარდა ამისა, ლორდთა პალატამ ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ ტარიფის განსაზღვრისას შინაგან საქმეთა მინისტრი ახორციელებდა მოსამართლის მსჯავრდების ეკვივალენტურ უფლებამოსილებას და მსჯავრის დამდები მოსამართლის მსგავსად ვალდებული იყო არ დაჰყოლოდა საზოგადოებრივი აზრის ზეწოლას. რამდენადაც შინაგან საქმეთა მინისტრი არასწორად მოიქცა, როდესაც განმცხადებლის ტარიფის ხანგრძლივობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო საზოგადოებრივი პროტესტი და იმოქმედა პროცესუალურად უსამართლოდ, მისი გადაწყვეტილება უკანონოდ იქნა მიჩნეული (იხ. ქვემოთ § 41). შესაბამისად, გაუქმდა მის მიერ განსაზღვრული ტარიფი.

25. 1997 წლის 10 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა პარლამენტს, რომ ლორდთა პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით მან დანერგა ახალი პოლიტიკა ახალგაზრდა დამნაშავეებთან დაკავშირებით, რომლებიც მკვლელობისთვის არიან მსჯავრდებული და შეფარდებული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, იგი, *inter alia*, ძალაში ტოვებდა თავდაპირველად განსახილველად წარმოდგენილ ტარიფს, რომელიც ითვალისწინებს დამნაშავის პროგრესსა და განვითარებას. შინაგან საქმეთა მინისტრმა განმცხადებლის წარმომადგენლებს შესთავაზა, ახალი ტარიფის დადგენის მიზნით მისთვის საკუთარი მოსაზრებები მიეწოდებინათ.

26. წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის განმცხადებლის ტარიფი საბოლოოდ დადგენილი არ ყოფილა. მთავრობამ თავის წარდგინებაში სასამართლოს აცნობა, რომ მართალია, განმცხადებელმა ვ-მ წარადგინა მოსაზრებები ტარიფის მისაღები ხანგრძლივობის შესახებ, მაგრამ მსგავსი მოსაზრებები ტ-ს მხარეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოწოდებული. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრი ელოდა დამოუკიდებელი ფსიქიატრის დასკვნას ორივე პატიმართან დაკავშირებით.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

### A. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი

27. ბავშვებისა და არასრულწლოვნების შესახებ 1933 წლის კანონის 50-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ბავშვებისა და არასრულწლოვნების შესახებ 1963 წლის კანონის მე-16(1) მუხლით შეიცვალა („1933 წლის კანონი“) ინგლისსა და უელსში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრება ათი წლით, რომლის ქვემოთაც ბავშვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალეულად ცნობა დაუშვებელია. ათი წლის ასაკი დამტკიცდა შინაგან საქმეთა სპეციალური კომიტეტის მიერ (შედგება პარლამენტის წევრებისაგან) 1993 წლის ოქტომბერში (არასრულწლოვანი დამნაშავეები, სესიის მეექვსე ანგარიში, 1992-93 წწ. მისი უდიდებულესობის სამეფო კანცელარია). განმცხადებლის სასამართლო პროცესის დროს, ათიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვზე ვრცელდებოდა პრეზუმფცია, რომ ბავშვმა არ იცოდა, რომ რასაც აკეთებდა ცუდი იყო (*doli incapax*). ეს პრეზუმფცია უნდა გაბათილებულიყო ბრალდების მხარის მიერ. მას არ უნდა დაეტოვებინა ეჭვის გონივრული საფუძვლი, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ბავშვმა იცოდა, რომ მისი ქმედება ცუდი იყო და სცდებოდა ბავშვური გაუგონრობის ან სიცვლქის საზღვრებს (ც. (არასრულწლოვანი) საზოგადოებრივი პროკურატურის დირექტორის წინააღმდეგ [1996 წ.] სააპელაციო საქმეები 1).

პრეზუმფცია *doli incapax* გაუქმებულია 1998 წლის 30 სექტემბრიდან (დანაშაულისა და დარღვევების 1998 წლის აქტის 34-ე ნაწილი).

### B. ბავშვი ბრალდებულების მიმართ სასამართლო პროცესის ფორმატი

28. მაგისტრატი სასამართლოების 1980 წლის აქტის 24-ე ნაწილის თანახმად, ბავშვები და თვრამეტ წლამდე ახალგაზრდები უნდა გასამართლდნენ დაჩქარებული სამართალწარმოების



ნესით მაგისტრატ სასამართლოებში. საქმის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს სპეციალიზებულ არასრულწლოვანთა სასამართლოში, რომელშიც მოქმედებს არაფორმალური პროცედურები და სადაც ფართოსაზოგადოებაარდაიშვება. გამონაკლისსწარმოადგენენ ბავშვები და ახალგაზრდები, რომელთაც ბრალად ედებათ განზრახ მკვლელობა, მკვლელობა გაუფრთხილებლობით, ან ისეთი დანაშაული, რომელიც სრულწლოვანთა შემთხვევაში თოთხმეტი, ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და რომელთა საქმესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს.

### C. ბრალდებულ ბავშვთა დაცვა საჯაროობისაგან

29. როდესაც ბავშვის საქმე არასრულწლოვანთა სასამართლოში განიხილება, 1933 წლის აქტის 49-ე მუხლი ავტომატურად უკრძალავს მედიას ბრალდებულის სახელის, პირადი მონაცემების, ფოტოსურათის, ან ნებისმიერი სხვა ისეთი ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელმაც შეიძლება მისი იდენტიფიცირება გამოიწვიოს. სასამართლოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, გააუქმოს აკრძალვა მსჯავრდების შემდეგ, თუ მისი აზრით, ეს საჯარო ინტერესებს შეესაბამება.

30. როდესაც ბავშვი სამართლდება სამეფო სასამართლოში, სამართალწარმოების გაშუქების შეზღუდვები არ არსებობს - გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას 1933 წლის აქტის 39-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც:

“(1) სასამართლოში ნებისმიერ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით...

სასამართლომ შეიძლება ბრძანოს, რომ:

(a) სამართალწარმოების შესახებ დაბეჭდილმა არც ერთმა საგაზეთო რეპორტაჟმა არ უნდა გაასაჯაროს სასამართლო პროცესში ბრალდებულის, ან მოწმის სახით მონაწილე ნებისმიერი ბავშვის, ან ახალგაზრდის ვინაობა, მისამართი, სასწავლებელი თუ რაიმე სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემი;

(b) დაუშვებელია, რომელიმე გაზეთში გამოქვეყნდეს სამართალწარმოებაში ზემოთ ხსენებული სახით მონაწილე ნებისმიერი ბავშვის, ან ახალგაზრდის, ფოტოსურათი ან ფოტოსურათის შემცველი ფოტოსურათი - გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას სასამართლო დაუშვებს (თუკი ასეთი რამ საერთოდ მოხდა).

(2) ნებისმიერ პირს, რომელიც ამ ბრძანების მიუხედავად გამოაქვეყნებს რაიმე მასალას, თითოეული დარღვევისთვის, გამარტივებული სამართალწარმოების წესით დაეკისრება პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით...”

ზემოაღნიშნული დებულება გაფართოვდა ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ 1963 წლის აქტის 57(4)-ე ნაწილით და მოიცავს რადიო- და ტელემაუწყებლობაც.

39-ე ნაწილის განმარტებისას სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან პარლამენტმა განზრახ განასხვავა არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესი - სადაც არსებობს პრეზუმფცია საჯაროობის წინააღმდეგ, სამეფო სასამართლოში ჩატარებული სასამართლო პროცესისაგან, სადაც პრეზუმფცია პირიქით მოქმედებს, უნდა არსებობდეს გონივრული მიზეზი 1933 წლის აქტის 39-ე ნაწილის შესაბამისად მოქმედების ბრძანებულების გამოსაცემად (რ. ლის (არასრულწლოვნის) წინააღმდეგ 96 სისხლის სამართლის საქმეთა აპელაციის ანგარიშები 188).

### D. სასამართლო პროცესში მონაწილეობისა და სისხლის სამართლის სამართალწარმოების გააზრების უნარი

31. ბრალდებული არ ითვლება „ქმედუნარიანად სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად“, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მიზეზით - როგორცაა, მაგალითად, ფსიქიკური დაავადება, არა აქვს „საკმარისი ინტელექტი, რომ მითითებები მისცეს თავის სოლისიტორებსა თუ იურიდიულ მრჩეველებს, უპასუხოს ბრალდებებს, ეჭვის ქვეშ დააყენოს ნაფიც მსაჯულები და გაიაზროს ან თავად წარმოადგინოს მტკიცებულებები“ (R. v. Robertson 52 სისხლის სამართლის საქმის აპელაციის ანგარიშები 690). საკითხი, ქმედუნარიანია თუ არა განსასჯელი სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობის მისაღებად, უნდა გადაწყდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ, სულ მცირე, ორი სამედიცინო ექსპერტის წერილობითი ან ზეპირი მტკიცებულების საფუძველზე.

თუკი ნაფიცი მსაჯულები განსასჯელს ქმედუენაროდ მიიჩნევენ, იმავე ან სხვა ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა განაგრძონ საქმის განხილვა და გადაწყვიტონ - ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა დანაშაულებრივი ქმედება ან უმოქმედობა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება განსასჯელის ჰოსპიტალიზების განკარგულება გასცეს (სისხლის სამართალი (კანონი შეურაცხადობის შესახებ), 1964, მუხლები მე-4, მე-4A და მე-5). ამის ალტერნატივას წარმოადგენს სასამართლო პროცესის გაურკვეველი ვადით გადადება, სანამ ბრალდებული სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად ქმედუენარიანი არ გახდება.

32. საქმეში *ქუნათი სახელმწიფოს წინააღმდეგ* ([1993წ.] ყოველკვირეული სამართლებრივი მაცნე 1315), საიდუმლო საბჭომ გააუქმა სამხრეთ ინდოეთის კერალას რეგიონის მკვიდრი გაუნათლებელი გლეხის (რომელსაც მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯა მიესაჯა) მსჯავრი, რადგან სასამართლო პროცესი, რომელიც კუნძულ მავრიკიზე გაიმართა, განსასჯელისთვის უცხო ენაზე მიმდინარეობდა და მისთვის მტკიცებულებები არ ითარგმნებოდა. საიდუმლო საბჭომ დაადგინა:

“სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის წესით დასჯად დანაშაულთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი ბრალდებულის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს. ამ პრინციპის არსი მხოლოდ ის კი არაა, რომ ბრალდებული ფიზიკურად ესწრებოდეს პროცესს, არამედ ისიც, რომ მას უნდა შეეძლოს პროცედურების გააზრება და გადაწყვეტა - რა მოწმეები მოიწვიოს, მისცეს თუ არა ჩვენება და, თუ უნდა მისცეს, საქმის რა ასპექტებზე გაამახვილოს ყურადღება”.

## E. პატიმრობა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ, ან პატიმრობა, სანამ ინებებს მისი უდიდებულესობა

### 1. მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობის არსი

33. ინგლისსა და უელსში მკვლელობისათვის მსჯავრდებული ზრდასრულები ექვემდებარებიან სავალდებულო უვადო თავისუფლების აღკვეთას (1967 წლის მკვლელობის (სიკვდილით დასჯის გაუქმების) აქტი). ზრდასრულებს, რომელთაც მსჯავრი დაედოთ ისეთი ძალადობრივი, ან სექსუალური ხასიათის დანაშაულთა ჩადენისათვის როგორებიცაა მაგალითად, მკვლელობა გაუფრთხილებლობით, გაუპატიურება, ან ყაჩაღობა შეიძლება შეეფარდოთ უვადო თავისუფლების აღკვეთა პირველი ინსტანციის მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში - თუ იგი მიიჩნევს, რომ (i) დანაშაული არის მძიმე და (ii) სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ დამნაშავე წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის და შეუძლებელია იმის თქმა, როდის შემცირდება ეს საფრთხე.

34. თვრამეტ წელს მიუღწეველ დამნაშავეებს, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ მკვლელობისათვის, ავტომატურად აღკვეთებათ თავისუფლება „მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ“, 1933 წლის ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ აქტის 53-2 (1-ლი) ნაწილის (შეცვლილის) შესაბამისად, რომელშიც ნათქვამია:

„მკვლელობაში ბრალდებულ პირს არ შეიძლება მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა, ან სიკვდილით დასჯა, თუკი დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მას თვრამეტი წელი არ შესრულებია. ამის ნაცვლად სასამართლომ... უნდა შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა „მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ“ და იგი უნდა განთავსდეს ისეთ ადგილას და ისეთ პირობებში როგორსაც დაუდგენს შინაგან საქმეთა მინისტრი.”

მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი, ან არასრულწლოვანი თვრამეტი წლის ასაკამდე უნდა განთავსდეს ბავშვთა სახლში, ან სხვა დანესებულებაში, სადაც უზრუნველყოფილია მისი ასაკისათვის შესაფერისი პირობები. თვრამეტი წლის შესრულებისთანავე მსჯავრდებული უნდა იქნეს გადაყვანილი ახალგაზრდა დამნაშავეთა დანესებულებაში, ხოლო ოცდაერთი წლის ასაკის მიღწევის დღიდან იმავე დანესებულებაში, სადაც სასჯელს მკვლელობისათვის უვადო პატიმრობაში მყოფი ზრდასრულები იხდიან.

35. განმცხადებლის მსჯავრდების მომენტისათვის „თავისუფლების აღკვეთა ვადით მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ“ ნიშნავდა, რომ ბავშვს, ან არასრულწლოვანს განუსაზღვრელი ვადით აპატიმრებდნენ. ამ ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრა სრულად ექცეოდა შინაგან საქმეთა მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. მინისტრი სარგებლობდა დისკრეციული უფლებამოსილებით, რჩევის მისაღებად პატიმარი ბავშვის საქმე პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოსათვის გადაემისამართებინა და ამ საბჭოს მხრიდან შესაბამისი რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, გამოეცა ბრძანება ბავშვის გათავისუფლების შესახებ (სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტი 1991 წ. (“1991 წლის აქტი”), ნაწილი 35(2) და (3) ა 43(2); იხ. ლორდი ბრაუნ-უილკინსონის მოხსენება ლორდთა პალატის წინაშე, რ. შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, *ex parte* ვ. და თ. [1998წ.] აპელაციის საქმეები 407 იხ.გვ. 492A-F, შემდგომში ნახსენებია, როგორც “*Ex parte* ვ. და თ.”).

36. 1997 წლის 1 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 1997 წლის დანაშაულის (სასჯელის) აქტის 28-ე ნაწილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჰუსეინისა და სინგჰის საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად (ჰუსეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, *განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ანგარიში 1996-I*, გვ. 252; და სინგჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, *ანგარიშები 1996-I*, გვ. 280). ეს ნაწილი ადგენს, რომ ტარიფის პერიოდის ამონურვის შემდეგ (იხ. ქვემოთ §§ 38-40) პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭომ (და არა შინაგან საქმეთა მინისტრმა, როგორც მანამდე იყო), უნდა გადაწყვიტოს, უსაფრთხოა თუ არა პირობით გათავისუფლება დამნაშავისა, რომელსაც თვრამეტ წლამდე ასაკში ჩადენილი მკვლელობისთვის შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ.

37. პირობით გათავისუფლებული დამნაშავე, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ, შეიძლება სიცოცხლის განმავლობაში ნებისმიერ დროს იქნეს დაბრუნებული საპატიმროში, თუკი ამას შეწყალების საბჭო გადაწყვეტს.

## 2. “ტარიფი”

38. უვადო პატიმრობაში მყოფი დამნაშავეების გათავისუფლებასთან დაკავშირებული დისკრეციულ უფლებამოსილების განსახორციელებლად შინაგან საქმეთა მინისტრმა წლების განმავლობაში დანერგა „ტარიფის“ პოლიტიკა. პირველად ეს საჯაროდ განაცხადა ბატონმა ლეონ ბრიტანმა 1983 წლის 30 ნოემბერს (ჰანსარდი (თემთა პალატის დებატები) სვეტი 505-507). თავისი არსით ტარიფის მიდგომა უვადო პატიმრობის კომპონენტებად დაყოფას გულისხმობს. ეს კომპონენტებია: დამსახურებული სასჯელი, შეკავება და საზოგადოების დაცვა. “ტარიფი” წარმოადგენს მინიმალურ ვადას, რომელიც პატიმარმა უნდა მოიხადოს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნები. შინაგან საქმეთა მინისტრი მანამ არ გადაამისამართებს საქმეს პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოში, სანამ სამი წელი არ დარჩება ტარიფის ვადის ამონურვამდე და არ ისარგებლებს პირობით გათავისუფლების დისკრეციული უფლებამოსილებით ტარიფის ვადის გასვლამდე (ლორდი ბრაუნ-უილკინსონი, *Ex parte* ვ. და თ., *op. cit.*, ატვ. 492G-493A).

39. 1991 წლის კანონის 34-ე ნაწილის თანახმად, დისკრეციული უვადო თავისუფლება აღკვეთილი პატიმრისათვის ტარიფი განისაზღვრება ღია სასამართლო პროცესზე პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ მსჯავრდების შემდეგ. ტარიფის ამონურვის შემდეგ პატიმარმა შეიძლება სთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს თავისი საქმის გადამისამართება პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოში, რომელიც უფლებამოსილია ბრძანოს მისი გათავისუფლება, თუკი დარწმუნდება, რომ საზოგადოების უსაფრთხოებისთვის აღარ არსებობს მისი პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობა

40. თუმცა, 1991 წლის აქტის თანახმად, განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს იმ პირების მიმართ, რომლებსაც მისჯილი აქვთ პატიმრობა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ, ან იხდიან სასჯელს სავალდებულო უვადო პატიმრობის სახით. ამ პირებისათვის ტარიფის ვადას შინაგან საქმეთა მინისტრი განსაზღვრავს. სასამართლო პროცესის შემდეგ პატიმარს ეცნობება, როგორც

პირველი ინსტანციის მოსამართლის, ასევე, ლორდი მთავარი მოსამართლის მოსაზრება. პატიმარს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი თვალსაზრისი წარუდგინოს სახელმწიფო შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც შემდეგ ადგენს ტარიფს და უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს მოსამართლეთა მოსაზრებას (რ. შინაგან საქმეთა მინისტრის) წინააღმდეგ, *ex parte* დუდი [1994] აპელაციის საქმეები 531, და იხ. შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონი მაიკლ ჰოუარდის განცხადება პარლამენტის წინაშე, 27 ივლისი 1993 წ., ჰანსარდი (თემთა პალატის დებატები) სვეტები 861-864.).

41. განმცხადებლის მიერ დაწყებულ სასამართლო განხილვაში (*Ex parte V. and T., op. cit.*), ლორდთა პალატამ, *inter alia*, გაითვალისწინა „მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ“ პატიმრობასთან დაკავშირებული ტარიფის განსაზღვრის პრაქტიკის არსი.

ლორდმა სტეინმა მიიჩნია, რომ:

“ჩვენი ამოსვლი ნერტილია, გავარკვიოთ ტარიფის დადგენის იმ უფლებამოსილების არსი, რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრი სარგებლობს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისი სახელით განმარტა, რომ: „მინისტრი ყოველთვის უნდა მოქმედებდეს იმავე მიუკერძოებელი სამართლიანობის პრინციპებით, რომლებითაც მოქმედებს განაჩენის გამომტანი მოსამართლე“. ტარიფის დადგენისას, რაც მსჯავრის სადამსჯელო ელემენტს წარმოადგენს, შინაგან საქმეთა მინისტრი განაჩენის გამომტანი მოსამართლის პოზიციაში იმყოფება. ტარიფის განსაზღვრისას, შინაგან საქმეთა მინისტრი ახორციელებს კლასიკურ სამოსამართლო ფუნქციას, რაც ეწინააღმდეგება აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა გამიჯვნის კონსტიტუციურ პრინციპს. პარლამენტმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიანიჭა შესაბამისი უფლებამოსილება, რომელიც მოიცავს დისკრეციულ უფლებას, განსაზღვროს პოლიტიკა და დაადგინოს ტარიფი. თუმცა, ტარიფის დადგენის უფლებამოსილება მაინც მოსამართლის მიერ განაჩენის გამომტანის უფლებამოსილების ეკვივალენტურია.”

ლორდმა ჰოუპმა დაასკვნა, რომ:

“თუმცა, ტარიფის დადგენა, რისი მიზანიც პატიმრობის მინიმალური ვადის განსაზღვრაა, თავისთავად სასჯელის გარკვეული ფორმის დაკისრებას წარმოადგენს. როგორც ლორდმა მასტილმა საქმესთან - რ. შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ (*ex parte* დუდი გვ. 557ა-ბ) - დაკავშირებით შენიშნა, ტრადიციული სამოსამართლო საქმიანობის უმთავრესი მიზანი დანაშაულის გარემოებებისა თუ დამნაშავის მოტივების დადგენა და, დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნების გათვალისწინებით, პატიმრობის მისაღები მინიმალური ვადის განსაზღვრაა. შინაგან საქმეთა მინისტრისთვის ტარიფის შესახებ რჩევის მიცემისას, მოსამართლე სწორედ ამ საკითხებით უნდა შემოიფარგლოს...  
თუ შინაგან საქმეთა მინისტრს სურს საქმეში ტარიფის დადგენა - რომ მინიმალურ ვადასთან დაკავშირებით სასამართლო ხელისუფლების მოსაზრებები საკუთარი მოსაზრებებით ჩაანაცვლოს - მან ყველაფერი უნდა გაკეთოს იმავე წესების დასაცავად...”

ლორდმა ჰოუპმა აგრეთვე გააკეთა კომენტარი დამნაშავე ბავშვისათვის ტარიფის დადგენასთან დაკავშირებით:

“უკანონო ისეთი პოლიტიკა, რომელიც ნებისმიერ ეტაპზე უგულებელყოფს პატიმრობაში მყოფი ბავშვის განვითარებასა და პროგრესს, როგორც მისი საბოლოო გათავისუფლებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს. ზრდასრული უვადო პატიმრებისთვის განკუთვნილი დასჯის ღონისძიებები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვს ბრალდებულის განვითარებასა და წინსვლასთან, ვერ მიესადაგება მოთხოვნებს, რომლებიც პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში ბავშვის კეთილდღეობისა და დაცვის საკითხების გადახედვას ითვალისწინებს”.

ლორდმა გოფმა *inter alia* განაცხადა:

“...თუ შინაგან საქმეთა მინისტრი 35-ე მუხლით გათვალისწინებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში პატიმრისათვის სისხლის სამართლის სასჯელის ელემენტის

განსაზღვრის პოლიტიკას ახორციელებს, იგი ასრულებს ფუნქციას რომელიც არის სასჯელის დაკისრების ფუნქციის ანალოგიური. ამიტომაც მინისტრი ვალდებულია, იმოქმედოს იმავე შეზღუდვებით, რა შეზღუდვებიც ვრცელდება მოსამართლეზე ხსენებული ფუნქციების შესრულებისას. კონკრეტულად, თუ იგი მხედველობაში მიიღებს განსახილველი საქმის გარშემო საზოგადოებაში ატეხილ ხმაურს, ის გაითვალისწინებს შეუსაბამო გარემოებებს, რითაც უკანონოდ აქცევს თავის გადაწყვეტილებას.

ამ თემაზე საუბრისას მოცემულ კონტექსტში მინდა გავმიჯნო - ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებული ზოგადი შეშფოთება კონკრეტული სახის დანაშაულთა მომრავლების თაობაზე და მსგავსი დანაშაულის ჩამდენთა სათანადოდ დასჯის საჭიროება; და მეორე მხრივ, საზოგადოების მოთხოვნა, რომ კონკრეტულად ეს დამნაშავე (რომლის საქმეც ამჟამად იხილება) მკაცრად იქნეს დასჯილი...”

42. 1997 წლის 10 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ლორდთა პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, იგი განახორციელებდა ტარიფის დადგენის შემდგომ პოლიტიკას მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობაში მყოფ, მკვლევლობისათვის მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით:

“მე კვლავაც განვაგრძობ კონსულტაციებს პირველი ინსტანციის მოსამართლესა და ლორდ მთავარ მოსამართლესთან იმის დასადგენად, თუ რა სახის სასჯელი შეეფარდება ბავშვებისა და ახალგაზრდების 1933 წლის აქტის 53(1)-ლი მუხლით მსჯავრდებულ ნებისმიერ პირს. შემდეგ ამ კონსულტაციებისა და დამნაშავეს პირადი გარემოებების გათვალისწინებით განვსაზღვრავ სანჯის ტარიფს; მე ისევ განვაგრძობ პატიმრის სახელით წარმოდგენილი მოსაზრებების განხილვას და ჩემი გადაწყვეტილებების დასაბუთებას.

ჩემი დეპარტამენტის თანამდებობის პირები მიიღებენ ყოველწლიურ ანგარიშებს 53(1)-ლი მუხლის შესაბამისად მსჯავრდებულ იმ პატიმართა პროგრესისა და განვითარების შესახებ, რომელთა თავდაპირველი ტარიფი ჯერ არ ამონურულა. იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროდ მიიჩნევა ტარიფის შემცირების საკითხის განხილვა, ეს დაუყოვნებლივ ეცნობება მინისტრებს.

სანჯის ტარიფის ვადის ამონურვისთანავე, მე, ან ჩემი სახელით მოქმედი მინისტრი გაცნობა ანგარიშს პატიმრის პროგრესისა და განვითარების შესახებ და განიხილავს ტარიფთან დაკავშირებულ მოსაზრებებს იმის განსასაზღვრად, კვლავ შესაფერისია, თუ არა თავდაპირველად განსაზღვრული ტარიფის ვადა...”

### III. საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმები

#### A. გაერთიანებული ერების სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები)

43. პეკინის წესები გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 1985 წლის 29 ნოემბერს მიიღო. საერთაშორისო სამართალში ეს წესები სავალდებულო ხასიათის არ არის; პრეამბულა სახელმწიფოებს მოუწოდებს, მაგრამ არ ავალდებულებს მათს დანერგვას. ისინი ითვალისწინებს:

#### “4. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი

4.1 იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებენ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის კონცეფციას, ეს ასაკობრივი ზღვარი არ უნდა განისაზღვროს ძალზე ადრეულ ასაკში და გათვალისწინებული უნდა იყოს ემოციური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური სიმწიფის ფაქტორები.

#### კომენტარი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი მნიშვნელოვნად მერყეობს და ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებზეა დამოკიდებული. თანამედროვე მიდგომა ამაში გულისხმობს, რომ პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, შეესაბამება

თუ არა ბავშვი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მორალურ და ფსიქოლოგიურ კომპონენტებს; ანუ, შეიძლება, თუ არა ბავშვს - მისი ინდივიდუალური შემეცნებიდან და გააზრების უნარიდან გამომდინარე - დაეკისროს პასუხისმგებლობა უაღრესად ანტისოციალური ქცევისათვის. თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი ძალიან დაბალია, ან საერთოდ არ არსებობს, მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებას აზრი ეკარგება. ზოგადად, ძალიან დიდი კავშირი არსებობს მართლსაწინააღმდეგო, ან დანაშაულებრივი ქმედების ცნებასა და სოციალურ უფლებებსა თუ ვალდებულებებს შორის (როგორცაა ოჯახური მდგომარეობა, სამოქალაქო ქმედუნარიანობა და სხვ.).

ამდენად, აუცილებელია ძალისხმევა შესაბამის მინიმალურ ასაკობრივ ზღვარზე შესათანხმებლად.

...

## 8. კონფიდენციალურობის დაცვა

8.1 ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს არასრულწლოვნის კონფიდენციალურობა, რათა ავარიდოთ მას ის ზიანი, რაც შეიძლება არასასურველმა საჯაროობამ და იარლიყების მიკვრამ გამოიწვიოს.

8.2 პრინციპში, არ უნდა გახმაურდეს არანაირი ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება არასრულწლოვანი დამნაშავის იდენტიფიცირება მოჰყვეს.

...

## 17. სახელმძღვანელო პრინციპები სამართალწარმოებისა და გადაწყვეტილებების გამოტანისათვის

17.1 კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უნდა ხელმძღვანელობდნენ შემდეგი პრინციპებით:

(ა) რეაგირება ყოველთვის უნდა იყოს არა მხოლოდ გარემოებებისა და დანაშაულის სიმძიმის, არამედ აგრეთვე ბავშვის გარემოებებისა და საჭიროებების ისევე, როგორც საზოგადოების საჭიროებების პროპორციული;

(ბ) არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გულმოდგინე განხილვის შემდეგ და უნდა შემოიფარგლოს, რაც შეიძლება, მინიმალური ვადით;

...

(დ) არასრულწლოვნის კეთილდღეობა უნდა იყოს სახელმძღვანელო ფაქტორი მისი საქმის განხილვისას.

...

## კომენტარი

...

ნესი 17.1(ბ) გულისხმობს, რომ მკაცრად სადამსჯელო მიდგომა არასრულწლოვანთა შემთხვევაში შესაფერისი არ არის. მართალია, ზრდასრულთა საქმეებში და ზოგჯერ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევებში, მხოლოდ დამსახურებული და სადამსჯელო სანქციები შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად, მაგრამ არასრულწლოვანთა საქმეებში ახალგაზრდის კეთილდღეობაზე და მომავლზე ზრუნვა უნდა იყოს უპირატესი.

...”

## B. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989 წ.

44. ეს ხელშეკრულება (შემდგომში „გაეროს კონვენცია“) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს მიღო და წარმოადგენს საერთაშორისო

სამართლის ფარგლებში სავალდებულო დოკუმენტს ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის, მათ შორის ევროსაბჭოს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის.

გაეროს კონვენციის მე-3(i) მუხლი ადგენს:

„ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო და კერძო დანესებულებებმა, სასამართლოებმა, ადმინისტრაციულმა თუ საკანონმდებლო ორგანოებმა – უპირველესი ყურადღება უნდა დაუთმონ ბავშვის ინტერესების უკეთ უზრუნველყოფას“.

37-ე მუხლის (ა) და (ბ) პუნქტები ადგენს:

“ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ იყოს ნამების, ან სხვა რაიმე სასტიკი, არაადამიანური, თუ ღირსების შემლახავი მოპყრობის, ან სასჯელის მსხვერპლი. არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს;

ბ) არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება უნდა განხორციელდეს კანონის თანახმად და ისიც, როგორც უკიდურესი ზომა და, დროის რაც შეიძლება შესაფერისი ხანმოკლე პერიოდით...“

მუხლი მე-40 ადგენს:

“1. ხელმომწერი სახელმწიფოები აღიარებენ ყველა იმ ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედება მისი დარღვევა ან დამნაშავედაა მიჩნეული მის დარღვევაში, ისეთ მოპყრობაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში ღირსებისა და პიროვნული მნიშვნელობის გრძობის განვითარებას, განუმტკიცებს ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას და რომლის დროსაც გათვალისწინებულია ბავშვის ასაკი და საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და მის მიერ საზოგადოებაში სასარგებლო წვლილის შეტანისთვის ხელშეწყობის სასრველობა.

2) ამ მიზნით... მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ

...

b) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, სულ მცირე, ჰქონდეს შემდეგი გარანტიები:

...

(vii) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები შეეცდებიან, ხელი შეუწყონ ისეთ ბავშვებთან უშუალოდ დაკავშირებული კანონების, პროცედურების, სახელისუფლებო ორგანოებისა და ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც რომლებმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვიეს სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან დამნაშავედ არაინ მიჩნეული მის დარღვევაში, და კერძოდ:

ა) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის ქვემოთაც მიჩნეულია, რომ ბავშვს არა აქვს სისხლის სამართლის კანონის დარღვევის უნარი;

ბ) თუ აუცილებელი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ მიიღონ ზომები სასამართლო განხილვის გარეშე - ადამიანის უფლებათა სრული დაცვით...“

### C. ბავშვის უფლებებთან კომიტეტის ანგარიში გაერთიანებული სამეფოს შესახებ

45. 1995 წლის 15 თებერვლით დათარიღებულ გაერთიანებული სამეფოს შესახებ შემაჯამებელი ანგარიშში (CRC/C/15/add.34) კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგისთვის შექმნილმა გაეროს კომიტეტმა, *inter alia*, დაადგინა:

“35. კომიტეტის რეკომენდაციით უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ არასრულწლოვანთა მართმსაჯულება უფრო მეტად იყოს ბავშვზე ორიენტირებული...“

36. უფრო კონკრეტულად, კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ სერიოზულად იქნეს განხილული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის გაზრდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე...”

**D. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966წ. (შემდგომში „პაქტი“**

46. პაქტის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს, ადგენს:

“არასრულწლოვანთა შემთხვევაში პროცედურა ისე უნდა წარიმართოს, რომ გათვალისწინებულ იქნეს ბავშვის ასაკი და მისი რეაბილიტირების აუცილებლობა“.

**E. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # R (87) 20**

47. მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წლის 17 სექტემბერს მიღებული ზემოთ ხსენებული რეკომენდაცია, *inter alia*, ადგენს:

“მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს სტატუტის მე-15 მუხლის b პუნქტის შესაბამისად

...

ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევაზე სოციალური რეაგირებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ახალგაზრდის პიროვნება და სპეციფიკური საჭიროებები; ინტერვენცია უნდა იყოს სპეციალიზებული და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული მოპყრობა, რომელიც შეესაბამება გაეროს ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს;

დარწმუნებულია, რომ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს არასრულწლოვნის განათლებაზე და სოციალურ ინტეგრაციაზე . . .“

...

არასრულწლოვანთა მართლმასჯულების ადმინისტრირების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (პეკინის წესები) შესაბამისად ურჩევს

წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, საჭიროების შემთხვევაში, გადახედონ საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკას, რათა

...

4. არასრულწლოვანთა გასამართლება განხორციელდეს სწორად, თავიდან იქნეს აცილებული პროცესის გაჭიანურება და განხორციელდეს ეფექტური საგანმანათლებლო ღონისძიებები;

5. თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა სრულწლოვანთა სასამართლოებში მაშინ, როდესაც არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლო;

...

8. განმტკიცდეს სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვანთა სამართლებრივი მდგომარეობა და, *inter alia*, აღიარონ

...

არასრულწლოვანთა უფლებები მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის თვალსაზრისით;

...”

**IV. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ევროპაში**

48. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი კვიპროსში, ირლანდიაში, შვეიცარიაში და ლიხტენშტეინში არის შვიდი წელი; რვა წელია შოტლანდიაში, ცამეტი - საფრანგეთში; თოთხმეტი - გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ სახელმწიფოში; თხუთმეტი წელი სკანდინავიის ქვეყნებში; თექვსმეტი წელი პორტუგალიაში, პოლონეთსა და ანდორაში, ხოლო თვრამეტი - ესპანეთში, ბელგიასა და ლუქსემბურგში.



## საქმის განხილვა კომისიის წინაშე

49. განმცხადებელმა კომისიას 1994 წლის 20 მაისს მიმართა. იგი დავობდა, რომ მისი ახალგაზრდა ასაკიდან გამომდინარე, სრულწლოვანთა სამეფო სასამართლოში გასამართლებამ, საქმის საჯაროდ განხილვამ და პროცესის სადამსჯელო ბუნებამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც კრძალავს არაადამიანურ, დამამცირებელ, ან სასტიკ მოპყრობას. გარდა ამისა, იგი ასაჩივრებდა სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვას და კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას. იგი ასევე ირწმუნებოდა, რომ განიცადა დისკრიმინაცია კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენის მომენტში ათ წელზე მცირე ასაკის ბავშვს არ შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა; რომ მასზე დაკისრებული სასჯელის ფორმა - მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობა - არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლების უფლებას; რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, როდესაც ტარიფი მოსამართლემ კი არა, სახელმწიფო მოხელემ განსაზღვრა; და რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი როდესაც მას არ მიეცა საშუალება, თავისი განგრძობადი პატიმრობის კანონიერება გადაემოწმებინა ისეთ სასამართლო ორგანოში, როგორცაა შეწყალების კომისია.

50. განხილვის შემდეგ, 1998 წლის 6 მარტს კომისიამ (no. 24724/94) დასაშვებად ცნო განცხადება. 1998 წლის 4 დეკემბრის ანგარიშში (კონვენციის ყოფილი 31-ე მუხლი), მან გამოხატა მოსაზრება, ჩვიდმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ მომჩივანის სასამართლო პროცესთან მიმართებაში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია; თოთხმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ შეილახა განმცხადებლის უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია კონვენციის მე-6 მუხლით; თხუთმეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ მომჩივანის საქმესთან მიმართებაში მე-14 მუხლის ფარგლებში დამოუკიდებელი საკითხი არ წარმოიშობა; ჩვიდმეტი ხმით ორის წინააღმდეგ დაადგინა, რომ მომჩივანის სასჯელთან მიმართებაში კონვენციის მე-3 მუხლით და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული უფლებები არ დარღვეულა; თვრამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა რომ მომჩივანის სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებით დაირღვა მე-6 მუხლით განსაზღვრული უფლება და თვრამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი უფლებები.

## სასამართლოს წინაშე წარდგენილი საბოლოო მოსაზრებები

51. თავის პეტიციაში და საქმის მოსმენისას, განმცხადებელმა სთხოვა სასამართლოს, დაედგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა მის სასამართლო პროცესთან და განაჩენთან დაკავშირებით, მე-14 მუხლის დარღვევა მისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, სავარაუდოდ, დისკრიმინაციულად დაკისრების გამო, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა მის სასამართლო პროცესთან და ტარიფის დადგენის პროცედურებთან მიმართებაში, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა სასჯელთან მიმართებაში, რომლის ვადაც განისაზღვრა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ, და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა მისი პატიმრობის კანონიერების გადახედვის უფლების შელახვის გამო. მან ასევე სთხოვა სასამართლოს დაეკმაყოფილებინა სტრასბურგის სასამართლოს იურიდიული ხარჯები.

მთავრობამ კი სასამართლოს მოსთხოვა დაუშვებლად ეცნო განმცხადებლის საჩივარი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არამონჭურვის გამო და დაედგინა რომ მომჩივანის შემთხვევაში კონვენციით დადგენილი უფლებები არ დარღვეულა.

## კანონი

### I. კონვენციით დადგენილი საკითხები სასამართლო პროცესთან მიმართებაში

#### A. სახელმწიფოს პირველადი პრეტენზია

52. მთავრობამ წარმოადგინა აზრი, რომ განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით დაუშვებელია, ვინაიდან მას არ ამოუწურავს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს:

„სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია საქმის განახილველად მიღება, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად, და მანამ, სანამ ამოიწურება ექვსი თვე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.

მთავრობამ მიუთითა, რომ არც სასამართლო პროცესამდე, არც პროცესის მიმდინარეობის პერიოდში და არც აპელაციის ეტაპზე, განმცხადებლის სახელით არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ მას გარკვეული სირთულეები ჰქონდა სასამართლო პროცესის აღქმის ან გააზრების თვალსაზრისით, ან იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სასამართლო პროცესმა მის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა გამოიწვია. მთავრობამ ასევე საიდუმლო საბჭოს გადაწყვეტილება საქმესთან - *ქუნათი სახელმწიფოს წინააღმდეგ* (იხილეთ 32-ე პუნქტი ზემოთ) - დაკავშირებით, სადაც, როგორც ისინი ირწმუნებოდნენ, მომჩივანი დაეყრდნო ინგლისურ კანონმდებლობას, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მსგავსად, მოითხოვს, რომ განსასჯელს უნდა ესმოდეს და უნდა მონაწილეობდეს მის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლისსამართლებრივ პროცესში.

53. განმცხადებელი უარყოფდა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი იყო სამართლებრივი დაცვის რაიმე ქმედითი საშუალება მის მიერ წარდგენილი საჩივრის ფარგლებში. იგი ამტკიცებდა, რომ თუკი იგი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას მოითხოვდა, ეს მოთხოვნა მაინც არ დაკმაყოფილდებოდა, რადგან მისი ემოციური და ფსიქოლოგიური აშლილობის დონე საკმარისი არ იყო სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად ქმედუწუნაროდ გამოსაცხადებლად (იხილეთ პუნქტი 31). ხოლო ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი პროკურატურა უარს კი არ იტყოდა საქმეზე, არამედ მანამ გადაავადებდა პროცესს, სანამ მომჩივანი ქმედუწუნარიანად არ ჩაითვლებოდა, რითაც კიდევ უფრო გაუხანგრძლივებდა ტანჯვას მასაც და მის ოჯახსაც.

54. კომისიამ არ დააკმაყოფილა მთავრობის პროტესტი მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის როგორც დასაშვებობასთან, ისე ხარისხთან დაკავშირებით იმ საფუძველით, რომ საკითხები, რომელზეც მომჩივანი კონვენციის მე-3 მუხლსა და მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე დაყრდნობით დავობდა, გამომდინარეობდა ინგლისური სისტემიდან, სადაც 10 და მეტი წლის ასაკის არასრულწლოვნები, რომლებიც საკმარისად არიან მომნიჭებული საიმისოდ, რომ განასხვავონ ცუდი და კარგი, მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში უნდა წარდგენენ სამეფო სასამართლოს წინაშე. კომისიის აზრით, ყველა შემთხვევაში წარუმატებელი იქნებოდა ტ-ს მხრიდან გაკეთებული ნებისმიერი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სისტემა არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მის მიმართ.

55. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი წესი ეროვნული მექანიზმების ამოწურვის თაობაზე, განმცხადებლისგან ეროვნული სამართლებრივი სისტემით განსაზღვრული დაცვის მექანიზმების ამოწურვას მოითხოვს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ სახელმწიფოები ევროპულ სასამართლოში პასუხის გაცემის ვალდებულების წინაშე არ აღმოჩნდნენ მანამ, სანამ აქვთ საკითხის საკუთარი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მოგვარების შესაძლებლობა. წესი ეფუძნება ვარაუდს, რომ ეროვნული სისტემა უზრუნველყოფს ეფექტიან დაცვით საშუალებებს სავარაუდო დარღვევებთან მიმართებაში. მტკიცების ტვირთი აწევს სახელმწიფოს, რომელიც აცხადებს, რომ მოცემულ მომენტში თეორიულადაც და

პრაქტიკაშიც ჰქონდა ეფექტიანი დაცვის საშუალებები; რაც ნიშნავს, რომ დაცვის საშუალება იყო ხელმისაწვდომი, შეეძლო კორექტივების შეტანა განმცხადებლის სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში და ჰქონდა წარმატების გონივრული პერსპექტივა. თუმცა მტკიცების ტვირთის დაკმაყოფილების შემდეგ განმცხადებელი ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული დაცვის საშუალებები სინამდვილეში ამონურული იყო, ან კონკრეტულ ვითარებაში იყო არაადეკვატური და არაეფექტური, ან არსებობდა განსაკუთრებული გარემოება, რომელიც მას მოთხოვნებიდან ათავისუფლებდა (იხილეთ *Akdivar and Others v. Turkey* 1996 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1996-IV, pp. 1210-11, §§ 65-68).

56. განმცხადებელი კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტზე დაყრდნობით ჩიოდა, რომ, *inter alia*, მისი მოუმნიფებლობისა და ემოციური აშლილობის გათვალისწინებით, სამეფო სასამართლოში გამართული პროცესის საჯაროობა მის მიმართ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდა და იყო უსამართლო, რადგან მას სრულყოფილად არ შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა. მთავრობამ მოიშველია საიდუმლო საბჭოს გადაწყვეტილება საქმესთან - ქუნათის სახელმწიფოს წინააღმდეგ (იხ. პუნქტი 32) - დაკავშირებით, როგორც მსგავსი საჩივრების საპასუხო ეფექტური საშუალება.

57. სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუნათის შემთხვევაში საიდუმლო საბჭო განიხილავდა სრულიად განსხვავებულ სიტუაციას ბრალდებულ პირთან მიმართებაში, რომელსაც არ შეეძლო სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან ეს პროცედურები მისთვის უცხო ენაზე წარმოებდა. სასამართლო მიუთითებს ინგლისის სისხლის სამართლის კარგად დადგენილ წესზე, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი დევნის შესაჩერებლად, გონებრივი ნაკლოვანებების მქონე ბრალდებულმა ნაფიც მსაჯულთა წინაშე უნდა დაამტკიცოს, რომ არის უუნარო, არ შეუძლია გააცნობიეროს სამართალწარმოება, რჩევები მისცეს თავის სოლისიტორებს და თვალყური ადევნოს მტკიცებულებებს (იხილეთ პუნქტი 31 ზემოთ). გარდა ამისა, ინგლისის კანონმდებლობა აკისრებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ათიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს თუკი პროკურატურამ გონივრული ეჭვის გარეშე დაადგინა, რომ სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში ბავშვს ესმოდა თავისი ქმედების არასწორობა და რომ ეს ქმედება არ წარმოადგენდა უბრალო სიცელქეს (იხილეთ პუნქტი 27). დაბოლოს, არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც განზრახ მკვლელობაში, გაუფრთხილებლობით მკვლელობასა და სხვა სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილი ათ წელზე მეტი ასაკის ბავშვების საქმე საჯაროდ, სამეფო სასამართლოში განიხილება (იხილეთ პუნქტი 28).

58. დადგენილი არაა, რომ განმცხადებლის უმნიფარობა და მისი ემოციური აშლილობის მდგომარეობა საკმარისი იყო სისხლის სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობისთვის ქმედუუნარობის ტესტის დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, პროკურატურამ შეძლო *doli incapax* პრეზუმფციის უარყოფა განმცხადებელთან მიმართებაში. თუმცა სახელმწიფოს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია არც ერთი მაგალითი საქმეებისა, სადაც ბრალდებულმა, რომელიც სრულად ვერ აკმაყოფილებდა ქმედუუნარობის მოთხოვნებს, შეძლო სისხლისსამართლებრივი პროცედურების შეჩერება იმ საფუძვლით, რომ იგი სრულყოფილად ვერ მიიღებდა მათში მონაწილეობას, ან სადაც მკვლელობასა თუ სხვა სერიოზულ დანაშაულში ბრალდებული ბავშვისთვის შეიცვალა სისხლისსამართლებრივი პროცედურები იმ მიზეზით, რომ სამეფო სასამართლოში საჯარო განხილვა უარყოფით გავლენას იქონიებდა მასზე და იქნებოდა მისთვის საზიანო.

59. ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს არ მიაჩნია, რომ სახელმწიფო გათავისუფლდა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთისგან და უზრუნველყო განმცხადებელი დაცვის მექანიზმებით, რომელიც იძლევა კონვენციის ფარგლებში წარმოდგენილ საჩივართა დაკმაყოფილების გონივრულ პერსპექტივას.

შესაბამისად, სასამართლო არ აკმაყოფილებს მთავრობის პირველად პრეტენზიას.

## B. კონვენციის მე-3 მუხლი

60. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პრესტონის სამეფო სასამართლოში გამართული მისი სასამართლო პროცესი იყო არაჰუმანური და დამამცირებელი და არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც ადგენს:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობასა თუ სასჯელს“.

61. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის საერთო ეფექტი; სასამართლო პროცესის ბრალდებითი ხასიათი; პროცესის საჯარო სასამართლოში ზრდასრულთა პროცედურების შესაბამისად წარმოება; პროცესის ხანგრძლივობა; სასამართლო განხილვაში თორმეტი უცხო ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობა; სასამართლო დარბაზის ნყობა; მედიისა და საზოგადოების გადაჭარბებული ინტერესი; ციხის მანქანაზე ხალხის მხრიდან თავდასხმები; და ბრალდებულთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნება, მის განაჩენთან დაკავშირებულ მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად (რომელიც ქვემოთ, 92–100 პუნქტებში არის განხილული) კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

62. იგი აცხადებდა რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი რომელიც ინგლისსა და უელსში 10 წლით განისაზღვრება დაბალია მრავალ სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი საშუალოდ 13 წელს ან უფრო მეტს შეადგენს (იხილეთ პუნქტი 48 ზემოთ). მან ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო და შედარებით სამართალში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ზრდის აშკარა ტენდენცია შეინიშნებოდა და მიუთითა პეკინის წესების მეოთხე წესსა და ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ გაერთიანებულ სამეფოს უნდა გაეზარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი (იხ. პუნქტები 43 და 45 ზემოთ). მან აღიარა, რომ სახელმწიფოს პრინციპში შეეძლო 10 წლის ბავშვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ისე, რომ არ დარღვეულიყო მე-3 მუხლით განსაზღვრული ბავშვის უფლებები. მაგრამ სახელმწიფოს ევალებოდა, ბავშვის ასაკისა და დაუცველობის გათვალისწინებით შეეცვალა სასამართლო პროცედურები.

63. განმცხადებელმა სასამართლოს შეახსენა, რომ დანაშაულის ჩადენისას ისათის, გასამართლების დროისათვის კი თერთმეტი წლისა იყო. ამასთანავე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, იგი განიცდიდა პოსტტრავმულ სტრესს (იხილეთ პუნქტი 11 ზემოთ). მიუხედავად ამისა, ის ზრდასრულთა საჯარო პროცესზე დაშინებისა და დამამცირებელი მოპყრობის ობიექტად იქცა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით აღიარებულია, რომ დაუშვებელია არასრულწლოვანთა საქმის განხილვა ზრდასრულთა სასამართლო პროცედურებით საჯარო პროცესზე, რომელსაც ბრალდებითი ხასიათი აქვს. (იხ. ზემოთ, 43-ე და 47-ე პუნქტები).

64. მთავრობა არ დაეთანხმა და უარყო, რომ განმცხადებლისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება და სასამართლო პროცესის ზრდასრულთა სასამართლოში საჯაროდ გამართვა არღვევდა მე-3 მუხლით განსაზღვრულ მის უფლებებს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ ხელმომწერ სახელმწიფოებს შორის არსებული პრაქტიკა სხვადასხვაგვარია და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი შვიდი წლიდან (როგორც ეს იყო კვიპროსში, ირლანდიაში, ლიხტენშტეინსა და შვეიცარიაში), თვრამეტ წლამდე (როგორც ეს არის რამდენიმე სხვა ევროპულ სახელმწიფოში) მერყეობს. არ არსებობს საერთაშორისო პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონკრეტულ ასაკს: გაეროს კონვენციის მე-40 მუხლი სახელმწიფოებისგან მინიმალური ასაკის დადგენას მოითხოვს, მაგრამ არ აწესებს ამ ასაკს. პეკინის წესები, რომლებსაც ეყრდნობა განმცხადებელი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სავალდებულოდ არ ითვლება. პრემბულა სთავაზობს სახელმწიფოებს ამ დოკუმენტის მიღებას, მაგრამ თავად სახელმწიფოს გადასაწყვეტია, გაითვალისწინოს თუ არა ეს შემოთავაზება.

65. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის მიმართ არაჰუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია და მიუთითა იმ მოდიფიცირებებზე, რომლებიც სასამართლო პროცესთან მიმართებით განხორციელდა იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო

განმცხადებელი და თავიდან აცილებულიყო დამამცირებელი მოპყრობა. სასამართლო მოსმენის ხანგრძლივობა შეცვლილი იყო, მოსამართლემ ნათლად მიუთითა, რომ ის მზად იყო შეეწყვიტა სასამართლო პროცესი ნებისმიერ მომენტში, როდესაც რომელიმე განსასჯელი დაილტვებოდა, შესვენების დროს განსასჯელებს საშუალება ჰქონდათ, დაესვენათ მშობლებთან ერთად, ისინი სასამართლო დარბაზში თავიანთი სოციალური მუშაკის გვერდით ისხდნენ საგანგებოდ შემალტვულ ადგილას, რომ კარგად დაენახათ, რა ხდებოდა გარშემო.

66. კომისიამ თავის ანგარიშში მიუთითა, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას განმცხადებლის დათრგუნვის ან დამცირების განზრახვას ადგილი არ ჰქონია. მეტიც, თუკი არსებობს მტკიცებულებები, რომ სისხლის სამართლის პროცესმა გამოიწვია განმცხადებლის ტანჯვა, ამის უმთავრესი მიზეზი იქნებოდა ის ფაქტი, რომ მან ჩაიდინა საშინელი დანაშაული და ამ დანაშაულის შედეგების პირისპირ აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

67. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს. ის კრძალავს წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ფიზიკური დასჯის ნებისმიერ ფორმას, მიუხედავად მსხვერპლის ქცევისა (იხილეთ *Chahal v. the United Kingdom* 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1996-V, p. 1855, § 79). შესაბამისად, ვ-სა და განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს მე-3 მუხლის განხილვისას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

68. სისასტიკემ მინიმალური ფორმით მაინც უნდა იჩინოს თავი იმისათვის, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში იქნეს განხილული. ამ მინიმუმის შეფასება, რა თქმა უნდა, ფარდობითია; ის დამოკიდებულია საქმის ისეთ გარემოებებზე, როგორცაა მოპყრობის ან სასჯელის ბუნება და კონტექსტი, მისი აღსრულების მეთოდი და ფორმა, მისი ხანგრძლივობა, ფიზიკური ან ფსიქიკური ეფექტი და, ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. სხვა მაგალითებს შორის *Soering v. the United Kingdom* 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, *Series A no. 161*, p. 39, § 100).

69. მოპყრობა სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა „არაადამიანურად“, ვინაიდან, *inter alia*, ის იყო წინასწარგანზრახული, გრძელდებოდა საათების მანძილზე, იწვევდა ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზიანს და ასევე იყო „დამამცირებელი“, რადგან განსასჯელს შიში, ტანჯვა და არასრულფასოვნების გაცდა მოუტანა, რაც, თავის მხრივ, დამცირებასა და შეურაცხყოფას იწვევს. იმისათვის, რომ სასჯელი ან მოპყრობა „არაჰუმანურად“ ან „დამამცირებლად“ იქნეს მიჩნეული, მასთან დაკავშირებული ტანჯვა ან დამცირება უნდა აღემატებოდეს კანონიერი მოპყრობისა თუ სასჯელის თანამდევ გარდაუვალ ტანჯვასა და დამცირებას (*ibid*). საკითხი, ისახავდა თუ არა მიზნად მოპყრობის კონკრეტული ფორმა მსხვერპლის დამცირებას ან დატანჯვას, წარმოადგენს დამატებით ფაქტორს, რომელიც უსათუოდ იქნება გათვალისწინებული (მაგალითისთვის იხ. *Raninen v. Finland*, 1997 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Reports* 1997-VIII, pp. 2821-22, § 55). თუმცა ასეთი მიზნის არარსებობა სავსებით ვერ გამოიციხავს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

70. სასამართლომ პირველ რიგში განიხილა, არღვევს თუ არა ათი წლის ასაკში ჩადენილი ქმედებისთვის განმცხადებლისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება კონვენციის მე-3 მუხლს. ამ საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო პრეცედენტულ სამართალში კარგად დამკვიდრებული პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ ვინაიდან კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, იმის დადგენისას, შეესაბამება თუ არა ესა თუ ის ღონისძიება მის კონკრეტულ დებულებას, გათვალისწინებულ იქნეს ის სტანდარტები, რომლებიც დომინირებს ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში (იხ. *Soering*-ის საქმეზე ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება გვ. 40, § 102; ასევე *Dudgeon v. the United Kingdom* 1981 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება სერია A # 45, და *X, Y and Z. v. the United Kingdom* 1997 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, *Reports* 1997-II).

71. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს რომ მოცემული მომენტისთვის ევროპაში საყოველთაოდ მიღებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. მაშინ როდესაც ხელმომწერი სახელმწიფოების უმეტესობაში

დადგენილი მინიმალური ასაკი უფრო მაღალია, ვიდრე ინგლისსა და უელსში, ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში, როგორებიცაა, მაგალითად, კვიპროსი, ირლანდია, ლიხტენშტეინი და შვეიცარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უფრო დაბალი ასაკობრივი ზღვარი მოქმედებს. გარდა ამისა, შესაბამისი, საერთაშორისო დოკუმენტებისა და ინსტრუმენტების შესწავლით რაიმე საერთო ტენდენციის დადგენა რთულია (იხ. ზემოთ 43-ე და 44-ე პუნქტები). პეკინის წესების მე-4 წესი - რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ არ არის სავალდებულო, შესაძლოა განაპირობოს გარკვეული საერთაშორისო კონსენსუსი - არ აკონკრეტებს განსაზღვრულ ასაკს რომელზეც უნდა იყოს ფიქსირებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ ასაკობრივი ზღვარი არ იყოს ძალიან დაბალი. გაეროს კონვენციის მე-40 მუხლის მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტი კი ხელმომწერი სახელმწიფოებისგან მოითხოვს მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის ქვემოთაც ბავშვები სისხლისსამართლებრივი გადაცდომების შემთხვევაში შეურაცხადად უნდა იქნენ მიჩნეულნი. თუმცა არც ეს პუნქტი განმარტავს, სად უნდა გადიოდეს ეს ასაკობრივი ზღვარი.

72. სასამართლოს არ მიაჩნია, რომ ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის ამ ეტაპზე არსებობს აშკარად ჩამოყალიბებული ერთიანი სტანდარტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ინგლისი და უელსი განეკუთვნება იმ მცირე ევროპულ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის დაბალი ასაკობრივი ზღვარია დადგენილი, ათი წელი მაინც არაა ისეთი დაბალი ასაკობრივი ზღვარი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სხვა ევროპულ ქვეყნებში დადგენილი სტანდარტებისგან. სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება თავისთავად არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

73. განმცხადებლის სარჩელის მეორე ნაწილი, მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით ეხება ფაქტს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობდა სამ კვირას, საჯაროდ, ზრადსრულთა სამეფო სასამართლოში და შესაბამისი ფორმალობების დაცვით და იმ ფაქტს, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ მსჯავრდებულთა ვინაობა გამჟღავნდა.

74. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი მინიმალური გარანტია, რომელსაც გაეროს კონვენციის მე-40 მუხლის მეორე ნაწილის ბ ქვეპუნქტი დანაშაულში ბრალდებული ბავშვებთან მიმართებაში იძლევა, ისაა, რომ საქმის განხილვის ყველა სტადიაზე დაცული უნდა იყოს მათი კონფიდენციალურობა. ამის მსგავსად, პეკინის წესების მე-8 წესი ადგენს, რომ „არასრულწლოვნის პირადი ცხოვრება დაცული უნდა იყოს ყველა სტადიაზე“ და „არ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გამოაშკარაოს არასრულწლოვნის ვინაობა“. დაბოლოს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1987 წელს გამოსცა რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლოები, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკას და თავიდან აიცილონ არასრულწლოვანთა საქმეების ზრდასრულთა სასამართლოში განხილვა და რომ დაცული უნდა იყოს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრება (იხ. ზემოთ 43-ე, 44-ე და 47-ე პარაგრაფები).

75. სასამართლოს მიაჩნია, რომ ყოველივე ზემოთ თქმული ასახავს საერთაშორისო ტენდენციას არასრულწლოვანი განსასჯელის პირადი ცხოვრების დაცვის სასარგებლოდ და მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში გაეროს კონვენცია სავალდებულოა გაერთიანებული სამეფოსთვის, ისევე როგორც ევროსაბჭოს სხვა წევრი სახელმწიფოებისთვის (იხ. 44-ე მუხლი). გარდა ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს: „პრესა და საზოგადოება შეიძლება საერთოდ არ დაუშვან, ან დაუშვან სასამართლო განხილვის ზოგიერთ ეტაპზე... როდესაც ამას... არასრულწლოვანთა ინტერესები მოითხოვს“ (იხ. ქვემოთ მომდევნო 79-ე პუნქტი). მართალია, ასეთი ტენდენციის არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ გასათვალისწინებელ ფაქტორს, რომელიც უსათუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში, როდესაც ვაფასებთ, რამდენად შეესაბამებოდა განმცხადებლის მიმართ მოპყრობა კონვენციის სხვა მუხლებს, მაგრამ ეს ვერ იქნება განსმსაზღვრელი იმ საკითხის გადანყვეტისას, აღწევდა თუ არა სასამართლო პროცესის საჯაროობა სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის ზემოთაც საკითხი მე-3 მუხლის ფარგლებში უნდა განიხილებოდეს (იხილეთ 68-ე პარაგრაფი).

76. სასამართლო აღიარებს, რომ განმცხადებლის მიმართ სამართლებრივი დევნის პროცესში ხელისუფლებას მიზნად არ ჰქონია მისი დამცირება ან დატანჯვა. მართლაც, განხორციელდა

საგანგებო ღონისძიებები სამეფო სასამართლოს პროცედურების შესაცვლელად, რომ ბრალდებულთა ახალგაზრდა ასაკის გათვალისწინებით შემსუბუქებელიყო ზრდასრულთა სასამართლო პროცესის მკაცრი გარემო (იხილეთ მე-9 პარაგრაფი ზემოთ).

77. იმ შემთხვევაშიც კი თუ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ განმცხადებლის მიმართ განხორციელებულმა პროცედურებმა თერთმეტი წლის ბიჭზე საზიანო ეფექტი იქონია (იხ. ზემოთ მე-17 და მე-18 პუნქტები), სასამართლო მიიჩნევს რომ ვ-სა და განმცხადებლის მიერ ჩადენილ ქმედებათა გარემოებების განსაზღვრისკენ მიმართული ნებისმიერი პროცედურა ან მოკვლევა, იქნებოდა ის საჯარო თუ დახურული, სამეფო სასამართლოს ფორმალურ თუ არასრულწლოვანთა სასამართლოს არაფორმალურ პირობებში, განმცხადებელში დანაშაულის, სულიერი ტანჯვისა და შიშის გრძნობას გამოიწვევდა. დოქტორ ვიზარდის მტკიცებულება ცხადყოფს, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე ტ-ს აღმოაჩნდა პოსტტრავმული სტრესის ნიშნები, რაც ჩადენილ დანაშაულზე გამუდმებით საუბარში, ძლიერ ნერვულ აშლილობაში, ცუდ კვებასა და ძილის პრობლემებში გამოიხატებოდა (იხ. ზემოთ მე-11 პუნქტი). შესაძლოა სასამართლო პროცესის საჯაროობამ გარკვეულწილად გაამძაფრა განმცხადებლის ეს გრძნობები. თუმცა სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ სასამართლო პროცესის კონკრეტული თავისებურებები მნიშვნელოვნად გაზრდიდა იმ სულიერი ტანჯვის ხარისხს, რომელიც გარდაუვლად ექნებოდა განმცხადებელს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე - მიუხედავად იმისა, თუ რა ზომებს განახორციელებდნენ სახელმწიფო ორგანოები. (იხ. ზემოთ მე-69-ე პარაგრაფი).

78. შესაბამისად, სასამართლოს არ მიაჩნია რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

### C. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი

79. გარდა ამისა, განმცხადებელი დავობდა, რომ მას ჩამოერთვა სამართლიანი სასამართლოს უფლება და დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც ამბობს:

“წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, რომ მისი საქმე გაირჩეს სამართლიანად და საქვეყნოდ, გონივრულ ვადებში და კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საქვეყნოდ; სასამართლო პროცესის ზოგიერთ ეტაპზე ან მთელ პროცესზე შეიძლება არ დაუშვან პრესა და საზოგადოება. ეს შეიძლება მოხდეს ზნეობრივი მოსაზრებებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე; აგრეთვე მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან თუკი სასამართლოს აზრით, ეს აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, რადგან საჯაროობა ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს.

...”

80. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს განსასჯელის უფლებას, დაესწროს საკუთარ სასამართლო პროცესს და ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა თავისი საქმის განხილვაში (ის დაეყრდნო საქმის - **Stanford v. the United Kingdom - 1994** წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებას, სერია **A # 282-A**, გვ. 10-11, § 26). მან ასევე მიუთითა დოქტორ ვიზარდის მოსაზრებაზე, რომელიც 1993 წლის 5 ნოემბრით დათარიღებულ ანგარიშში აღნიშნავს, რომ პოსტტრავმული სტრესით გამოწვეულმა აშლილობამ და დანაშაულის ჩადენის დღიდან ფსიქიატრიული მკურნალობის არარსებობამ, ხელი შეუშალა განმცხადებელს, სათანადო მითითებები მიეცა ადვოკატებისთვის და ადეკვატური ჩვენებებით გამოსულიყო თავის დასაცავად (იხ. ზემოთ მე-11 პუნქტი).

81. მთავრობა არ ეთანხმება აზრს, რომ სასამართლო პროცესის საჯაროობამ შელახა განმცხადებლის უფლებები. მან მიუთითა, რომ საჯაროობა ემსახურება განსასჯელის ინტერესებს და საქმის სამართლიანად გარჩევისა და მოწმეთა ნახალისების სანინდარს წარმოადგენს. გარდა ამისა, მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული საქმეების განხილვა უნდა განხორციელდეს ღიად, რომ საზოგადოებამ დაიკმაყოფილოს კანონიერი ცნობისნადილი და შეინარჩუნოს რწმენა მართლმსაჯულების მიმართ. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებლის ინტერესებს იცავდა

მაღალკვალიფიციური, გამოცდილი ადვოკატი და, შეძლებისდაგვარად, მოხდა პროცედურების მოდიფიცირება იმისათვის, რომ განსასჯელებს სამალთალწარმოებაში გარკვევა და მონაწილეობა გაადვილებოდათ (იხილეთ პუნქტი 9 ზემოთ).

82. კომისიამ გამოხატა თვალსაზრისი, რომ როდესაც ბავშვს სისხლის სამართლებრივ ბრალს წაუყენებენ და როცა ეროვნული სასამართლო სისტემა ბრალის დადგენის მიზნით ახორციელებს ფაქტების გარკვევის პროცედურებს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ასაკი, სიმწიფის ხარისხი და ინტელექტუალური თუ ემოციური შესაძლებლობები. კომისიამ მიიჩნია, რომ თერთმეტი წლის ბავშვის შემთხვევაში პროცესის ზრდასრულთა სასამართლოში საჯაროდ ჩატარება უნდა იქნეს განხილული, როგორც დასაშინებელი პროცედურა და დაასკვნა, რომ განმცხადებლის ასაკის გათვალისწინებით, საქმის ზრდასრულთა სასამართლო სისტემაში საჯაროდ განხილვა ართმევს არასრულწლოვან განსასჯელს პროცესში ეფექტურად მონაწილეობის შესაძლებლობას, რაც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

83. სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-6 მუხლი სრულად უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა თავისი საქმის განხილვაში (იხ. ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება *Stanford*–ის საქმეზე, *loc. cit.*).

აქამდე ჯერ არ დადგენილა, როგორ შეიძლება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი წარმოადგენდეს გარანტიას ბავშვების წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში. კონკრეტულად კი, უნდა გაუქმდეს თუ არა საჯაროობა, რომელიც ზრდასრულთა უფლებების დაცვის გარანტიად მიიჩნევა, ბავშვებთან მიმართებაში, რათა მათ უკეთ გაიაზრონ სასამართლო პროცედურები და უფრო ეფექტურად ჩაერთონ მათში (თუმცა იხ. *Nortier v. the Netherlands - 1993* წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება. განსაკუთრებით, მასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები).

84. სასამართლო კვლავ ხაზს უსვამს ზემოთ ხსენებულ მოსაზრებას, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით და რომ განმცხადებელზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, თავისთავად, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არ წარმოადგენს (იხ. ზემოთ 72-ე პუნქტი). შესაბამისად, ვერ ვიტყვით რომ თუნდაც თერთმეტი წლის ბავშვისათვის სისხლის სამართლის ბრალდების წაყენება ლახავს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. თუმცა, სასამართლო ეთანხმება კომისიას, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ბავშვის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის განხორციელებისას სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული მისი ასაკი, სიმწიფის ხარისხი, ინტელექტუალური თუ ემოციური შესაძლებლობები და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი სათანადოდ გაერკვეს და ჩაერთოს პროცედურებში.

85. აქედან გამომდინარე, მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ბავშვების საქმეები, რომლებიც საზოგადოებისა და მედიის ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენს, უნდა გაირჩეს ისე, რომ მაქსიმალურად შემცირდეს დაშინებისა და სულიერი ტანჯვის ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი ბავშვების საქმეთა განხილვა ინგლისსა და უელსში ხდება არასრულწლოვანთა სასამართლოში, სადაც საზოგადოება არ დაიშვება და სადაც მედიის დასწრება ავტომატურად აკრძალულია (იხ. ზემოთ 28-ე და 29-ე პუნქტები). გარდა ამისა, სასამართლომ უკვე ახსენა საერთაშორისო ტენდენცია - დაცული იყოს განსასჯელი ბავშვის კონფიდენციალურობა (იხილეთ ზემოთ 75-ე პუნქტი). სასამართლომ ყურადღებით განიხილა სახელმწიფოს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის საჯაროდ განხილვა ემსახურება მართლმსაჯულების გასწილობაში საერთო დაინტერესებას (იხ. ზემოთ პუნქტი 81-ე) და მიიჩნევს, რომ, როდესაც ამას ბავშვის ასაკი თუ სხვა მახასიათებლები ან, აგრეთვე, საქმესთან დაკავშირებული გარემოებები მოითხოვს, ეს საერთო ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს შეცვლილი პროცედურებით - შერჩევითი დასწრების უფლებითა და საზოგადოების გონიერების ფარგლებში ინფორმირებით.

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის პროცესი გაიმართა საჯაროდ, სამეფო სასამართლოში და სამ კვირას გრძელდებოდა. განმცხადებლის მცირე ასაკიდან გამომდინარე და იმისათვის, რომ იგი სათანადოდ გარკვეულიყო მიმდინარე განხილვაში, განხორციელდა



სპეციალური ღონისძიებები: მაგალითად, მას განუმარტეს პროცედურები და წინასწარ დაათვალიერებინეს სასამართლო დარბაზი; სასამართლო მოსმენის ხანგრძლივობა შემცირდა, რომ განსასჯელები არ გადალლიყვნენ. მიუხედავად ამისა, სამეფო სასამართლოს ფორმალობები და რიტუალები თერთმეტი წლის ბავშვისთვის ხშირ შემთხვევაში გაუგებარი და დამაფრთხობელი იყო. აშკარაა, რომ სასამართლო დარბაზის მოდიფიკაციამ და განსასჯელების ამალღებულ ადგილას დასმამ (რაც გაკეთდა იმისათვის, რომ მათ კარგად დაენახათ, რა ხდებოდა გარშემო) კიდევ უფრო მეტი უხერხულობა მოუტანა განმცხადებელს, რადგან ამით მან პრესისა და საზოგადოების დეტალური დაკვირვების ობიექტად იგრძნო თავი. როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ, საზოგადოება და პრესა ისეთი ცხოველ ინტერესს იჩენდა პროცესის მიმართ, რომ მოსამართლემ შემაჯამებელი სიტყვისას მიუთითა კიდევ ამ პრობლემაზე და სთხოვა ნაფიც მსაჯულებს, მტკიცებულების შეფასებისას გაეთვალისწინებინათ ეს გარემოება (იხ. ზემოთ 13-ე პუნქტი).

87. როგორც უკვე ითქვა (იხ. ზემოთ 16-ე პუნქტი), განმცხადებელთან მიმართებით ფსიქიატრიული მტკიცებულება მწირია. თუმცა საგულისხმოა, რომ დოქტორი ვიზარდი 1993 წლის 5 ნოემბრით დათარიღებულ ანგარიშში აღნიშნავს, რომ პოსტტრავმული სტრესით გამოწვეულმა აშლილობამ და დანაშაულის ჩადენის დღიდან ფსიქიატრიული მკურნალობის არარსებობამ, ხელი შეუშალა განმცხადებელს, სათანადო მითითებები მიეცა ადვოკატებისთვის და ადეკვატური ჩვენებებით გამოსულიყო თავის დასაცავად (იხ. ზემოთ მე-11 პუნქტი). მეტიც, განმცხადებელი თავის პეტიციაში მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესზე შექმნილმა პირობებმა ხელი შეუშალა საქმის განხილვისთვის თვალყურის დევნებაში და თავისი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე გადწყვეტილებების მიღებაში (იხ. პუნქტი ზემოთ მე-17).

88. სასამართლოს აზრით, მოცემულ ვითარებაში, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არაა ის ფაქტი, რომ განმცხადებლის ინტერესებს გამოცდილი დამალკვალიფიციური ადვოკატები იცავდნენ. ეს საქმე განსხვავდება სტენფორდის საქმისგან (ციტირებულია ზემოთ, მე-80 პარაგრაფში), სადაც სასამართლომ ვერ ნახა დარღვევა განსასჯელის მიერ ზოგიერთი მტკიცებულების ვერგაგების ფაქტში, რადგან მისმა ადვოკატმა, რომელსაც ყველაფერი ესმოდა და, ამავდროულად, კლიენტისგან მითითებების მიღებაც შეეძლო, ტაქტიკური მოსაზრებებით საჭიროდ არ ჩათვალა, რომ განსასჯელი მოწმესთან ახლოს დამჯდარიყო. ამ შემთხვევაში კი, მართალია, ადვოკატები ისე ახლოს ისხდნენ განმცხადებლისგან, რომ, მთავრობის სიტყვებს თუ დავესესხებით, “მათთან ჩურჩულიც კი შეეძლოთ”, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დარბაზის დაძაბულ ატმოსფეროსა და საყოველთაო ყურდლების ცენტრში მყოფ განმცხადებელს მრჩევლებთან ჯეროვნად კონსულტირების საშუალება ჰქონოდა. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ მის უმწიფრობასა და ემოციური აშლილობას, ის, სავარაუდოდ, ვერც სასამართლო დარბაზის გარეთ ითანამშრომლებდა თავის ადვოკატებთან.

89. დასკვნის სახით სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა საშუალება ეფექტურად მიეღო მონაწილეობა თავისი საქმის განხილვაში, რითაც შეილახა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება და დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

**D. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-14 მუხლი**

90. განმცხადებელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტისა და მე-14 მუხლზე დაყრდნობით ჩიოდა, რომ მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება იყო დისკრიმინაციული იმ შემთხვევებთან შედარებით, როდესაც დანაშაულის ჩამდენი ბავშვები ათ წელზე მცირე ასაკისა იყვნენ.

91. სასამართლო მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებაში მის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე. მას მიაჩნია, რომ კონვენციის მე-14 მუხლის ფარგლებში ცალკე საკითხი არ წარმოიშვება და ამიტომაც არ თვლის მართებულად ამ საჩივრის განხილვას.

## II. კონვენციის ფარგლებში განსახილველი სასჯელთან დაკავშირებული საკითხები

### A. კონვენციის მე-3 მუხლი

92. განმცხადებელი ჩიოდა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მისი ასაკიდან გამომდინარე მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობა არაპროპორციულად მკაცრი სასჯელი იყო და არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს (იხ. ზემოთ მე-60 პუნქტი).

ის საუბრობდა ტარიფში ჩადებულ დამსახურებული სასჯელის ელემენტზე - იმ ფაქტზე, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა თავდაპირველ ტარიფად თხუთმეტი წელი დაადგინა და რომ ლორდთა პალატის მიერ ამ გადაწყვეტილების გაუქმების მიუხედავად (იხილეთ პარაგრაფი 24 ზემოთ), უფრო დაბალი ტარიფი კვლავაც არ განსაზღვრულა. ამგვარად, იგი დაექვემდებარა აღმასრულებელ კონტროლს განუსაზღვრელი ვადით, რომლის პირობებშიც გაურკვეველია მისი მომავალი. თუ უფრო დაბალი ტარიფი არ დადგინდა განმცხადებელი შეიძლება თვრამეტი წლის ასაკში არასრულწლოვანი დამნაშავეების დანესებულებაში, ოცდაერთი წლისა კი, ზრადსრულთა საპატიმროში გადაიყვანონ. მეტიც, მას შეიძლება მთელი ცხოვრების ციხეში გატარება მოუწიოს (იხ. ზემოთ 34-ე და 37-ე პუნქტები).

93. სახელმწიფომ განაცხადა, რომ მომჩივანს ბრალად ედება განსაკუთრებით საშიშელი მკვლელობის ჩადენა და, შესაბამისად, მას არ შეუძლია გამოთქვას პრეტენზია იმასთან დაკავშირებით რომ ის ციხეში დარჩება იმ ვადით, რა ვადაც საჭირო იქნება საზოგადოებაში მის უსაფრთხოდ რეინტეგრაციისთვის, ანდა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება ისევ ციხეში შეაბრუნონ. მართალია, ტარიფით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში განსასჯელის დაპატიმრება არა მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოსაზრებებით, არამედ დასჯის მიზნითაც იყო განპირობებული, მაგრამ არც კონვენციის მე-3 და არც გაეროს კონვენციის 37-ე მუხლები არ კრძალავს დანაშაულისთვის არასრულწლოვნის დასჯას. მათ მიუთითებს, რომ განმცხადებელი მოთავსებულია დანესებულებაში, სადაც იღებს განათლებას და სარგებლობს თავისი ასაკისთვის შესაფერისი პირობებით. ის არ აცხადებს პრეტენზიას არსებულ საპატიმრო პირობებთან დაკავშირებით და ყველა მისი საჩივარი არასრულწლოვან დამნაშავეთა დანესებულებასა თუ ციხეში შესაძლო გადაყვენის თაობაზე სხვა არაფერია, თუ არა, სპეკულაცია.

94. კომისია დაეთანხმა სახელმწიფოს. მან მიუთითა საქმის - ჰუსეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, - 1996 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებაზე (*Reports 1996-I*), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობა წარმოადგენს პრევენციულ ზომას და შესაბამისობაშია მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებთან (იხ. ქვემოთ 114-ე და 118-ე პუნქტები). ამიტომაც არ შეიძლება ითქვას რომ განმცხადებელს სამუდამოდ აღეკვეთა თავისუფლება, ან რომ მისი პატიმრობა არღვევს მე-3 მუხლს.

95. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1993 წლის ნოემბერში მკვლელობისთვის მსჯავრდების შემდეგ, განმცხადებელი ავტომატურად დაექვემდებარა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობას. ინგლისური კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით, არასრულწლოვნები რომელთაც მიესაჯათ მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ დაკავება, დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ვალდებულნი არიან, მოიხადონ პატიმრობის განსაზღვრული ვადა - „ტარიფი“. ამის შემდეგ დამნაშავის პატიმრობის ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭირო გახდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (იხ. პარაგრაფი 38–10 და ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება ჰუსეინის საქმესთან დაკავშირებით, გვ. 269-70, § 54). განმცხადებლის ტარიფი პირველად 1994 წლის 22 ივლისს, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 15 წლით განისაზღვრა. მაგრამ 1997 წლის 12 ივნისს ლორდთა პალატამ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და მას შემდეგ ახალი ტარიფი არ დადგენილა. განმცხადებელი არ ჩივის თავისი პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, მაგრამ მიაჩნია, რომ 18 წლის ასაკში არასრულწლოვან დამნაშავეთა დანესებულებაში, ხოლო 21 წლის ასაკში ზრადსრულთა ციხეში მისი გადაყვანის ალბათობა შეიძლება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენდეს.

96. იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა ზემოთ ხსენებული ფაქტები იმდენად სასტიკ მოპყრობას, რომ ირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი (იხ. ზემოთ 68-ე პარაგრაფი), სასამართლო მიუთითებს, რომ გაეროს კონვენციის 37-ე მუხლი კრძალავს 18 წლამდე ასაკის პირთათვის სამუდამო პატიმრობის მისჯას განთავისუფლების შესაძლებლობის გარეშე და ადგენს, რომ ბავშვს პატიმრობა „შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და, დროის რაც შეიძლება შესაფერისი ხანმოკლე ვადით“, პეკინური წესების მე-17.1 (ბ) წესი კი იძლევა რეკომენდაციას, რომ „არასრულწლოვნის პირადი თავისუფლების შეზღუდვა უნდა იქნას დაყვანილი მინიმუმამდე“ (იხილეთ ზემოთ 43-ე და 44-ე პარაგრაფები).

97. სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან კონვენციის ფარგლებში მიიღონ ზომები საზოგადოების მძიმე დანაშაულისგან დასაცავად (იხ. მაგალითად, *A. v. the United Kingdom 1998* წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Reports 1998-VI*, გვ. 2699, § 22, და *Osman v. the United Kingdom 1998* წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Reports 1998-VIII*, გვ. 3159, § 115). სასამართლოს არ მიაჩნია რომ ტარიფში ჩადებული დასჯის ელემენტი არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს, ან რომ კონვენცია უკრძალავს სახელმწიფოებს სერიოზულ დანაშაულში ბრალდებული ბავშვის ან არასრულწლოვნების დასჯას განუსაზღვრელი ვადით, რაც დამნაშავეს ხანგრძლივი ვადით დაპატიმრების ან გათავისუფლების შემდეგ საპატიმროში დაბრუნების საშუალებას იძლევა - თუკი ეს საჭირო გახდება საზოგადოების უსაფრთხოების ინტერსებიდან გამომდინარე. (იხილეთ ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება ჰუსეინის საქმესთან დაკავშირებით, გვ. 269 § 53).

98. სასჯელის მოხდის თვალსაზრისით, განმცხადებელს ჯერ არ მიუღწევია იმ ეტაპისთვის, როდესაც შეეძლება, თავისი პატიმრობის კანონიერების საკითხის განხილვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით მოითხოვოს და რადგან ახალი ტარიფი მისთვის ჯერ არ უცნობებიათ, უნდა ჩაითვალოს, რომ მისი პატიმრობა ამ ეტაპზე დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მიზნებს ემსახურება. სანამ ახალი ტარიფი არ დადგენილა, შეუძლებელია რაიმე დასკვნების გაკეთება სადამსჯელო განმცხადებლის მიერ მოსახდელი პატიმრობის ხანგრძლივობის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტში მან უკვე ექვსი წელი გაატარა საპყრობილეში, სადაც 1993 წლის ნოემბრიდან იმყოფება. სასამართლოს არ მიაჩნია, მოცემული საქმის ცალკეული გარემოებები - მათ შორის განმცხადებლის ასაკი და პატიმრობის პირობები, თუ დაკავების ხანგრძლივობა, წარმოადგენდეს არაადამიანურ ან დამაცირებელ მოპყრობას.

99. ბოლოს, სასამართლო ვერ გამორიცხავს - განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ისეთ პატარა ბავშვს, როგორც განმცხადებელი იყო დაკავების მომენტში - რომ ტარიფის დადგენის ხანგრძლივი, უკანონო გაჭანურება და პატიმრის წლების განმავლობაში გაურკვეველობაში დატოვება, შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მაგრამ, მოცემულ საქმეში, იმის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ მცირე დრო გავიდა მას შემდეგ რაც ტარიფი დაუდგენელია, და რომ საჭირო იყო მრავალი თვალსაზრისის გაანალიზება, *inter alia*, როგორც ვ-ს ისე განმცხადებელთან მიმართებაში (იხილეთ პუნქტი 26 ზემოთ), ასეთ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

100. შესაბამისად, განმცხადებლის სასჯელთან დაკავშირებით მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

## B. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი

101. განმცხადებელი აცხადებს, რომ მისთვის შეფარდებული პატიმრობა იყო უკანონო და არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტს, რომელიც ადგენს:

1. „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურების თანახმად:

ა) კომპეტენტური სასამართლოს განაჩენის შესაბამისად პირის კანონიერი დაპატიმრება;

... ”

განმცხადებელი დავობდა, რომ მკველობის ჩამდენ ყველა არასრულწლოვანზე ერთი და იმავე სასჯელის - მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობის შეფარდება თვითნებურ

ქმედებაა, რადგან არ ხდება მათი ინდივიდუალური გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ამასთან დაკავშირებით მან მიუთითა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) ქვეპუნქტზე და პეკინის წესების მე-16 და მე-17.1.(ა) წესებზე (იხილეთ ზემოთ 43-ე და 44-ე პარაგრაფები), რომლებიც, *inter alia*, მოითხოვს, რომ ბავშვისთვის შეფარდებული პატიმრობა იყოს მაქსიმალურად მოკლევადიანი და სასჯელის დამკისრებლის მთავარი პრიორიტეტი განსასჯელი ბავშვის კეთილდღეობა უნდა იყოს.

102. სახელმწიფომ, რომელსაც კომისიაც დაეთანხმა, უარყო, რომ მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობა შეიძლება უკანონო ან თვითნებურ სასჯელად ჩაითვალოს და მიუთითა, რომ ამ სასჯელის მიზანი იყო, ზუსტად განსაზღვრულიყო საქმის სპეციფიკური გარემოებები და დადგენილიყო პატიმრობის ის ვადა, რაც საჭირო იქნებოდა დასჯის, რეაბილიტაციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის.

103. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფება მას შემდეგ, რაც კომპეტენტურმა სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი პატიმრობა თავსდება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში. სადავო არაა, რომ მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ თავისუფლების აღკვეთა კანონიერია ინგლისური სამართლის მიხედვით და მისი დაკისრება მოხდა კანონით დადგენილი წესით. მეტიც, ვერ ვიტყვით, რომ განმცხადებლის პატიმრობა არ არის შესაბამისობაში თავისუფლების შეზღუდვის მიზანთან, რაც დაშვებულია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის (ა) ქვეპუნქტით. (იხ. *Weeks v. the United Kingdom* 1987 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, სერია A #. 114, p. 23, § 42; და cf. ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება ჰუსეინის საქმეზე, გვ. 269, § 53, სადაც სასამართლო შეეხო არასრულწლოვნის სამუდამო პატიმრობის საკითხს, რამაც შეიძლება წარმოშვას საკითხი, კონვენციის მე-3 მუხლის, მაგრამ არა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში).

104. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

### C. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი

105. განმცხადებელი დავობდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რადგან ტარიფის დადგენა მოხდა არა სასამართლოს, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ (იხ. ზემოთ პარაგრაფი 79-ე).

#### 1. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენება

106. განმცხადებელი, რომელსაც კომისიაც დაეთანხმა, აცხადებს რომ ტარიფის დაფიქსირება წარმოადგენს სასჯელის დადგენას და, შესაბამისად, ისიც უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. ტარიფი განსაზღვრავს პატიმრობის მაქსიმალურ ვადას, რომლის მოხდაც სავალდებულოა დასჯის და პრევენციის მიზნით, ასევე მინიმალურ ვადას, რომელიც უნდა იქნეს მოხდელი მიუხედავად საფრთხისა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სასამართლო განხილვისას (იხილეთ ზემოთ პუნქტები 24 და 41) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობამ და ასევე ლორდთა პალატამ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ტარიფის დაფიქსირების ფუნქცია შეაფასა, როგორც მოსამართლის მიერ სასჯელის განსაზღვრის ფუნქცია. მან დამატებით მიუთითა ირლანდიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე - *State v. O'Brien* [1973] Irish Reports 50), რომლის მიხედვითაც ირლანდიაში გამოყენებული მსგავსი პროცედურები არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, ვინაიდან ბავშვებისთვის სასჯელის განსაზღვრის უფლებამოსილებას სასამართლოს კი არა, აღმასრულებელ ხელისუფლებას ანიჭებდა.

107. მთავრობა არ დაეთანხმა ამ საკითხთან კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის გამოყენებას. მათ განმარტეს, რომ მკვლელობის ჩადენის გამო, განმცხადებელს ავტომატურად შეეფარდა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობა (იხილეთ პუნქტი 34 ზემოთ), სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელის ტარიფის განსაზღვრა კი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმე იყო.

108. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იძლევა გარკვეული უფლებების გარანტიებს „სისხლის სამართლის ნებისმიერი პასუხისმგებლობის... დადგენისას“. ნათელია, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მოიცავს სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას - მათ შორის აპელაციასა და სასჯელის დადგენასაც (მაგალითად, იხ. **Eckle v. Germany 1982** წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, სერია **A # 51**, გვ. 34-35, §§ 76-77). სასამართლომ უნდა გაარკვიოს, არის თუ არა ტარიფის განსაზღვრის პროცედურა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი დამნაშავეების შემთხვევაში სასჯელის განსაზღვრის ტოლფასი და შეიძლება თუ არა ეს საკითხი განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში.

109. უვადო პატიმრობისგან განსხვავებით, რომელიც სასჯელის სახით მკვლევლობაში მსჯავრდებულ სრულწლოვნებს შეეფარდებათ და რომელიც სამუდამო სასჯელს წარმოადგენს, მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობის ხანგრძლივობა განსაზღვრული არ არის. როგორ უკვე აღინიშნა, „ტარიფის“, მიზანია, დააკმაყოფილოს დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნა, რის შემდეგაც დამნაშავეს პატიმრობის გახანგრძლივება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საზოგადოების უსაფრთხოება მოითხოვს (იხ. პუნქტები 38-40 და ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება ჰუსეინის საქმეზე, გვ. 269-70, § 54; cf. **Wynne v. the United Kingdom 1994** წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება, სერია **A # 294-A**, გვ. 14-15, § 35). თუკი მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი საშიშად არ მიიჩნევა, ტარიფი წარმოადგენს მაქსიმალურ ვადას, რომლის მოხდაც მას შეიძლება მოეთხოვოს.

110. სასამართლო მიიჩნევს, - და ეს საქმის გადახედვისას ლორდთა პალატამაც აღიარა (იხ. ზემოთ პუნქტი 41-ე) - რომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ტარიფის დადგენა სასჯელის განსაზღვრის ტოლფასია. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება ამ პროცედურაზეც.

## 2. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან შესაბამისობა

111. კომისია ეთანხმება განმცხადებლის მოსაზრებას, რომ ტარიფის დადგენის პროცედურა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დაცვით არ განხორციელებულა, ვინაიდან გადაწყვეტილების მიმღები იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და არა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი სასამართლო ან ტრიბუნალი. ამასთანავე, განმცხადებელმა მიუთითა, რომ არ ჩატარებულა მოსმენა და მას არ მისცემია შესაძლებლობა, წარმოედგინა ფსიქიატრიული ან სხვა მტკიცებულებები, და რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა შეინარჩუნა დისკრეციული უფლებამოსილება, თავად გადაენციტა, მის ხელთ არსებული რა მასალები გაეზიარებინა განმცხადებლისთვის.

112. სახელმწიფომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, ტარიფის დადგენის პროცედურების სამართლიანად განხორციელების მიზნით მოქმედებდა სათანადო დაცვის მექანიზმები. შესაბამისად, შინაგან საქმეთა მინისტრმა მოისმინა პირველი ინსტანციის მოსამართლისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოსაზრებები, გააცნო განმცხადებელს მოსამართლეების თვალსაზრისები და მოუწოდა მას, გაეკეთებინა წარდგინება ტარიფის მიზანშეწონილი ხანგრძლივობის თაობაზე. მინისტრმა აცნობა განმცხადებელს ფიქსირებული ტარიფის შესახებ და გააცნო თავისი გადაწყვეტილების არგუმენტაცია. ამის შემდეგ განმცხადებელს შეეძლო სასამართლოში გაესაჩივრებინა ეს გადაწყვეტილება.

113. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი *inter alia* უზრუნველყოფს “სამართლიან... სასამართლო განხილვას... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ...”. „დამოუკიდებელი“ ამ კონტექსტში ნიშნავს პროცესში მონაწილე მხარეებისგან და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელს (იხილეთ **Ringisen v. Austria 1971** წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, **Series A no. 13**, p. 39, § 95). შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელმაც დაადგინა განმცხადებლის ტარიფი, აშკარად არ იყო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი, და შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

#### D. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი

114. დაბოლოს, განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი პატიმრობის პერიოდში არ მოხდა სასამართლო ორგანოს მიერ მისი ხანგრძლივი დაპატიმრების კანონიერების გადახედვა. შესაბამისად, მან მიუთითა კონვენციის მე-5 მუხლის 4-ე პუნქტის დარღვევაზე, რომელიც ადგენს:

“ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით ალექვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და ბრძანებს გათავისუფლებას, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი“.

115. განმცხადებელმა გაიზიარა კომისიის მოსაზრება, რომელიც ადგენს (კომისიის ანგარიშის 135-ე პუნქტი), რომ რადგან განუსაზღვრელი ვადით დაპატიმრების ერთადერთი გამართლება შეიძლება მხოლოდ საზოგადოების დაცვა იყოს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 11 წლის ბავშვები სავარაუდოდ, კიდევ განვითარდებიან, როგორც ფიზიკურად, ისე ინტელექტუალურად და ემოციურადაც, მხოლოდ მოკლევადიანი ტარიფი შეიძლება შეესაბამებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის 4-ე პუნქტს. გამორიცხული არაა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ახალგაზრდა დამნაშავემ, რომელიც ამ დროის განმავლობაში გონებრივად უფრო მომწიფდება, განაცხადოს, რომ მისი განგრძობადი პატიმრობის კანონიერების საკითხთან დაკავშირებით ახალი გარემოებები წარმოიშვა. ამ შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტი, ვინაიდან განმცხადებელი პატიმრობაში 1993 წლის ნოემბრიდან იმყოფება და ამ ხნის მანძილზე სასამართლო მიერ მისი საქმის გადასინჯვა არ მომხდარა.

116. სახელმწიფომ კი განაცხადა, რომ პატიმრობის კანონიერების სასამართლო განხილვა განხორციელდა და პატიმრობა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ მას შემდეგ დაწესდა, რაც სასამართლომ განმცხადებელი მკვლელობაში დამნაშავედ სცნო. ტარიფით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო ორგანო - შეწყალების საბჭო, მიიღებს გადაწყვეტილებას გათავისუფლების თობაზე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად (იხ. ზემოთ 36-ე პუნქტი). სანამ ტარიფით განსაზღვრული ვადა არ ამოიწურება, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ აწესებს განაჩენის პერიოდული გადასინჯვის უფლებას, ვინაიდან ტარიფის ვადა დამოკიდებულია დანაშაულის გარემოებებზე და დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის საჭიროებებზე - ანუ ფაქტორებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში არ იცვლება.

117. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის კონტექსტში მის ფუნქციაში არ შედის იმსჯელოს სასჯელის შესაფერის ხანგრძლივობაზე ან სხვა სასჯელზე, რომელიც უნდა მოიხადოს პირმა იმის შემდეგ, რაც მას ეს კომპეტენტურმა სასამართლომ მიუსაჯა (იხილეთ ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება უიკის საქმეზე გვ. 26, 50-ე და, ასევე, 103-ე პარაგრაფები). მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ დაპატიმრებული არასრულწლოვნის შემთხვევაში ტარიფის დაფიქსირება სასჯელის განსაზღვრას გულისხმობს (იხ. ზემოთ 110-ე პარაგრაფი), ამიტომ სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმაზე მსჯელობით, არის თუ არა განმცხადებელი უფლებამოსილი, მოითხოვოს თავისი განგრძობადი პატიმრობის კანონიერების გადასინჯვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

118. სასამართლო ამბობს, რომ როდესაც ეროვნული სასამართლო, განსასჯელის ბრალეულად ცნობის შემდეგ დასჯის მიზნით ადგენს პატიმრობის ფიქსირებულ ვადას, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველობა ამ გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია (იხილეთ *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium* 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A # 12, გვ. 40-41, § 76, და ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება უინის საქმეზე, p. 15, § 36). მაგრამ ეს ასე არაა, როცა საქმე შემდგომი პატიმრობის პერიოდს ეხება, როდესაც თავისუფლების აღკვეთის კანონიერების საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ახალი გარემოებები წარმოიშვას (იხ. ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება უიკის საქმეზე, გვ. 28, § 56, და საქმე *Thynne, Wilson and Gunnell v. the United Kingdom*, 1990 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია A # 190-A, გვ. 26-27, § 68). ჰუსეინის საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში (*op. cit.*, გვ. 269-70, § 54), სასამართლომ მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან დამნაშავესთან მიმართებით გადაწყვიტა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ტარიფის ვადის გასვლის შემდეგ მას უნდა მისცემოდა საშუალება,

პერიოდულად მოეთხოვა პატიმრობის გაგრძელების კანონიერების გადასინჯვა, ვინაიდან ამ პატიმრობის ერთადერთი გამართლება შეიძლება ცვალებადი მახასიათებელი - საშიშროება, ყოფილიყო. ჰუსეინის საქმეში ტარიფის ვადის ამონურვამდე სასამართლოსთვის არ მოუთხოვიათ არსებული ვითარების განხილვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის კუთხით (op. cit., p. 266, § 44).

119. სასამართლომ უკვე გადაწყვიტა, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ განმცხადებლისთვის ტარიფის არდადგენა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დებულების დარღვევის საფუძველს წარმოშობს (იხ. ზემოთ 13-ე პარაგრაფი). შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ პატიმრობის ვადა განუსაზღვრელია და საწყის ეტაპზე ტარიფი დადგინდა არა მოსამართლის, არამედ სახელმწიფო მდივნის მიერ, ვერ ვიტყვი, რომ ზედამხედველობა, რომელსაც კონვენციის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტი მოითხოვს, გათვალისწინებულია სასამართლოს განაჩენში (შეადარეთ გადაწყვეტილება საქმეზე De Wilde, Ooms and Versyp და ზემოთ, 118-ე პარაგრაფში მოყვანილი გადაწყვეტილება უინის საქმეზე).

120. გარდა ამისა, სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილება ტარიფის დადგენის თაობაზე ლორდთა პალატის მიერ 1997 წლის 12 ივნისს გაუქმდა და ამის შემდეგ ახალი ტარიფი არ განსაზღვრულა. ახალი ტარიფის დაუდგენლობა ნიშნავს, რომ განმცხადებლის უფლება, მიმართოს ტრიბუნალს თავისი განგრძობადი პატიმრობის კანონიერების პერიოდულად გადასინჯვისათვის, არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული.

121. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს განაჩენის გამოტანის დღიდან - 1993 წლის ნოემბრიდან წართმეული ჰქონდა შესაძლებლობა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად სასამართლო ორგანოს მიერ მისი განგრძობადი პატიმრობის კანონიერება განხილულიყო. ამ ფონზე სასამართლო ადასტურებს ზემოთ ხსენებული მუხლის დარღვევას.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

122. კონვენციის 41-ე მუხლის ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო დამრღვევი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

#### A. ზიანი

123. განმცხადებელს არ მოუთხოვია არც ფინანსური და არც მორალური ზარალის ანაზღაურება;

#### B. ხარჯები

124. სტრასბურგში სამართალწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით, განმცხადებელმა მოითხოვა ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურება 12,740.08 ფუნტი სტერლინგის (GBP) ოდენობით, დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გარეშე და ბარისტერის მომსახურების საფასურის დაფარვა 17,750 ფუნტი სტერლინგის (GBP) ოდენობით დღგ-ს ჩათვლით.

125. მთავრობამ გამოთქვა მოსაზრება, რომ განმცხადებელი ვ-ს სახელით წარმოდგენილი წერილობითი სარჩელისა და სხვა მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ განმცხადებელი ტ-ს სოლისიტორის ხარჯები 8,000 ფუნტი სტერლინგამდე (GBP), მისი ბარისტერის ხარჯები კი 12,000 ფუნტი სტერლინგამდე (GBP) უნდა შემცირდეს.

126. სასამართლო მიიჩნევს რომ ანაზღაურების თაობაზე მთავრობის მიერ წარმოდგენილი ციფრები გონივრულია. თუმცა, ვინაიდან განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, ეს ამცირებს ასანაზღაურებელ თანხას 18,000 ფუნტი სტერლინგამდე (GBP) (იხილეთ, მაგალითად, 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება

საქმეზე *Steel and Others v. the United Kingdom*, *Reports* 1998-VII, გვ. 2763, § 125, და ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება ოსმანის საქმეზე, გვ. 3173, § 168) დღე-ს ჩათვლით, მაგრამ იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ევროპის საბჭომ უკვე გადაიხადა იურიდიული დახმარების გასანევად.

### **C. საურავი**

127. სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, ინგლისსა და უელსში კანონით დადგენილი საურავის ოდენობა ამ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის წელიწადში 7.5%-ს შეადგენს.



## ამის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. უარყოფს სახელმწიფოს პირველად პრეტენზიას;
2. ადგენს თორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ, რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესთან მიმართებაში კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა;
3. ადგენს თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
4. ადგენს ერთხმად, რომ აუცილებელი არ არის საჩივრის განხილვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-14 მუხლის ფარგლებში ერთობლივად;
5. ადგენს ათი ხმით შვიდის წინააღმდეგ, რომ განმცხადებლის სასჯელთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;
6. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
7. ადგენს ერთხმად, რომ განმცხადებლის ტარიფის დადგენასთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;
8. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას;
9. ადგენს ერთხმად

(a) მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს გადაუხადოს 18 000 (თვრამეტი ათასი) ფუნტი სტერლინგი (GBP), დღგ-ს ჩათვლით; ამ თანხას უნდა გამოაკლდეს 29,255 (ოცდაცხრაათას ორას ორმაცდათხუთმეტი) ფრანგული ფრანკი, რომლის კონვერტაცია მოხდება ფუნტ სტერლინგებში იმ კურსით რა კურსიც მოქმედებდა ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

(b) საურავი წლიური 7.5%-ის ოდენობით უნდა იქნეს გადახდილი ზემოთ ხსენებული სამთვიანი ვადის გასვლიდან გარიგების დასრულებამდე;

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯარო განხილვაზე ადამიანის უფლებათა შენობაში - სტრასბურგი, 1999 წლის 16 დეკემბერი.

### ლუციუს უილდჰაბერი

თავმჯდომარე

### პოლ მაჰოუნი

რეგისტრატორის მოადგილე

კონვენციის 45-ემუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები:

- (a) ლორდ რიდის თანმხვედრი მოსაზრება;
- (b) ბ-ნი როზაკისის და ბ-ნი კოსტას ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;
- (c) ბ-ნი პასტორ რიდრუეხოს, ბ-ნი რესის, ბ-ნი მაკარჟიკის, ქ-ნი ტულკენსისა და ბ-ნი ბუტკევიჩის ერთობლივი, ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;
- (d) ბ-ნი ბაკას ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

L.W.  
P.J.M.

## ლორდ რიდის თანმხვედრი მოსაზრება

სასამართლოს უმრავლესობასთან ერთად მხარი დაუჭირე თითოეულ საკითხს და მსურს მხოლოდ ჩემი საკუთარი დაკვირვების გაზიარება კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების ფარგლებში წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით.

განმცხადებლისა და ვ-ს მიერ ჯეიმს ბულგერის მკვლელობა (განმცხადებელი საქმეზე no. 24888/94) საზარელი ქმედებაა. ჯეიმსი მხოლოდ ორი წლის იყო. რთულია მისი მშობლების (რომლებიც აგრეთვე მონანილეობდნენ სასამართლო პროცესში) მწუხარების გადმოცემა. ამ საშინელ დანაშაულს კიდევ უფრო შემაშფოთებელს ხდის ის ფაქტი, რომ თავად განმცხადებელი და ვ მკვლელობის ჩადენის მომენტში სულ რაღაც ათი წლისანი იყვნენ. მკვლელობის სხვა ნიუანსებმა, როგორცაა ჯეიმსის დედისგან გატაცება, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა თუ მსხვერპლის სხეულის დანანევრება, საზოგადოებაში უკიდურესი აღშფოთება და ზიზღი გამოიწვია. ვიდეოჩანანერმა, რომლებზეც ჩანს, როგორ იტაცებენ განმცხადებელი და ვ დაუცველ ბავშვს და როგორ მიჰყავთ იგი მოსაკლავად, სრული სიცხადით უჩვენა მსხვერპლის მშობლებსა და საზოგადოებას ამ საშინელი მოვლენების განვითარება. ასეთ ვითარებაში გასაოცარი არაა, რომ საქმემ საზოგადოების ცხოველი ინტერესი და საჯაროობა გამოიწვია.

თუმცა მიუხედავად იმისა, რამდენად საშინელია დანაშაული, დამნაშავეს მაინც აქვს გარკვეული უფლებები - მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება. ეს უფლება დაცულია ინგლისური კანონმდებლობით და ასევე გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლით. გარდა ამისა, კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს, რომ პირი, ის პირიც კი, ვისაც სასტიკი დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, არ შეიძლება გახდეს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ობიექტი. გაერთიანებულ სამეფოს უკვე დიდი ხანია გაზიარებული და მიღებული აქვს კონვენციის ეს მოთხოვნები. ამიტომაც უნდა გადაწყვიტოს ამ სასამართლომ, ექცეოდნენ თუ არა განმცხადებელს ზემოთ ხსენებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანაშაულის ჩამდენი ბავშვები ნებისმიერ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისთვის პრობლემას წარმოადგენენ, ვინაიდან ისინი სრულწლოვნებზე უფრო მოუმნიფებლები არიან. ის ბავშვებიც კი რომლებიც, ერთი შეხედვით, არც უმან კოეხით და არც დაუცველობით არ გამოირჩევიან, კვლავაც ვითარდებიან როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიკურად, სანამ ზრდასრულ სიმნიფეს მიაღწევენ. მთავარ სირთულეს წარმოადგენს იმის გადაწყვეტა, არის თუ არა ბავშვი საკმარისად მომნიფებული იმისათვის, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად აგოს პასუხი საკუთარ ქმედებებზე. თუკი ბავშვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა, ის უნდა გასამართლდეს; მაგრამ ჩვეულებრივი სასამართლო პროცედურები მისაღები არაა, როდესაც ბავშვი ძალიან პატარაა იმისათვის რომ ამ პროცედურებმა სათანადოდ უზრუნველყოს მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება. თუკი ბავშვი გასამართლდა და დამნაშავედ იქნა ცნობილი, მას სასჯელი უნდა შეეფარდოს; მაგრამ სასჯელის განსაზღვრა იმავე ფორმით, როგორც ეს ხდება ზრდასრულთა შემთხვევაში, მიუღებელია, თუკი ბავშვი თავისი ასაკიდან გამომდინარე ნაკლებად დამნაშავეა, ან თუკი უფრო ეფექტური იქნება გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელება. მოცემულ საქმეში წამოიჭრა ყველა ის პრობლემური საკითხი (როგორებიცაა - სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი, სასამართლო პროცედურები და სასჯელის შეფარდება), რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვების მიმართ მოპყრობას ეხება.

მოდ, სანამ სასჯელის დაკისრების საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, ჯერ განვიხილოთ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში წამოიჭრა.

როგორც სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-3 მუხლი შეიცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებებს. ის კატეგორიულად ადგენს, რომ „არავინ“ შეიძლება გახდეს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ობიექტი. ჯეიმსის მკვლელობით გამოწვეული ზიზღი ვერ გაამართლებს არაპუმანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას იმ პირების მიმართ, ვინც ეს მკვლელობა ჩაიდინა. ამიტომაც მე-3 მუხლის ფარგლებში დასადგენი ერთადერთი საკითხია - იყო თუ არა განმცხადებლის მიმართ მოპყრობა არაადამიანური და დამამცირებელი.

კონვენციის მე-3 მუხლში გამონათქვამებს „არაადამიანური“ და „დამამცირებელი“ მათი ჩვეული მნიშვნელობა უნდა მიეცეს (იხილეთ **Campbell and Cosans v. the United Kingdom 1982** წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია **A # 48**, გვ. 13-14, § 30). გამონათქვამებისთვის ჩვეული მნიშვნელობის მინიჭება, ანუ შეფასება იმისა - არის თუ არა მოპყრობის მოცემული ფორმა არაადამიანური ან დამამცირებელი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სტანდარტებს გამოვიყენებთ. ვინაიდან კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, სათანადო სტანდარტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომელიც დროდადრო დომინირებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა შორის. ეს მიდგომა შეესაბამება ძირითად პრინციპს და ისეა დამკვიდრებული პრეცედენტულ სამართალში, რომ იმაზე მსჯელობისას, დაშვებულია თუ არა კონკრეტული ღონისძიება კონვენციის რომელიმე დებულებით, კანონიერია იმ სტანდარტების გათვალისწინება, რომლებითაც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმეტესობა სარგებლობს.

იმისათვის რომ მოპყრობა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში იქნეს განხილული, ის მინიმალური ხარისხით მაინც უნდა შეიცავდეს ძალადობას. (იხ. მაგალითად, **Raninen v. Finland 1997** წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions*, 1997-VIII, pp. 2821-22, § 55). ამ მინიმუმის შეფასება საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული (*ibid*). იმის განსაზღვრისას, არის თუ არა მოპყრობის ესა თუ ის ფორმა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული, ამგვარი მოპყრობის ობიექტური ხასიათისა და ადამიანზე მისი ზემოქმედების გარდა, აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ამ ქმედებებზე პასუხისმგებელი უწყების მიზნები (იხილეთ, მაგალითად, **Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom 1985** წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, სერია **A # 42**, გვ. 94, § 91; **Herczegfalvy v. Austria 1992** წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია **A # 244**, გვ. 25-26, § 82, და ზემოთ ციტირებული გადაწყვეტილება რანიენის საქმეზე, *loc. cit.*). იმისათვის, რომ მოპყრობა არაჰუმანურად ან ღირსების შემლახველად იქნეს მიჩნეული, მისით გამოწვეული ტანჯვა და დამცირება აუცილებლად უნდა აჭარბებდეს ტანჯვისა და დამცირების იმ ელემენტს, რომელსაც თავისთავად შეიცავს კანონიერი მოპყრობის მოცემული ფორმა (იხილეთ **Soering v. the United Kingdom 1989** წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, სერია **A # 161**, გვ. 39, § 100).

იმაზე დავისას, რომ სასამართლო პროცესი წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, განმცხადებელი ასაჩივრებდა შემდეგ ფაქტებს: რომ არასწორად დადგინდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი, რომ სასამართლო პროცესი გაიმართა საჯაროდ სამეფო სასამართლოში და გაგრძელდა სამ კვირას, და რომ ბრალეულობის დამტკიცების შემდეგ მოხდა მისი სახელის განსაჯაროება. გარდა ამისა, იგი შეეხო სასჯელთან დაკავშირებულ ფაქტორებსაც, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავ.

ის, თუ რა გავლენას იქონიებს ბავშვზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სასამართლო პროცესის ხასიათზე და ეროვნული კანონმდებლობით ამ ბავშვისთვის განსაზღვრულ სასჯელზე. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება თავისთავად არ შეიძლება იყოს განხილული კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, თუ ის გარდაუვლად არ შეიცავს, (ან ინვესს) მოპყრობას, რომელიც აჭარბებს აუცილებელი სიმკაცრის მინიმალურ ზღვარს. ეს საკითხი უნდა განვიხილოთ წევრ სახელმწიფოთა შორის დამკვიდრებული სტანდარტების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ათი წლის ბავშვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკთან მიმართებაში ერთიანი მიდგომა არ არსებობს. პრაქტიკა ძალიან განსხვავებულია და მინიმალური ასაკი ზოგიერთ ქვეყანაში შვიდს, ზოგან კი თვრამეტ წელს შეადგენს. არც საერთაშორისო დოკუმენტები და ინსტრუმენტები არ აზუსტებენ კონკრეტულ ასაკს, რომელსაც სასამართლო დაეყრდნობოდა. ასეთ გარემოებებში, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისსა და უელსში დადგენილი მინიმალური ასაკი უფრო დიაპაზონის ქვედა ზღვართანაა ახლოს, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ის სცდება დადგენილი სტანდარტის ფარგლებს. გარდა ამისა, მოცემული ასაკის ბავშვზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანი მისი დატანჯვა ან დამცირება კი არაა, არამედ ეს ასახვას საზოგადოებაში არსებულ კონსენსუსს იმ მისაღებ ასაკთან დაკავშირებით, რომლიდანაც ჩადენილი დანაშაულის გამო ბავშვისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება. ვინაიდან ბავშვობის მიერ სოციალური, კულტურული და ისტორიული გარემოებების აღქმა დროთა განმავლობაში იცვლება, გასაკვირი არაა, რომ

სხვადასხვა სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასაკობრივი ზღვარი აქვს დადგენილი. რაც შეეხება ინგლისსა და უელსს არსებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი პარლამენტის მიერ 1963 წელს დადგინდა და სანქცირებულ იქნა 1993 წელს თემთა პალატის შინაგან საქმეთა სპეციალური კომიტეტის მიერ არასრულწლოვანი დამანაშავეების შესახებ ანგარიშში. შესაბამისად, ფლობს დემოკრატიულ ლეგიტიმურობას. გარდა ამისა, მართალია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ათი წლის ბავშვს დიდ სულიერ ტანჯვას მოუტანს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს უფრო დიდი ასაკის ბავშვებშიც არანაკლებ სტრესს იწვევს იმ სახელმწიფოებში, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ასაკობრივი ზღვარია დაწესებული. მიუხედავად იმისა, დაეკისრება თუ არა ბავშვს სხვა ბავშვის განზრახ მკვლელობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ნებისმიერი საზოგადოება მოითხოვს გარკვეული ფორმის მოკვლევას, იმის დასადგენად, მართლა ჩაიდინა თუ არა ბავშვმა სავარაუდო დანაშაული. თუ ბრალი დადასტურდა, საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ბავშვის მკურნალობის მიზნით. ყველა ამ მიზეზის გამო ვასკენი, რომ განმცხადებელზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება თავითსთავად არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

მომდევნო საკითხია - წარმოადგენს თუ არა განმცხადებლის სასამართლო პროცესის საჯაროდ წარმართვა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ნებისმიერი სასამართლო პროცესი იწვევს სულიერ ტანჯვასა და შეურაცხყოფის შეგრძნებას ადამიანში, ვის წინააღმდეგაც იმართება პროცესი. მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესი თავისთავად ვერ იქნება მიჩნეული არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად, ვინაიდან ეს არის არსებული სტანდარტის ფარგლებში წარმოებული კანონიერი პროცედურა. იგივე შეილება ითქვას პროცესზე, რომელიც მიმდინარეობს დიდხანს, საჯაროდ და ფორმალუბების ზედმიწევნით დაცვით. ამიტომაც მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, მომჩივნის ასაკმა ხომ არ განაპირობა ის, რომ სასამართლო პროცესი არაჰუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობად ჩათვლილიყო.

თუ კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში კანონიერი იყო განმცხადებლისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, მაშინ სასამართლო პროცესიც შეესაბამება მე-3 მუხლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სასამართლო განხილვა დამთრგუნველია მასში მონაწილე ბავშვისთვის. სასამართლო პროცედურის ფორმა, რომელიც განმცხადებლის შემთხვევაში გამოიყენეს, პარლამენტის მიერ 1980 წელს დამტკიცებული კანონმდებლობის მიხედვით, ინგლისსა და უელსში ასეთ მძიმე დანაშაულში ბრალდებულ ნებისმიერ ბავშვს მიესადაგება. მართალია, განმცხადებელი სასამართლო პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებითაც ჩიოდა, მაგრამ არავის გამოუთქვამს მოსაზრება, რომ პროცესი იმაზე უფრო მეტ დროს გაგრძელდა, რა დროც სადავო ფაქტების დადგენას ესაჭიროებდა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ განმცხადებელმა არ ცნო თავი დამანაშავედ და უდანაშაულობის პრეზუმფციით ისარგებლა. ამიტომაც, მისი ბრალულობის დადგენას ესაჭიროებოდა საკმარისი მტკიცებულებები, რომ მსაჯულებს გონივრული ეჭვის გარეშე მიეღოთ გადაწყვეტილება. ჩემი აზრით, უფრო სერიოზულ საკითხს წარმოადგენს სასამართლო პროცესის საჯაროდ ჩატარების ფაქტი. თერთმეტი წლის ბავშვის სასამართლო პროცესზე საზოგადოების დაშვება და მედიისთვის რაიმე შეზღუდვის არდანესება, არასწორად მიიჩნევა როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ასევე სხვა წევრ სახელმწიფოებშიც. როდესაც სასამართლო პროცესი ტარდება საზოგადოებისა თუ მედიის წარმომადგენლებით გადატვირთულ დარბაზში, დარბაზს გარეთ კი შეკრებილია მტრულად განწყობილი ბრბო და უამრავი ფოტოგრაფი, ბუნებრივია, წარმოიშვება გარკვეული პრობლემები. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დახურულ სხდომაზე მოითხოვს სამართლებრივი სისტემა ბავშვის საქმის განხილვას თუ ღია სხდომაზე, საპირისპირო და არათავსებად ღირებულებებს შორის ბალანსის დაცვის გამონახულებაა. ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩამდენი ბავშვების კეთილდღეობისა და მომავლის დაცვა. მათი რეაბილიტაციისა თუ საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშესაწყობად აუცილებელია, რომ საქმე დახურულ სხდომაზე გაირჩეს. მეორეს მხრივ კი, საზოგადოების დაინტერესება მართლმსაჯულების საჯაროდ განხორციელებასა და ინფორმაციის თავისუფლებაში სასამართლო პროცესების საჯაროდ განხილვას მოითხოვს. პარლამენტის მიერ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის დადგენილი ბალანსი მოითხოვს, რომ ინგლისსა და უელსში დამანაშავე ბავშვების უმეტესობის საქმე არასრულწლოვანთა სასამართლოში გაირჩეს, სადაც საზოგადოება არ დაიშვება და სადაც საჯაროობაზე ავტომატური აკრძალვები მოქმედებს, მაგრამ

განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ბავშვების საქმეების განხილვა საჯაროდ, სამეფო სასამართლოში ხორციელდება. ასეთი სისტემის პირობებში განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, როგორცაა ჯეიმსის მკვლელობა, უსათუოდ გამოიწვევდა საზოგადოებისა და მასმედიის ინტერესს. როგორც უკვე აღვნიშნე, ბალანსის დაცვა ინგლისსა და უელსში სხვა ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებულად ხდება და შედეგად, ინგლისსა და უელსში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი არასრულწლოვნების მიმართ მოპყრობა უფრო ნაკლებადაა ორიენტირებული ბავშვების კეთილდღეობაზე, ვიდრე სხვა ნევრ სახელმწიფოებში. თუმცა ეს ხდება არა ბავშვის კეთილდღეობისადმი გულგრილობის, ან ადამიანური ღირსების მიმართ ნაკლები პატივისცემის, ანდა ადამიანის დამცირებისა და დატანჯვის მიზნით, არამედ სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც ზემოთ ვახსენე და რომლებიც ასეთ შემთხვევებში საქმის საჯარო განხილვას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, არ მიმაჩნია, რომ საჯარო სასამართლო პროცესის ჩატარება, ასეთ ვითარებაშიც კი, შეიძლება ჩაითვალოს „არაადამიანურ“ ან „დამამცირებელ“ მოპყრობად. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ მართალია, არსებობს მტკიცებულებები (რომელზეც მოგვიანებით ვისაუბრებ), რომ განმცხადებელმა მნიშვნელოვანი სტრესი განიცადა, მაგრამ ეს სტრესი შეიძლება არა მხოლოდ სასამართლოს საჯაროობით, არამედ ჯეიმსის მკვლელობაში მონაწილეობითაც ყოფილიყო გამოწვეული. ჩემი აზრით, ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო პროცედურები არ შეიძლება არსებული სტანდარტების მიხედვით „არაადამიანურ“ ან „დამამცირებელ“ მოპყრობად ჩაითვალოს.

ბრალეულობის დამტკიცების შემდეგ განმცხადებლის ვინაობის გამჟღავნება, მოცემულ შემთხვევაში, განხორციელდა ინგლისის კანონმდებლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად. განმცხადებელი კი დავობდა, რომ მისი ვინაობის გამჟღავნება არამართლზომიერი იყო და ეყრდნობოდა რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტს - მათ შორის, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40(2)(ბ) მუხლს. ჩემი აზრით, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, შეესაბამებოდა თუ არა ეს მოქმედება კონვენციის მე-40(2)(ბ) მუხლის (რომლის ინტერპრეტაციაც დისკუსიის თემად იქცა სასამართლოში) ან სხვა დოკუმენტის მოთხოვნებს, რადგან საყოველთაოდ გავრცელებული სტანდარტების თანახმად, ამ სპეციფიკური ასპექტის თანამდევნი ვერანაირი სტრესი და დამცირება ვერ გასცდება აუცილებელი სიმკაცრის მინიმალურ ზღვარს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში იქნეს განხილული.

შემდეგი საკითხი, რომელსაც განვიხილავ, არის კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლო პროცესთან მიმართებით. განმცხადებელი დაეყრდნო პრინციპს, რომლის მიხედვითაც, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ბრალდებულის უფლებას, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა საკუთარი საქმის განხილვაში (იხილეთ **Stanford v. the United Kingdom 1994** წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A # 282-A, გვ. 10-11, § 26).

გამოითქვა მოსაზრება, რომ განმცხადებელს არ ესმოდა სასამართლო პროცედურები, და არ შესწავლა უნარი, ადვოკატებისთვის ან სასამართლოსთვის მოვლენების საკუთარი ვერსია გადაეცა, ვინაიდან სასამართლო პროცესი ამ ასაკის ბავშვთან მიმართებით არასწორ პირობებში მიმდინარეობდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სარჩელი არ ეხება საკითხს, დამნაშავე იყო განმცხადებელი თუ უდანაშაულო: ამ შემთხვევაში არსებითია, რომ ყველა ბავშვის საქმე, რომელსაც ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, უნდა იქნეს განხილული ისეთ პირობებში, რომლებიც ადეკვატურ საშუალებას მისცემს ბრალდებულს, დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა, ან წარმოადგინოს შემასუბუქებელი გარემოებები.

სასამართლოს ძალიან იშვიათად აქვს განხილული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრები ისეთ საქმეებში, სადაც ბავშვებს დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი. თავად მე-6 მუხლი უშვებს საზოგადოების გამორიცხვას მთელი სასამართლო პროცესიდან ან მისი ნაწილიდან, როდესაც ამას არასრულწლოვანთა ინტერესები მოითხოვს, რითაც აკნინებს იმ ძირითად პრინციპს, რომ სასამართლო საჯაროდ უნდა ტარდებოდეს და აღიარებს, რომ ბავშვის ინტერესები სასამართლო პროცესზე უფრო მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. მეორე მხრივ, მე-6 მუხლი გამორიცხავს ნებისმიერ გადახვევას იმ პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ბრალდებულმა ბავშვმა ეფექტურად უნდა მიიღოს მონაწილეობა თავის სასამართლო პროცესში, უნდა შეძლოს პროცედურებისთვის თვალყურის დევნება და, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატებისთვის ინსტრუქციების მიცემა. თუმცა, ბავშვებთან მიმართებაში, ამ პრინციპის

დასაცავად სასამართლო (თანამდევნი პროცედურების ჩათვლით) უნდა წარმართოს ისეთ პირობებში, რომლებიც ითვალისწინებს ამგვარი მონანილეობის საშუალებას, ბავშვის ასაკს, მისი სიმწიფის დონესა და ინტელექტუალურ თუ ემოციურ მდგომარეობას. მე-6 მუხლის ეს ინტერპრეტაცია სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებთან - მათ შორის გაერთიანებული სამეფოსა და სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებთან (როგორცაა ბავშვის უფლებათა გაეროს კონვენციის, მე-40 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14(4)) მუხლი ერთად მოითხოვს დამნაშავე ბავშვების მიმართ ასაკის შესაბამისად მოპყრობას და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობას.

ბავშვის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას სპეციალური საკითხების გათვალისწინებაა საჭირო. თუმცა ამ საკითხების გათვალისწინების სხვადასხვა გზები არსებობს. პრაქტიკაში გვხვდება იმ მეთოდების დიდი მრავალფეროვნება, რომელსაც წევრი სახელმწიფოები იყენებენ საკუთარი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ისე მოსაწყობად, რომ დაცული იყოს ყოველი ცალკეული ბავშვისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესები. ნებისმიერი ერთი სისტემის ფარგლებშიც კი რთულია თითოეულ ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება - თუ რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო კონკრეტულ შემთხვევაში. ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ბავშვის ასაკი, მისი დამოკიდებულება წაყენებული ბრალდების მიმართ და მოსალოდნელი სანქციის ფორმა. ჩემი აზრით, ასეთ გარემოებებში მე-6 მუხლი გულისხმობს წევრი სახელმწიფოებისთვის თავისუფალი მოქმედების უფლებამოსილების მინიჭებას დანაშაულში ბრალდებულ ბავშვებთან დაკავშირებულ პროცედურებთან მიმართებაში (როგორც ეს აღინიშნა საქმეში - **Nortier v. the Netherlands, 1993** წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია A # 267, განსაკუთრებით, განსხვავებულ მოსაზრებებში).

რაც გინდა ფართო იყოს თავისუფალი მოქმედების დიაპაზონი, უმნიშვნელოვანესია, რომ მსჯავრდებული - იქნება ის ბავში თუ ზრდასრული, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობდეს. თუკი ბავშვს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება, მას უნდა ჰქონდეს იგივე უფლებები, რაც აქვთ ზრდასრულებს, რომ სათანადოდ გაიაზროს, რა ხდება სასამართლოზე და აქტიურად ჩაერთოს საკუთარი დაცვის პროცესში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვისა და ზრდასრულის სიმწიფე განსხვავებულია. შესაბამისად, ბავშვის მოსალოდნელი ჩართულობა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში უფრო შეზღუდულია და, სავარაუდოდ, ვერ გაუტოლდება ზრდასრულის შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მას უნდა მისცეს შესაძლებლობა, იმ ხარისხით მიიღოს მონანილეობა პროცესში, რა ხარისხითაც ეს შესაძლებელია გონივრულ ფარგლებში.

მოცემულ საქმეში, ინგლისური კანონმდებლობა მოითხოვდა, რომ განმცხადებლის საქმე სამეფო სასამართლოში განხილულიყო - ანუ იმ სასამართლოში, რომელიც მძიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ზრდასრულების საქმეებს განიხილვას. გარემო იყო უაღრესად ფორმალური. განმცხადებელი და ვ ისხდნენ მშობლებისგან მოშორებით, სასამართლო დარბაზის ცენტრში სპეციალურად ამალღებულ ადგილას. მოსამართლე იჯდა ამალღებულ პლატფორმაზე. სხდომას ესწრებოდა თორმეტი ზრდასრული ნაფიცი მსაჯული. მოსამართლესა და ადვოკატებს ეცვათ მანტიები. სხდომები ვეებერთელა, იმპოზანტურ დარბაზში ტარდებოდა. დარბაზში ისხდნენ საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები. ჩემი აზრით, ასეთი გარემო თერთმეტი წლის ბავშვისთვის (გინდ განსასჯელი ყოფილიყო და გინდა მონმე) ძალიან დამთრგუნველად იმოქმედებდა.

გარდა ამისა, მოცემულ საქმეში პრობლემას კიდევ უფრო ართულებდა ის ატმოსფერო, რომელშიც სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. სხდომის ადგილი და თარიღი საზოგადოებისთვის ცნობილი იყო და ვინაიდან საქმე ძალიან გახმაურებული იყო, სასამართლოს შენობის გარეთ შეგროვილი ბრბო იქცეოდა აგრესიულად. ერთხელ მტრულად განწყობილი ხალხი იმ ფურგონსაც კი დაესხა თავს, რომლითაც ვ გადაჰყავდათ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შედეგების შეჯამებისას მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს მოუწოდა, მტკიცებულებების შეფასებისას გაეთვალისწინებინათ, რომ მონმეები პროცესზე ცხოველი საჯარო ინტერესის პირობებში გამოცხადდნენ და რომ მათ ფოტოგრაფების პირისპირ დგომა და ჩვენებების მიცემა ხალხით სავსე უზარმაზარ დარბაზში უნევედათ. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ბევრი მათგანი ემოციურად

დაიტვირთა, ზოგს გასაგებად საუბარიც უჭირდა. ჩემი აზრით, თერთმეტი წლის ბავშვისთვის, რომელიც ასეთი ყურადღების (და მტრული განწყობის) ობიექტად იქცა, ამ მდგომარეობასთან შეგუება რთული იქნებოდა და ძალიან გაუჭირდებოდა მტკიცებულებისთვის თვალყურის დევნება და საკუთრი მტკიცებულების წარმოდგენა.

სასამართლოს ცოტა მტკიცებულება აქვს იმასთან დაკავშირებით, შეეძლო თუ არა განმცხადებელს, თვალყური ედევნებინა სასამართლო პროცედურებისთვის, ეფექტურად ჩართულიყო საკუთარი დაცვის განხორციელებაში და წარედგინა მტკიცებულებები თავის დასაცავად. ტავისტოკის კლინიკის კონსულტანტი ფსიქიატრის, დოქტორ აილინ ვიზარდის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება და 1993 წლის 5 ნოემბერს მომზადებული მისი ანგარიში მიუთითებს, რომ განსასჯელს სასამართლო პროცესის მსვლელობისას მიღებული სტრესის გამო შეზღუდული ჰქონდა შესაძლებლობა, გაეგო პროცედურები, მიეცა მითითებები ადვოკატისთვის და წარმოედგინა მტკიცებულებები. განმცხადებელი საკუთარ პეტიციაში ირწმუნება, რომ იგი სასამართლოს გარეთ შეკრებილმა ბრბომ, ტელეკამერებმა და დარბაზში შეკრებილი ადამიანების მზერამ დააფრთხო. ამაში გასაკვირი არაფერია, მით უფრო, რომ ეს ფაქტორები, როგორც ნაფიც მსაჯულებს მოსამართელმ მიუთითა, ზრდასრულ მონმეებზეც მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა.

თავის მხრივ, მთავრობამ აღნიშნა, რომ იმ შეზღუდვების მიუხედავად, რა პირობებშიც სასამართლო მიმდინარეობდა, დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ განმცხადებელი არსებულ გამოცდილებას შეჰგუებოდა. ეს მართლაც ასეა და ამას ვერ უარვყოფთ. როგორც სასამართლოსადმი მიმართვაში განმცხადებლის ადვოკატმაც აღიარა, მოსამართლემ გააკეთა ყველაფერი, რაც მს შეეძლო, რომ სასამართლო პროცესი თერთმეტი წლის ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით წარმართულიყო. სასამართლოს სამუშაო დღე სკოლის ერთი დღის მსგავსად იყო შემოკლებული. თითოეული დღე დაყოფილი იყო ერთსაათიან სესიებად, ითვალისწინებდა შესვენებებს, რომლის დროსაც განმცხადებელი საკუთარ მშობლებთან და სოციალურ მუშაკთან ერთად იმყოფებოდა საამისოდ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას. განმცხადებელს სხდომების დროს გვერდით ეჯდა სოციალური მუშაკი. მშობლებიც ახლოს ისხდნენ. დამატებითი ღონისძიებები განხორციელდა სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ - განმცხადებელს სასამართლო პროცესის დაწყებამდე სასამართლო დარბაზი, სასამართლო პროცედურები და სასამართლოს პერსონალი გააცნეს. ამ ღონისძიებებს, სავარაუდოდ, უნდა შეემსუბუქებინა სიძნელეები, რომელთა დაძლევაც სხვა შემთხვევაში განმცხადებელს უფრო გაუჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პირობებში ჩატარებული სასამართლო პროცესი თერთმეტი წლის ბავშვისათვის მაინც უალრესად მძიმე გამოცდაა.

სახელმწიფომ ასევე მიუთითა სასამართლო პროცესის საჯაროობის მნიშვნელობაზე - რომ ის ღია უნდა იყოს პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, რათა შენარჩუნდეს საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების მიმართ და დაკმაყოფილდეს მისი კანონიერი დაინტერესება იმ გარემოებების დადგენაში, რომლებმაც პატარა ბავშვის მკვლელობა გამოიწვია. მე, რასაკვირველია, ვეთანხმები, რომ საერთოდ, სასამართლო პროცესი საჯაროდ უნდა ტარდებოდეს იმ მიზეზების გამო, რაც ახლა ჩამოვთვალე და რაც ნათლადაა მითითებული კონვენციის მე-6 მუხლში. თუმცა, კონვენციის მე-6 მუხლი იმასაც აზუსტებს, რომ ეს პრინციპი აბსოლუტური არ არის და მისგან გადახვევა შესაძლებელია, როდესაც ამას არასრულწლოვნის ინტერესები მოითხოვს და როგორც ამას ინგლისური კანონმდებლობა არასრულწლოვანთა სასამართლო პროცედურების შესაბამისად ადგენს. გადახვევა შეიძლება მოხდეს მაშინაც, როცა საჯაროობა ვნებს მართლმსაჯულების ინტერესებს - რასაც ასევე ადგენს ინგლისური კანონმდებლობა. თუკი საჯაროობა შეუთავსებადია სასამართლო პროცესის სამართლიანად ჩატარებასთან, მაშინ უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს. გარდა ამისა, შესაძლოა შეიზღუდოს დამსწრეთა და მედიის უფლებები, რომ დაცული იყოს სხვა კანონიერი ინტერესები. თუმცა არ უნდა მოხდეს ამ უფლებების სრულად უგულებელყოფა (როგორც ამას ინგლისური კანონმდებლობა, ვთქვათ, მონმე ბავშბებთან მიმართებაში ითვალისწინებს).

შესაბამისად, მივედი დასკვნამდე, რომ პირობები, რომელშიც საქმის განხილვა მიმდინარეობდა, საერთო ჯამში, ხელს არ უწყობდა ბრალის დადგენის პროცესში განმცხადებლის ეფექტურ მონაწილეობას. შედეგად, ჩემი აზრით, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.

შემდეგი საკითხი ეხება სასჯელის შეფარდების პროცესს.

იმის მტკიცებისას, რომ დაკისრებული სასჯელი კონვენციის მე-3 მუხლის სანინაალმდეგო, არაადამიანურ მოპყრობას წარმოადგენდა, განასჯელი გულისმობდა ტარიფის სისტემაში ჩადებულ შურისძიების ელემენტს; პირობით გათავისუფლების შემდეგ სამუდამო პატიმრობის შესაძლებლობას; თავდაპირველად დაწესებულ თხუთმეტწლიან ტარიფს; მის მიერ უკვე მოხდილი სასჯელის ვადას; არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებაში, შემდეგ კი ზრდასრულთა საპყრობილეში გადაყვანის შესაძლებლობას; და ახალი ტარიფის დადგენის გაჭიანურებას;

სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მძიმე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული არასრულწლოვნისთვის განსაზღვრული პატიმრობა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ სადამსჯელო ელემენტს შეიცავს (იხ. 1996 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება **Hussain v. the United Kingdom, Reports 1996-I, გვ. 269-70, §§ 53-54**). სადამსჯელო ელემენტის არსებობა თავისთავად ვერ იქნება მიჩნეული არაადამიანურ მოპყრობად, ვინაიდან ბავშვისთვის სისხლის სამართლის პასუხსიმგებლობის დაკისრება დასაშვებია. თუმცა, მეორე მხრივ, ნებისმიერი სასჯელის ხასიათი და სიმკაცრე მე-3 მუხლის დარღვევის საფუძველს წარმოშობს.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება კონვენციის ფარგლებში გაატაროს ღონისძიებები საზოგადოების ძალადობრივი დანაშაულისგან დასაცავად. კონვენციის მე-3 მუხლი ვერ აუკრძალავს სახელმწიფოებს სერიოზული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული ბავშვისთვის ისეთი სასჯელის დაწესებას, რომელიც მის განგრძობად დაპატიმრებას, ან, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით, განთავისუფლების შემდეგ საპატიმროში დაბრუნებას გულისხმობს.

როდესაც განვიხილავთ, შეესაბამება თუ არა თავდაპირველად დაწესებული ტარიფის ხანგრძლივობა და განმცხადებლის მიერ უკვე მოხდილი სასჯელის ვადა კონვენციის მე-3 მუხლს, მხედველობაში უნდა მივიღოთ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც ყველა ნევრი სახელმწიფოს - მათ შორის გაერთიანებული სამეფოს მიერაც - არის ხელმოწერილი. გაეროს კონვენციის მე-3(i) მუხლი ადგენს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას უპირატესი მნიშვნელობა ბავშვის სასიცოცხლო ინტერესებს უნდა მიენიჭოს. მე-40 (1) მუხლის მიხედვით, დამნაშავე ბავშვების მიმართ მოპყრობა უნდა ითვალისწინებდეს მის ასაკს, საზოგადოებაში მისი რეინტეგრაციის სასურველობასა და მის მიერ საზოგადოებაში პოზიტიური ადგილის დაკავების შესაძლებლობას. ეს ზოგადი მოთხოვნები ასახულია გაეროს კონვენციის 37-ე მუხლის b პუნქტში, რომელშიც ნათქვამია, რომ ბავშვს პატიმრობა უნდა შეეფარდოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და დროის რაც შეიძლება შესაფერისი მოკლე ვადით.

როგორც განმცხადებლის მიერ წამოწყებული სასამართლო გადასინჯვისას გაირკვა (რ შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, *ex parte* ე და ტ. [1998] სააპელაციო საქმე 407, 499), პირველადი ტარიფი დადგენილი იყო გაეროს კონვენციის მე-3 (i) მუხლისა და მე-40 (1) მუხლის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. თუმცა ეს ტარიფი გაუქმდა. საგულისხმოა, რომ განმცხადებლის ასაკის ბავშვისთვის, სავარაუდოდ, ისიც დიდი სტრესი იქნებოდა, რომ ტარიფი გაეროს კონვენციის შესაბამისად დადგენილიყო, ან ხანგრძლივი დაკავება არასადამსჯელო მიზნით შეფარდებოდა. ამიტომაც პირველადი ტარიფის დადგენა, ჩემი აზრით, ვერ იქნება მიჩნეული, როგორც არასათანადო მოპყრობა, რომელიც სცდება კონვენციის მე-3 მუხლით დაშვებულ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.

1993 წლის ნოემბრიდან ამ გადაწყვეტილების მიღებამდე განმცხადებელი 6 წლის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში. ის განთავსებული იყო ისეთ პირობებში, რომელიც სრულად ითვალისწინებდა მის ასაკსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და პოზიტიური ადგილის დაკავების მიზანს. იგი პატიმრობის ამ პირობებს არ ასაჩივრებს. საქმის ყველა ამ გარემოების (მათ შორის, განმცხადებლის დანაშაულის სიმძიმის) გათვალისწინებით, პატიმრობის ეს პერიოდი, ჩემი აზრით, ვერ იქნება მიჩნეული არაადამიანურ მოპყრობად.

გადაიყვანენ თუ არა განმცხადებელს მომავალში არასრულწლოვან დამნაშავეთა დაწესებულებაში, საბოლოოდ კი სრულწლოვანთა საპატიმროში, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ახალი ტარიფი ჯერ არ არის დადგენილი: ამ ეტაპზე შეუძლებელია თქმა - რა ხანგრძლივობის იქნება ეს



ტარიფი. ნებისმიერი პატიმრობის ვადა, რომელიც სცილდება ტარიფით დადგენილ ხანგრძლივობას დამოუკიდებელი იქნება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის მოსალოდნელი რისკის ფაქტორების შეფასებაზე. მომავალი პატიმრობის ადგილი და პირობები, და განმცხადებელზე მათი ზეგავლენა, ამ ეტაპზე სპეკულირების საგანს წარმოადგენს. ამ გარემოებებში შეუძლებელია იმის დადგენა, იქნება თუ არა ეს პატიმრობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

სახელმწიფოს მხრიდან ახალი ტარიფის დადგენის გაჭიანურება რამდენიმე გარემოებით იყო გამოწვეული. ლორდთა პალატის 1997 წლის ივნისის გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა მინისტრს ტარიფის დადგენის პროცედურის გადასინჯვას ავალდებულებდა, რამაც შედეგად, 1997 წლის ნოემბერში ახალი პროცედურის დანერგვა გამოიწვია. ამის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა განმცხადებელსა და ვ-ს თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენა სთხოვა: ვ-მ თავისი მოსაზრებები 1998 წლის ივნისში წარმოადგინა, მაგრამ განმცხადებელს საკუთარი პოზიცია ამ დრომდე არ დაუფიქსირებია. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრს ესაჭიროებოდა სხვადასხვა ანგარიში ვ-სა და განმცხადებლის განვითარებისა და პროგრესის თაობაზე, რომლებიც მან მხოლოდ 1999 წლის აგვისტოში მიიღო. თანაც კომისიისა და სასამართლოს წინაშე იდგა საკითხი - შეიძლებოდა თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ტარიფის დადგენა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის გარეშე მომხდარიყო. ასეთ ვითარებაში არ მიმაჩნია, რომ ტარიფის დადგენა მოცემულ მომენტში რაიმე ფორმით არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ტარიფის დადგენა თავისი არსით სასჯელის განსაზღვრას ნიშნავდა და, შესაბამისად, ეს ფუნქცია შინაგან საქმეთა მინისტრს კი არა, სასამართლოს ან ტრიბუნალს უნდა შეესრულებინა. მთავრობამ, თავის მხრივ, განაცხადა რომ ტარიფის დადგენა არა სასჯელის განსაზღვრა, არამედ სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის აღსრულებაა.

კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის ნებისმიერი პასუხისმგებლობა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ უნდა განისაზღვროს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენა ბრალდებული პირისთვის სასჯელის მისჯასაც მოიცავს (იხ. 1982 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Eckle v. Germany*, სერია A # 51, გვ. 34-35, §§ 76-77). ინგლისური კანონმდებლობით მკვლელობაში ბრალდებულ ბავშვზე ფორმალურად დაკისრებული სასჯელი აუცილებლად არ გულისხმობს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ბავშვს თავისუფლება ეზღუდება. მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ტარიფის დაფიქსირება, განსაზღვრავს (განხილვის საგანი, 1997 წელს გამოცხადებული პოლიტიკის მიხედვით) პატიმრობის იმ მინიმალურ ვადას, რომელიც პირმა მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოიხადოს. ტარიფი თავისი ბუნებით სადამსჯელოა: 1997 წლის 10 ნოემბრის განცხადებაში, შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს ფუნქცია აღწერა, როგორც „სასჯელის ფორმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება“. სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირისთვის სასჯელის ფორმის განსაზღვრა, ჩემი აზრით, სასჯელის დაკისრების ტოლფასია, რაზეც განმცხადებლის სარჩელის განხილვისას ლორდთა პალატის სააპელაციო კომისიამაც მიუთითა. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მიესადაგება ტარიფის დაფიქსირების პროცედურას. შესაბამისად, ტარიფის დადგენა უნდა მოხდეს „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ“. ვინაიდან შინაგან საქმეთა მინისტრი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი, მის მიერ განმცხადებლისთვის ტარიფის დადგენა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და 41-ე მუხლის გარშემო წამოჭრილ წაკითხვებს, მე ვეთანხმები სასამართლოს გადაწყვეტილებას და მეტს ვერაფერს დავამატებ.

## მოსამართლეების როზაკისისა და კოსტას ნანილობრივ განსხვავებული მოსაზრება

(თარგმანი)

ჩვენ უმრავლესობას დავეთანხმეთ ყველა საკითხში, გარდა ერთისა - კონკრეტულად, განსხვავებული შეხედულება გვაქვს განმცხადებლის საჩივრის მიმართ, სასჯელის განსაზღვრისას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და მიგვაჩნია, რომ მისი ეს პრეტენზია საფუძვლიანია.

როგორც სასამართლოს გადანყვეტილებაშია მითითებული, დანაშაულის ჩადენისას დამნაშავეებს თერთმეტი წელი ჯერ არ შესრულებოდათ. ბავშვები თერთმეტ წელს ცოტათი გადაცილებულები იყვნენ, როდესაც დამნაშავედ სცნეს და „მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ“ პატიმრობა მიუსაჯეს. „ტარიფი“, როგორც სასჯელის ნაწილი, პირველად თხუთმეტი წლით განისაზღვრა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1994 წლის 22 ივლისს. ამ დროისთვის მკვლელები 12 წლისანი იყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლემ, რომელმაც განაჩინა გამოიტანა რვანლიან ტარიფს გაუწია რეკომენდაცია, ხოლო ლორდმა მთავარმა მოსამართლემ ათწლიან სატარიფო ვადას დაუჭირა მხარი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გადანყვეტილება მიიღო წერილებისა და პეტიციების საფუძველზე, რომლებშიც საზოგადოების წარმომადგენლები ყველაზე მაღალი ტარიფის, ან სამუდამო პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდნენ (იხ. გადანყვეტილების 21-ე პუნქტი).

როდესაც სამი წლის შემდეგ, ლორდთა პალატამ ეს გადანყვეტილება გააუქმა, სახელმწიფო მდივანმა აცნობა პარლამენტს, რომ იგი დამნაშავეთა პროგრესისა და განვითარების გათვალისწინებით გადასინჯავდა პირველად დადგენილ ტარიფს (იხილეთ პუნქტი 25), მაგრამ ახალი გადანყვეტილება დღემდე არ არის მიღებული.

ასეთ გამორჩეულ საქმეში განსაკუთრებით რთულია განსაზღვრო - რა არის „არაჰუმანური და დამამცირებელი“ კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში და რა, არა. ჩვენი აზრით, შეფასებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა იყოს დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მკვლელთა განსაკუთრებით მცირე ასაკი და სიმწიფის ნაკლებობა. მაშინ ისინი ათი წლისანი იყვნენ; ახლა ჩვიდმეტისანი არიან და კვლავაც არ იციან, კიდევ რამდენ ხანს მოუწევთ საპატიმროში ყოფნა დამსახურებული სასჯელისა და პრევენციის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. ეს ბუნდოვანი ვითარება, რომელშიც განმცხადებლები დაპატიმრების დღიდან - უკვე ექვი წელია - იმყოფებიან, უდავოდ უაღრესად სტრესული და დამთრგუნველია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ განმცხადებლები, რომლებიც ახლა სრულწლოვნების ასაკს უახლოვდებიან, დანაშაულის ჩადენისას, დაკავებისას, დაპატიმრებისას, გასამართლებისას და სასჯელის შეფარდებისას პატარა ბავშვები იყვნენ.

განა სადავოა, რომ ტრანსფორმაცია, რომელიც უსათუოდ თან სდევს მათ ასაკს, უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ტარიფის პერიოდის ხანგრძლივობასა და მის ამონაზღვრავზე მსჯელობისას? თუ ეს გადანყვეტილება უნდა იყოს იგივე, რაც სრულწლოვან მკვლელთან მიმართებით იქნებოდა? ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. მოსამართლეთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან ექვსწლიანი პატიმრობის შეფარდება არ შეიძლება არაჰუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობად ჩაითვალოს (იხ. 98-ე პუნქტი).

მაგრამ ამ გადანყვეტილების მიღებისას მათ გაითვალისწინეს მხოლოდ ის ვადა, რაც ობიექტურად გავიდა დღემდე. მათ მხედველობაში არ მიუღიათ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ თავდაპირველად მიღებული გადანყვეტილება თხუთმეტწლიანი ტარიფის დაფიქსირების თაობაზე, რამაც დოქტორი ბენტოვიმის აზრით, „განადგურა“ ვ (იხ. ვ-ს საქმესთან დაკავშირებული გადანყვეტილების 24-ე პუნქტი); მოსამართლეთა უმრავლესობას არც ის გაუთვალისწინებია, რომ მსჯავრდებულებს უკვე ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში (ანუ ლორდთა პალატის მიერ გადანყვეტილების მიღების შემდეგ) არ მიუღიათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ვადა უნდა მოიხადონ, და არც ის, რომ მათ არანაირი გარანტია არ აქვთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი უახლოეს მომავალში ტარიფის ვადასთან დაკავშირებით ახალ გადანყვეტილებას მიიღებს. ყველა ამ მიზეზის გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მართალია, პირობებს რომელშიც განმცხადებლის სასამართლო პროცესი გაიმართა, კონვენციის მე-3 მუხლი არ დაურღვევია, მაგრამ ეს მუხლი დაირღვა სასჯელის განსაზღვრისას.

## მოსამართლეების პასტორ რიდრუეხოს, რესის, მაკარჟიკის, ტულკენსისა და ბუტკევიჩის

ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

ჩვენი აზრით, განმცხადებლის სასამართლო პროცესიც და სასჯელის დაკისრებაც წარმოადგენს არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას და ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს.

ამ საქმეში - (i) ათი წლის ბავშვებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, (ii) თერთმეტი წლის ბავშვების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და (iii) მათზე უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ინვესტ მნიშვნელოვან სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას. თერთმეტი წლის ბავშვზე სრულწლოვანთათვის განკუთვნილი სისხლისსამართლებრივი პროცედურების მთელი სიმძიმით გადატანა, ჩვენი აზრით, იმ დროის გადმონაშთს წარმოადგენს, როდესაც სასჯელისა და სასამართლოს გავლენას ბავშვის ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ნაკლებად ექცეოდა, ან საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება.

მე-3 მუხლი არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან დაცვის სრულ გარანტიას იძლევა. ის ფოკუსირებულია ტანჯვასა და დამცირებაზე, რომლის ობიექტიც ხდება ადამიანი. არანაირი საფუძველი არა გვაქვს, ვიფიქროთ, რომ იმ მინიმალურ ზღვარს, რის შემდეგაც მოპყრობა სისასტიკედ კვალიფიცირდება, არ შეიძლება გადააჭარბოს სასამართლომ თავისი კანონიერი უფლებამოსილებით სარგებლობისას - განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, საქმის განხილვა საჯარო დამცირებასაც მოიცავს. ჩვენ სავესებით ვეთანხმებით სასამართლოს, რომ განმცხადებლების მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პროცედურების მიზანს მათი დამცირება ან დატანჯვა არ წარმოადგენდა. თუმცა სასამართლოს შეფასებისგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ პირის ტანჯვა და დამცირება სულაც არაა დამოკიდებული იმაზე - მოქმედებდნენ თუ არა სახელმწიფო ორგანოები ასეთი განზრახვით. ჩვენი აზრით, თერთმეტი წლის ბავშვების წინააღმდეგ ამ პროცედურების წარმოებისას სახელმწიფო უწყების უპირველესი მიზანი განსასჯელთა დამცირება კი არა, მათთვის დამსახურებული სასჯელის განსაზღვრა იყო. მაგრამ შურისგება მართლმსაჯულების ფორმა არაა და ცივილიზებულ საზოგადოებაში აბსოლუტურად გამორიცხული უნდა იყოს შურისძიება - მით უფრო, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება. ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ მე-3 მუხლისთვის მნიშვნელობა აქვს არა სახელმწიფოს მხრიდან არსებულ სუბიექტურ ელემენტს (მოტივსა და მიზანს), არამედ საქმის უშუალო მონაწილე პირზე ობიექტურ ზეგავლენას.

„მოპყრობის“ დამოუკიდებელ ფაზებად დაყოფით (მაგალითად, სასამართლო პროცესად და სასჯელის დაკისრებად) უმრავლესობას მხედველობიდან გამორჩა გავლენა, რომელიც მოპყრობას აქვს ბავშვის ფიზიკურ კეთილდღეობასა და ფსიქოლოგიურ ნაწილობრივობაზე. ჩვენთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება სასამართლო პროცესისა და მისგან გამომდინარე განაჩენის ცალ-ცალკე განხილვა. მეტიც, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკისა და სასამართლო პროცესის სრულწლოვანთა სასამართლოში გამართვის საკითხების გამიჯნულად განხილვა წარმოადგენს ცალკე ფაქტორს, რომელმაც შეიძლება დაამახინჯოს კონვენციის მე-3 და 1-ელი მუხლების როლი, რაც ტანჯვისა და დამამცირებელი მოპყრობისგან ეფექტურ დაცვაში მდგომარეობს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძალიან მცირე ასაკი სრულწლოვანთა სასამართლო პროცედურებთანაა დაკავშირებული. ამიტომაც იკავებს თავს ხელმომწერ სახელმწიფოთა დიდი უმეტესობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძალიან დაბალი ზღვრის დანესებისგან.

1. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაბალ ასაკობრივ ზღვარს რაც შეეხება, ჩვენ არ ვეთანხმებით სასამართლოს დასკვნას, თითქოს ევროპულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო დოკუმენტებში ამ საკითხთან დაკავშირებით ნათელი ტენდენცია არ იკვეთებოდეს. ხელმომწერი ორმოცდაერთი სახელმწიფოდან მხოლოდ ოთხში მოქმედებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის უფრო დაბალი ზღვარი, ვიდრე ინგლისსა და უელსშია. ჩვენ ეჭვი არ გვუპარება, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს ზოგადი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი ცამეტი-თოთხმეტი

წლიდან იწყება - ოღონდ ასეთი საქმეები არასრულწლოვანთა სასამართლო პროცედურებით იხილება - და სრული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ თვრამეტი და მეტი წლის ასაკიდან ხდება. როდესაც ამ ქვეყნებში ათიდან ცამეტ წლამდე ასაკის ბავშვები დანაშაულს სჩადიან, მათ მიმართ, ძირითადად, საგანმანათლებლო ღონისძიებები გამოიყენება, რომ მოხდეს არასრულწლოვანი დამნაშავის საზოგადოებაში ინტეგრირება. მართალია, პეკინის წესების მე-4 წესი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს არ აკონკრეტებს, მაგრამ ხაზგასმით გვაფრთხილებს, რომ ასაკობრივი ზღვარი ძალიან დაბლა არ უნდა გადიოდეს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ასაკობრივი სიმწიფე ურთიერთკავშირშია. ხელმომწერი სახელმწიფოების უმეტესობა ცალსახად მიიჩნევს, რომ ცამეტ-თოთხმეტ წლამდე ასაკს ასეთი სიმწიფე არ ახასიათებს. მოცემულ საქმეში ჩვენ გავვაოგნა იმ პარადოქსულმა მდგომარეობამ, რომ განმცხადებლები საკმაოდ ზრდასრულებად მიიჩნიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და, ამავდროულად, საგანგებო ოთახი მოუწყვეს, რომ შესვენებებზე ეთამაშათ.

2. თავად პროცესს რაც შეეხება, სასამართლო აღიარებს, რომ საერთაშორისო დონეზე არსებული ტენდენციის შესაბამისად, დაცული უნდა იყოს არასრულწლოვან დამნაშავეთა კონფიდენციალურობა. მიუხედავად ამისა, სასამართლო ადგენს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა ვერ იქნება გადამწყვეტი იმაზე მსჯელობისას, გამოიწვიოს თუ არა სასამართლოს საჯაროობამ მოპყრობა, რომელიც იმდენად სცდება სიმკაცრის მინიმალურ ზღვარს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში იყოს განხილული (იხ. 75-ე პუნქტი). გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლი გულისხმობს პირადი ცხოვრების „სრულ პატივისცემას საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე“, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვების ტანჯვისა და დამცირების განცდის შესამცირებლად. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს კონვენციის დაცვა გაერთიანებული სამეფოსთვისაც სავალდებულოა, ინგლისური კანონმდებლობით დაშვებულია სრულწლოვანთა სასამართლოში ხანგრძლივი სასამართლო პროცედურების საჯაროდ ჩატარება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსამართლემ გარკვეული ზომები მიიღო სასამართლო პროცესის მძიმე ზეგავლენის შესამცირებლად, აღზნებულ ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ამ ასაკის ბავშვებისთვის, სხდომაზე დასწრება მაინც აუტანელი უნდა ყოფილიყო. ბავშვები ისხდნენ პლატფორმაზე, საიდანაც მათ დამსწრე საზოგადოება და პრესა კარგად ხედავდა. არსებობს იმის მტკიცებულება, რომ მათთვის პროცესის საჯაროობა განსაკუთრებით აუტანელი საზოგადოების მტრული განწყობის გამო იყო: ერთხელ ხალხი იმ ფურგონსაც კი დაესხა თავს, რომლითაც ისინი სასამართლოში გადაჰყავდათ, საქმის განხილვის მანძილზე კი ღვარძლიანი მედიაკამპანია მიმდინარეობდა, რამაც აიძულა მათი ადვოკატები, სასამართლოსთვის პროცესის შეჩერება ეთხოვათ. ასე განწყობილი საზოგადოებისა და ჟურნალისტების წინაშე განმცხადებლებს თავიანთი დანაშაულის გარჩევისთვის უნდა ედევნებინათ თვალი. მათ უნდა ესმინათ მოწმეებისთვის, რომლებიც იხსენებდნენ იმ დღეს მომხდარ მოვლენებს და ენახათ პოლიციაში მათი დაკითხვის ვიდეოჩანაწერები. მათ უნდა მოესმინათ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი. ამის შემდეგ მათ შეიტყვეს, რომ მოსამართლემ გაუქმა მათი ვინაობის გამჟღავნების აკრძალვა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთ პირობებში ჩატარებული სასამართლო პროცესი მავნე ზეგავლენას იქონიებდა თერთმეტი წლის ბავშვზე და დიდ სულიერ ტანჯვას მოუტანდა მათ. პროფესორი რუთერი ვ-ს შესახებ წარმოდგენილ, 1998 წლის თებერვლით დათარიღებულ ანგარიშში *inter alia*, აღნიშნავს, რომ საჯაროდ ჩატარებული სასამართლო პროცესი და საზოგადოების უარყოფითი რეაქცია ამ ასაკის ბავშვისთვის შეიძლება საზიანო იყოს (იხ. მე-18 პუნქტი).

კონვენციის მე-3 მუხლთან შესაბამისობის განვიხილვისას, მოპყრობის ხასიათზე არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი ზეგავლენა ბავშვებზე. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას განმცხადებელი ვ სულ ტიროდა. განმცხადებელთა თერაპევტებმა აღნიშნეს, რომ სასამართლო პროცესის მავნე ზემოქმედება (როგორც უშუალოდ განმცხადებლებზე, ასევე მათ ოჯახებზე) და საზოგადოების წარმომადგენელთა თუ სხვა პატიმართა მხრიდან თავდასხმები ხელს უშლის განსასჯელებს ჩადენილი ქმედებისა და ამჟამინდელი მდგომარეობის გააზრებაში. ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ვ-სა და განმცხადებლის მიერ ჩადენილ ქმედებათა გარემოებების განსაზღვრისკენ მიმართული ნებისმიერი პროცედურა ან მოკვლევა, იქნებოდა ის საჯარო თუ დახურული... განმცხადებლებში დანაშაულის, სულიერი ტანჯვისა და შიშის გრძნებას გამოიწვევდა (იხილეთ პუნქტი 77).

ბავშვზე სასამართლო პროცესის ზეგავლენასთან დაკავშირებული ფსიქიატრიული მტკიცებულების მიხედვით, ორივე განსასჯელს აღნიშნებოდა პოსტტრავმული სტრესის ნიშნები. დამატებითი მტკიცებულების მიხედვით ვ სასამართლოს პროცესის გამო შეშინებული და დათრგუნული იყო და ეს ზეგავლენა ნელინადზე მეტ ხანს გაგრძელდა. 1995 წლის იანვარში დოქტორმა ბენტოვიმმა აღნიშნა, რომ ვ სასამართლო დარბაზში შემომავალი ხალხის დანახვაზე კრთებოდა, გარშემო მყოფთა მზერის ეშინოდა, და სერიოზული სტრესი განიცადა, როდესაც მისი სახელი და ფოტოსურათი გამოქვეყნდა. ექიმის მიერ გამოკვლევის პერიოდში ვ-ს ტანჯავდა შიში, რომ თავს დაესხმებოდნენ და დასჯიდნენ. 1997 წლის ნოემბრის ანაგრიშში დოქტორმა მეილიმ აღნიშნა, რომ ვ—ს დაახლოებით 12 თვე დასჭირდა, რომ სასამართლო პროცესზე განცდილი სტრესი დაეძლია და რომ იგი კვლავაც ყოველ ღამე ფიქობდა ამაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ვ ყველაზე მეტად მაგისტრატთა სასამართლოში ჩატარებულმა წინასწარმა მოსმენამ დააფრთხო, მაგრამ სამეფო სასამართლოში გატარებული პირველი სამი დღის შემდეგ, თავი უკეთესად იგრძნო, რადგან აღარ უსმენდა, რა ხდებოდა გარშემო.

მიუხედავად არსებული მტკიცებულებებისა, რომ ვ სასამართლო პროცესის მსვლელობისას ტ-ზე მეტად იტანჯებოდა, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ სასამართლო პროცესმა ორივე ბავშვის ტანჯვა და დამცირება გამოიწვია იმ ხარისხით, რომელიც სცდება „ჩადენილი ქმედების გარემოებათა დადგენის პროცედურისა და მოკვლევის“ ფარგლებს და აღწევს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მინიმალურ ზღვარს.

3. რაც შეეხება განაჩენს, კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა პატიმრობა მისი უდიდებულესობის შეხედულებისამებრ - ანუ განუსაზღვრელი ვადით პატიმრობა. ამ სასჯელმა ორივე ბავშვში ძლიერი შეშფოთება და გაურკვეველობა გამოიწვია. მართალია, საკითხავია, აძლევს თუ არა კონვენცია სახელმწიფოებს თერთმეტი წლის ბავშვისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდების უფლებას, მაგრამ ერთი რამ უდავოა - სახელმწიფოებს ნაკისრი აქვთ მზრუნველობის საგანგებო ვალდებულება, რომელიც არაადამიანური მოპყრობისგან ბავშვთა დაცვის მიზნით სახელმწიფოს ყოველგვარი გაურკვეველობის მაქსიმალურად შემცირებას ავალდებს. მოსამართლის მიერ რვანლიანი ტარიფის რეკომენდების შემდეგ, ლორდმა მთავარმა მოსამართლემ რვანლიანი ვადის ათ წლამდე გაზარდა მოითხოვა. ამის შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრმა - რომელმაც *inter alia*, მიიღო 278,300 ადამიანის მიერ ხელმოწერილი პეტიცია, სადაც ისინი განსასჯელებისთვის სამუდამო პატიმრობას მოითხოვდნენ - ტარიფის ვადა თხუთმეტი წლამდე გაზარდა. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება გააცნობიეროს ბავშვმა ასეთი სასჯელი, მაგრამ სულაც არაა გასაკვირი ვ-ს რეაქცია და იმის შიში, რომ აღარასოდეს გათავისუფლდებოდა. შემდეგ ლორდთა პალატამ გააუქმა ეს ტარიფი და მას მერე ახალი ტარიფი არ განსაზღვრულა. ასე რომ, გაურკვეველობა კვლავაც გრძელდება. ჩვენი აზრით, სასამართლომ მხოლოდ ის ფაქტი გაითვალისწინა (იხილეთ პუნქტი 98), რომ ბავშვები მოცემული მომენტისთვის უკვე ექვსი წელია პატიმრობაში იმყოფებიან, და ახალი ტარიფის დადგენამდე მე-3 მუხლთან დაკავშირებით რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებლად მიიჩნია. მაგრამ პრობლემის არსი თავად უვადო სასჯელის ბუნდოვან ხასიათში მდგომარეობს: ისეთი დაუტყველი სუბიექტებისთვის, როგორებიც ბავშვები არიან, გაურკვეველობაში ყოფნასა და მომავალზე შფოთვას დამატებითი ტანჯვა მოაქვს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პროცესის საჯაროდ ჩატარება არა მხოლოდ არაპუმანური, არამედ დამამცირებელიც იყო; ხოლო ის ფაქტი, რომ განმცხადებლების საქმე განიხილეს იმავე პროცედურებით, რა პროცედურებითაც სრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ, და რომ განაჩენის გამოტანისას საკმარისად არ იქნა გათვალისწინებული მათი ასაკი, არაადამიანურ მოპყრობად უნდა იქნეს კვალიფიცირებული.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის დადგენა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის პასუხი არ არის. ამ მუხლებს განსხვავებული მიზნები და ფუნქციები აქვს. მე-3 მუხლი კრძალავს ადამიანის ტანჯვასა და დამცირებას, მე-6 მუხლი კი განსასჯელის სასამართლო პროცესში ეფექტურ მონაწილეობას მოითხოვს. მოსამართლეთა უმრავლესობამ მთავარი აქცენტი სამეფო სასამართლოს პროცედურებში ბავშვების ეფექტურად მონაწილეობის პრობლემაზე გააკეთა და სათანადოდ არ მიაქცია ყურადღება იმ ტანჯვასა და

დამცირებას, რომელიც გარდაუვლად თან სდევს მსგავს პროცედურებს. რა თქმა უნდა, მოცემულ საქმეში სამეფო სასამართლომ გააკეთა ყველაფერი, რაც კი მის შესაძლებლობებში იყო; მაგრამ სისტემამ, რომლის ფარგლებშიც ის მოქმედებდა, თავისი პრინციპებითა და პრაქტიკით კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვია.

ჩვენ ბოლომდე ვაცნობიერებთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ვითვალისწინებთ მოკლული ბავშვის მშობლების მიერ წარმოდგენილ წერილობით კომენტარებს. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები მკაფიოდ ავალდებულებს სახელმწიფოებს, ეფექტური პრევენციის გზით დაიცვან მსხვერპლი ძალადობისგან. მაგრამ, მოცემული საქმის ფარგლებში, როდესაც დანაშაულის ჩადენისას და გასამართლებისას დამნაშავეები თავად იყვნენ ბავშვები, არ მიგვაჩნია, რომ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის ხსენებული ვალდებულება ამართლებს დამნაშავის უფლების შეზღუდვას. ჩვენი აზრით, მსხვერპლის ტანჯვის აღიარებისა და საზოგადოების დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება დამნაშავის ფუნდამენტური და აბსოლუტური უფლებების პატივისცემაა - მით უფრო, თუ ეს დამნაშავეები თერთმეტი წლის ბავშვები არიან.

## მოსამართლე ბაკას

### ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

მე სრულად ვეთანხმები სასამართლოს უმეტესობის მოსაზრებას, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, და ვასკვნი, რომ ამ საქმეში განმცხადებლის სამართლიანი სასამართლოს უფლება სრულად იყო დაცული შემდეგი მიზეზების გამო:

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს უმთავრეს წესს - რომ მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს საჯაროდ და იმგვარად, რომ განსასჯელს საკუთარი საქმის განხილვაში ეფექტურად ჩართვის საშუალება ჰქონდეს. ამ წესს აქვს ერთი გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც „პრესა და საზოგადოება შეიძლება საერთოდ არ დაუშვან, ან დაუშვან სასამართლო განხილვის ზოგიერთ ეტაპზე... როდესაც ამას... არასრულწლოვანთა ინტერესები მოითხოვს“. არც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ტექსტი და არც მისი განმარტება სასამართლო პრაქტიკაში, არ ადგენს, რომ არასრულწლოვანთა საქმეები უნდა განხილვას მხოლოდ არასრულწლოვანთა სასამართლომ ან სრულწლოვანთა სასამართლომ დახურულ სხდომაზე. ის ადგენს, რომ არასრულწლოვნის საქმის საჯარო სასამართლო პროცესზე განხილვის ფაქტი თავისთავად არ ნიშნავს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

სასამართლოს უმეტესობა დაეყრდნო იმ არგუმენტს, რომ საქმის სამეფო სასამართლოში საჯაროდ განხილვამ „დააფრთხო თერთმეტი წლის ბავშვი“ და იგი „სასამართლო დარბაზის დაძაბულ ატმოსფეროში, საზოგადოების ცხოველი ინტერესით დათრგუნული“ ეფექტურად ვერ მონაწილეობდა თავისი საქმის განხილვაში.

ჩემი აზრით, მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო პროცესი (მნიშვნელობა არ აქვს, საჯარო იქნება ის, თუ დახურული) თითქმის გარდაუვლად ინვესტს ბრალდებულში შემფოთებას, შიშსა და სტრესს, რადგან იგი პირისპირ დგება (ხშირად პირველად) ჩადენილი ქმედების სერიოზული შედეგების წინაშე. მე ასევე მიმაჩნია, რომ ამ ბუნებრივმა გრძნობებმა შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ, შეზღუდოს განსასჯელი პირის (ბავშვისა თუ ახალგაზრდის) შესაძლებლობა, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა წარმოებული სისხლის სამართლის პროცესში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ასეთი რამ პოტენციურად ბავშვთან მიმართებით უფრო შესაძლებელია, ვინაა საკმარისია ეს სუბიექტური გრძნობები და მათი შესაძლო ხელშემშლელი ზეგავლენა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ განსასჯელის მიმართ სამართალწარმოება უსამართლო იყო? არა მგონია. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შეგვესწავლა, რა ზემოქმედება იქონიეს ამ სუბიექტურმა ფაქტორებმა ბავშვის ქცევაზე და ჰქონდა თუ არა მას საშუალება, ეფექტურად მიეღო მონაწილეობა საკუთარი დაცვის პროცესში. მეტიც, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ბავშვს საკუთარ საქმეში აქტიურად მონაწილეობის საშუალება არ მიეცა არა სასამართლო პროცესის თითქმის ავტომატური და ბუნებრივი ფსიქოლოგიური შედეგების გამო, არამედ უშუალოდ პროცესის საჯაროობი გამო. ჩემი აზრით, ეს ძალიან შორს წავიყვანს.

მოცემულ საქმეში სახელმწიფო უწყებებმა საგანგებო ღონისძიებები განახორციელეს, რომ ბრალდებული ბავშვებისთვის სასამართლო პროცესში ადეკვატურად მონაწილეობის საშუალება მიეცათ. ეს ღონისძიებები მოიცავდა მათთვის სასამართლო დარბაზის წინასწარ ჩვენებას; სასამართლო პროცედურების განმარტებას; საქმის განხილვის შემოკლებულ - სასკოლო დღის შესაბამის დღის წესრიგს, შესაბამისი შესვენებებით; და სოციალური მუშაკის ჩართვას, როგორც პროცესამდე, ასევე პროცესის მსვლელობისას. გარდა ამისა, მოსამართლემ განაცხადა, რომ თუ რომელიმე განსასჯელი დაიღლებოდა ან სტრესის ნიშნებს გამოავლენდა, იგი სოციალური მუშაკის ან ადვოკატის მოთხოვნისთანავე შესვენებას გამოაცხადებდა.

ამ გარემოებებში, როდესაც ჩვეულებრივი სასამართლო პროცედურები განსასჯელის პატარა ასაკის შესაბამისად გადაკეთდა, რთულია თქმა, რომ განმცხადებელმა ვერ მიიღო მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო. თუ განმცხადებელი ეფექტურად ვერ ჩაერთო სასამართლო პროცედურებში, ამის მიზეზი იყო არა საქმის სრულწლოვანთა სასამართლოში საჯაროდ განხილვა, არამედ ის, რომ მისი მდგომარეობა არაფრით განსხვავდებოდა იმ განსასჯელთა მდგომარეობისგან, რომელთაც არ მიუღიათ იურიდიული განათლება, აქვთ იმდენად შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები ან იმდენად დაბალი ინტელექტი, რომ

სისხლის სამართლის საქმის განხილვის აქტიური მონაწილეებად კი არა, მხოლოდ ობიექტებად შეილება ჩაითვალოს. ამ სიტუაციაში, სასამართლო პროცესის სამართლიანად ჩატარება ნიშნავს მხოლოდ ბავშვის ინტერესების სათანადოდ, მაღალკვალიფიციური ადვოკატების მიერ დაცვასა და დაცვისთვის ყველა საჭირო საშუალების უზრუნველყოფას – როგორც ეს მოცემულ საქმეში იყო. სამართლიან სასამართლოზე საუბრისას, არ უნდა გვექონდეს იმის ილუზია, რომ ამ ასაკის ბავშვი ფასეულ მითითებებს მისცემს თავის ადვოკატს და სრულფასოვნად ჩაებმება საკუთარი დაცვის პროცესში.

ზემოთ ხსენებულის საფუძველზე მიმაჩნია, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სექცია

---

**ს.ქ-ს საქმე ბაერტიანეზული სამეფოს წინააღმდეგ**

(განაცხადი#. 60958/00)

---

გადანყვეტილება

სტრასბურგი

15 ივნისი, 2004



## საქმეზე - ს.ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ -

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექციამ), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ

მ. პელონპა (პრეზიდენტი),  
ნიკოლას ბრატზა,  
ვ. სტრაზნიკა,  
ჯ. კასადევალი,  
ს. პავლოვი,  
ჯ. ბორეგო ბორეგო,  
ე. ფურა-სანდსტრომი (მოსამართლეები),

და მ. ო'ბოილი, სექციის რეგისტრატორი,  
2004 წლის 25 მაისს განმარტოებით ითათბირა და გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება,  
რომელიც მიღებულია ამავე თარიღით:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად უდევს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი (#.60958/00), რომელიც 2000 წლის 9 ივლისს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში შეიტანა გაერთიანებული სამეფოს მოქალაქემ (შემდგომში "მომჩივანი"). სექციის პრეზიდენტი დაეთანხმა მომჩივნის მოთხოვნას, არ გასაჯაროებულიყო მისი სახელი (სასამართლოს წესები, წესი 47 § 3).

2. მომჩივანს, რომელიც იურიდიული დახმარებით სახელმწიფომ უზრუნველყო, წარმოადგენდნენ ლივერპულში მომუშავე იურისტები-ნები ა. ტოდიდა ჰ. გოუსი. გაერთიანებული სამეფოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) კი წარმოადგენდა საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის დეპარტამენტის წარმომადგენელი ე. ვილმოტი.

3. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ახალგაზრდა ასაკის და დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო ვერ შეძლო საკუთარ სასამართლო პროცესში ეფექტურად მონაწილეობა, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს.

4. საჩივარი გადაეცა სასამართლოს მეოთხე სექციას (წესი 52 § 1), რომლის ფარგლებშიც მოცემული საქმის განსახილველად (კონვენციის მუხლი 27 § 1), შეიქმნა პალატა, როგორც ამას წესი 26 § 1 ითვალისწინებს.

5. 2003 წლის 30 სექტემბერს პალატამ საჩივარი დასაშვებად ცნო.

6. პალატამ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ საჭიროდ არ ჩათვალა საქმის მოსმენა (მუხლი 59 § 3 *in fine*). რის შემდეგაც მხარეებმა, კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად (წესი 59 § 1), წერილობით წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები საჩივრის არსებით მხარეებთან დაკავშირებით.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

7. მომჩივანი დაბადებულია 1988 წელს მერსისაიდში.

8. მხარეების მიერ წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით, შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

9. 1999 წლის ივნისში მომჩივანი, რომელსაც სულ ცოტა ხნით ადრე 11 წელი შეუსრულდა, და 14 წლის მოზარდი სახელად ლ.ა ქუჩაში 87 წლის ქალს დაესხნენ თავს. მომჩივანმა მისთვის

ჩანთის წართმევასცადა, რის შედეგადაც მოხუცი დავარდა და მხარი მოიტეხა. მომჩივანი გაიტყა, ლ.ა კი მსხვერპლთან დარჩა. მომჩივანს ბრალად ედებოდა ყაჩაღობის მცდელობა. მისი დაცვაამტკიცებდა, რომ იგი ლ.ა-ს მიერ იყო დაშინებული და მისი ნაქეზებით მოქმედებდა.

10. 1999 წლის ივლისში სხვა დანაშაულის გამომას ორი წლით ადგილობრივი ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა და მიმღებ ოჯახში ცხოვრება დაუნესდა.

11. 1999 წლის აგვისტოში არასრულწლოვანთა სასამართლომ განიხილა მომჩივნის დანაშაულებრივი წარსული, რომელიც ყაჩაღობას, ქურდობას, ძარცვასა და ცეცხლის ნაკიდებას მოიცავდა და მიიჩნია, რომ ყაჩაღობის მცდელობისდამტკიცების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მისთვის პატიმრობის მისჯა. ამის შემდეგ მომჩივნის საქმე სამეფო სასამართლოს გადაეცა. ბრალის წაყენების შემდეგ მომჩივნის იურიდიულმა წარმომადგენლებმა ორი საექსპერტო დასკვნა მოიპოვეს. პირველი ეკუთვნოდა არასრულწლოვანთა სასამართლო ფსიქიატრ რონან ბრენენს, რომელიც 1999 წლის სექტემბერში ოცი წუთის განმავლობაში ელაპარაკა მომჩივანს, სანამ ამ უკანასკნელმა გასაუბრება არ შეწყვიტა. გარდა ამისა, მომჩივანს 1999 წლის 11 ოქტომბერს კლინიკური ფსიქიატრიის კონსულტანტი, დაიან ბაინესიც გაესაუბრა.

12. თავის ანგარიშში დოქტორი ბრენენი, აღნიშნავს *inter alia*:

“ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა

ჩემთან გასაუბრებისას [მომჩივანს] არანაირი ემოცია არ გამოუხატავს -ყურადღება თითქოს გაფანტული ჰქონდა და ხშირად მთხოვდა შეკითხვის გამეორებას იმ საბაბით, რომ ჩემიარ ესმოდა. ოჯახურ მდგომარეობაზე საუბრისასიგი კიდევ უფრო ჩაიკეტა საკუთრ თავში; სწავლის შესახებ დასმულ კითხვებზე კი ბუნდოვნად მპასუხობდა. მას არ სურდა თავისი დანაშაულებრივი წარსულისგახსენება იმ მოტივით, რომ ამ თემაზე ჩემთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა.

ბოლოს, მან რამდენიმეჯერ გაიმეორა,ლაპარაკი მომბეზრდა და მშაო, საუბრის გარძელებაზე უარი განაცხადა და წასვლა მოისურვა.ამ მოთხოვნას მეც დავემორჩილე, რადგან ცხადი იყო, რომ მას შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და ინტერვიუს გაგრძელების სურვილი აღარ ჰქონდა.

შთაბეჭდილება

ძალიან რთულია სრული შთაბეჭდილება შეიქმნა ამ ახალგაზრდის პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ, რადგან მას თანამშრომლობის არანაირისურვილი არ გამოუხატავს. ამავე მიზეზით შეუძლებელია მისი გონებრივი განვითარებისა და ოჯახური პირობების შეფასებაც.

მოპოვებული მწირე ინფორმაციიდან ნათელია, რომ (მომჩივანს) ადრეული ასაკიდან აქვს ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები, რამაც შეზღუდული აკადემიური მოსწრება და თანატოლებთან გაუცხოებაგამოიწვია... (მომჩივნის)სოციალურად მიუღებელი და არეული ქცევა ზუსტად შეესაბამება ასოციალური პირის ქცევის დარღვევის დიაგნოზს.

დაიან ბაინესის ფსიქიატრული ანგარიშიდან ჩანს . . . რომ (მომჩივანს) სწავლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს. მისი საერთოIQ 56 (0.2 ცენტილი), ვერბალური IQ -63 (პირველი ცენტილი), მოქმედების IQ კი 55-ს (0.1 ცენტილი) შეადგენს. ეს ქულები სრულად შეესაბამება მის აკადემიურ ჩამორჩენას და შეიძლებაარასრულყოფილი სწავლის შედეგი იყოს. დაიან ბაინესი მიუთითებს, რომ მომჩივნის შემეცნებითი უნარი 8 წლის ასაკის ბავშვისას უფრო შეესაბამება, ვიდრე 11 წლის მოზარდისას.საგრძობლად შეზღუდულია მისი დასაბუთების უნარიც. ...

ამკარაა, რომ მას (მომჩივანს) აქვს კომპლექსური საჭიროებები, რომლებიც უსათუოდ უნდა გაითვალისწინონ მომავალმაალმზრდელებმა...

სავარაუდოდ,მის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის ალბათობა ძალიან მაღალია, თუკი კოორდინირებული მზრუნველობის პაკეტი არ დააკმაყოფილებსმის კომპლექსურ სასწავლოთუ ემოციურ საჭიროებებს.თუმცა, ამ ეტაპზე მჯერა, რომ გრძელვადიანი მზრუნველობის გეგმა, სტაბილურ ოჯახში დაბინავება და შესაბამისი საგანმანათლებლო პაკეტი შეიძლებაპატიმრობის ალტერნატივად იქცეს.

*რეკომენდაციები*

1. სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის მომჩივნის ქმედუნარიანობის შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან მან საკუთარი დანაშაულის შესახებ ჩემთან ძალიან ცოტა ისაუბრა. მიუხედავად ამისა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციისა და ფსიქოლოგიური ტესტების საფუძველზე, შემიძლია დავასკვნა, რომ იგიპრინციპში აცნობიერებდასაკუთარ ქმედებებს და ესმოდა, რომ ეს ქმედებები არასწორი იყო. თუმცა არასრულფასოვანი განათლებისა და შეზღუდული აზროვნების გამო ამ ქმედებათა შედეგებსდამახინჯებულად აღიქვამს. საერთო ჯამში, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი, მონაწილეობა მიღოს სასამართლო პროცესში, თუკი სათანადოდ, მისი შემეცნებითი პრობლემების გათვალისწინებით, განემარტება ყველა დეტალი.
2. [მომჩივანს] უნდადაენიშნოს ზედამხედველობა იმ ვადით, რა ვადაც იქნება საჭირომისი ემოციური თუ სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მისი დანაშაულებრივი მიდრეკილებების შესამცირობლად.
3. ჩემი აზრით, თუკი შესაძლებელია, პატიმრობაზე უფრო მისაღები იქნება მინდობით აღზრდაში მისი ხანგრძლივი ვადით განთავსება.
4. დაიან ბაინესის ანგარიშის ასლი, მისივე თანხმობით, უნდა გადაიგზავნოს მომჩივნის სკოლაში. სწორედ მის საფუძველზე უნდა შეიქმნას სათანადო სასწავლო პაკეტი მომჩივნის კომპლექსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.”

**13. დაიან ბაინესის 1999 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული ანგარიში კიგვამცნობს:**

“[მომჩივანს] ამბოლატორიულ განყოფილებაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მუშაკის თანდასწრებით შევხვდი. იგი მეგობრულად განწყობილი ჩანდა, მზად იყო სათანამშრომლოდ და საკმაოდ ყურადღებითაც მისმენდა. მას, საერთო ჯამში, ესმოდა რა მოეთხოვებოდა, თუმცა ზოგიერთ საკითხის განმეორებით ახსნადა დროდადრო ნახალისებაც საჭიროებოდა. ...

მას [მომჩივანს] მივეცით WISC-III [Wechsler Intelligence Scale for Children - 3rd edition - ვექსლერის გონებრივი შესაძლებლობების შკალის მესამე გამოცემა], რომლითაც ფასდებალოგიკური აზროვნების უნარი, როგორც ვერბალური, ისე არავერბალური პრობლემის გადანყვეტისას. ... ზოგადად, [მომჩივანს] აქვს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა განათლებაში. მისი ვერბალური IQ შედარებით მაღალია, ვიდრე - მოქმედების IQ, თუმცა ორივე პირველი დონის ქვედა ზღვარზეა.

ვერბალურ სკალაზე მომჩივანმა საშუალო დონეზე ოდნავ უკეთესი შედეგი უჩვენა, რაც კარგი ზეპირი მეხსიერების უნარზე მეტყველებს. ამ მაჩვენებელს შეესაბამებოდა მისი არითმეტიკული ანგარიშის უნარიც. თუმცა სხვა ტესტებში ქულები საშუალოზე დაბალი იყო, რაც ვერბალური დასაბუთების უნარზეც აისახა. მისთვის განსაკუთრებით რთულია სიტყვების განმარტება - ამ სავარჯიშოში მან 6 წლის ბავშვის შესაფერისი შედეგი უჩვენა.

ზოგადად, [მომჩივანს] ვერბალურ ტესტებზე მეტად მოქმედების ტესტების შესრულება უჭირს. მისი განვითარება სკალის მიხედვით მინიმუმ, 6 წლის და 2 თვის, და მაქსიმუმ 6 წლის და 6 თვის ბავშვისას შეესაბამება. ვიზუალურ-სივრცით აღქმასთან დაკავშირებული ტესტებისადმი მისი მიდგომა ამკარად მოუმნიფებელი იყო და იგი ყოველთვის არ აქცევდა ყურადღებას შესაბამის ნიშნებს.

[მომჩივნის] ნერა-კითხვის ცოდნა WORD-ის მეთოდით [Wechsler Objective Reading Dimensions] შემოწმდა და დადგინდა რომ ცალკეული სიტყვების კითხვისადა მართლწერისუნარი მისი საერთო განათლების შესაფერისი იყო. კითხვის უნარი მოსალოდნელზე კიდევ უფრო შეზღუდული ჰქონდა, თუმცა ამის მიზეზი მისარასრულფასოვან განათლებაში უნდა ვეძებოთ.

*დასკვნა*

[მომჩივანს] მოცემულ მომენტში სერიოზული პრობლემა აქვს სწავლასთან დაკავშირებით, რაც თვალნათლივ ჩანს ვიზუალური დავალებების შესრულებისას. ... ასაკობრივი ეკვივალენტით [მომჩივნის] აღქმის უნარი 6 წლისა და 2 თვის და 8 წლისა 2 თვის ასაკობრივ კატეგორიებში მერყეობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი დასაბუთების უნარი საგრძნობლად შეზღუდულია...”

14. 1999 წლის დეკემბერში გაიმართა წინასასამართლო სხდომა. მომჩივნის ადვოკატმა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომის გამართვა პროცესუალური დარღვევა იქნებოდა, რადგან მომჩივანი შეზღუდული ყურადღებისა და სწავლაში ჩამორჩენილობის გამო, პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობას ვერ შეძლებდა. ეს პოზიცია არ გაიზიარა მოსამართლემ, რომელმაც დაადგინა *inter alia*:

“მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ამ საქმის სამეფო სასამართლოში განხილვა არაჰუმანური, უსამართლო, ან მომჩივნისთვის დამამცირებელი იქნება. სამეფო სასამართლოში ბავშვთა საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პროცედურების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა პროცესი გაიმართება არაფორმალურად - როგორც ამასასამართლიანი სასამართლომოითხოვს. იურისტებს არ ეხურებათ პარიკები და არ ეცმევათ მანტიები. ნაფიც მსაჯულთა წინაშე დადგება მარტივი საკითხი. არანაირი საფუძველი არ გვაქვს, ვიფიქროთ, რომ [მომჩივანს] უფრო მეტად შეზღუდვასაკუთარი მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობა, ვიდრე ეს არასრულწლოვანთა სასამართლოში იქნებოდა. ჩემს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ის არის „ქუჩაში გამონრთობილი“ ბავშვი, რომლის ინტელექტუალური შეზღუდულობა, უმეტესწილად, ორი კრიტიკული წლის საგანმანათლებლო სისტემის გარეთ გატარებით არის გამოწვეული.

ბრალდების მხარეს ვკითხე, შედიოდათუ არა საზოგადოების ინტერესებში მომჩივნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მას ყაჩაღობისთვის უკვე მიესაჯაოწლიანი ზედამხედველობა. რაზეც მიპასუხეს, რომ შედამხედველობის შესახებ განკარგულების გამოცემის, ანუ 1999 წლის 1 ივლისის შემდეგ (იმ დროს, როდესაც მომჩივანი უკვე ადგილობრივი უწყების მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა) მან ჩაიდინა (და აღიარა) რამდენიმე სხვა დანაშაულიც. იგი ცხოვრობდა მიმღებ ოჯახში, რომლებმაც სექტემბერში (დოქტორი ბრენენის ანგარიშის მიხედვით) მის ქცევაში გარკვეული პროგრესიციკი შენიშნეს. მაგრამახლა ისინი უარსაცხადებენ მომჩივნის ოჯახში დატოვებაზე, რადგან თვლიან, რომ მისიგაკონტროლება შეუძლებელია. ამ გარემოებების გათვალისწინებით სავსებით გასაგებია, რომ სამეფოს სურს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

ბატონიგოუ ასევე ცდილობდა სასამართლოსთვის დაემტკიცებინა, რომ მომჩივანი პროცესში მონაწილეობისთვის არაქმედუნარიანი იყო. ამ არგუმენტსენინალმდეგებადოქტორბრენენ ის წერილობითი ანგარიში. მაგრამროგორც მოგვიანებით შევიტყვე, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი სექტემბრიდან (ანუ მაშინ, როდესაც ბიჭი არავისთან თანამშრომლობდა) არ ენახა, დოქტორ ბრენენს მომდევნო კონსულტაციების შემდეგ ეჭვი შეეპარა საკუთარ პოზიციაში, რაც მან ზეპირიჩვენებითაც დაადასტურა. თუმცა ამის შესახებდამატებითი წერილობითი ანგარიში არ წარმოუდგენია. ბ-ნ გოუსს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ, სულ მცირე, ორი სამედიცინო პრაქტიკოსი ექსპერტის მტკიცებულებაა საჭირო მისი კლიენტის ქმედუნარობის დასადასტურებლად, და რომ ქ-ნი ბაინესი არ არის პრაქტიკოსი ექიმი. მან მთხოვა გადამედოსასამართლო სხდომა და დაცვის მხარისთვის მეორე ექიმის მონვევისათვის დრო მიმეცა.

მე უარი განვაცხადე ამ მოთხოვნაზე და ბ-ნ გოუსსაკითხის განხილვა დოქტორი ბრენენის დასკვნის კუთხით შევთავაზე. თუ ბიჭი სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის ქმედუნაროა, მაშინ იგი ქმედუნარო უნდა ყოფილიყო არასრულწლოვანთა სასამართლოს წინაშეც. მიუხედავად ამისა, არასრულწლოვანთა სასამართლოს წინაშე მომჩივნის რამდენჯერმე წარდგომისას ეს საკითხი არცერთხელ არ წამოჭრილა. დღეს კი შუადღის განხილვის შემდეგ ბ-ნი გოუსგან შევიტყვე, რომ მან ითათბირა თავის უფროს ადვოკატთან და აღარ აპირებს ქმედუნარიანობის საკითხის განხილვას. ამგვარად, საქმის არსებითი განხილვა იქნება...”

15. 1999 წლის დეკემბერში სასამართლო განხილვაზე, რომელიც ერთ დღეს გაგრძელდა, მომჩივანს თან ახლდა სოციალური მუშაკი. მომჩივანიარ დაუსვამთ ბრალდებულის სკამზე; სასამართლო ხშირად აცხადებდა შესვენებებს; იურისტები კისხდომას პარიკებისა და მანტიების გარეშე ესწრებოდნენ. სამეფო სასამართლოში წარმოდგენილი საქმე ეფუძნებოდა ორ წერილობით განცხადებას (რომლებიც ეკუთვნოდათ დანაშაულის მსხვერპლსა და დამკავებელ პოლიციის ოფიცერს) და ორი თვითმხილველი მოწმის ზეპირ ჩვენებას. მომჩივანმა წარმოადგინა მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც მან დანაშაული სხვისიზეგავლენის შედეგად ჩაიდინა; დაიან ბაინესმა კითავისი ანგარიშის დამადასტურებელი ჩვენება მისცა.

16. მომჩივანი დამნაშავედ ცნეს და ორ წელიწად-ნახევრით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა.

17. მომჩივანმა გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, იმ მოტივით, რომ შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო, სამართლიანი სასამართლოს უფლება შეეღაზა. მან სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებები წარადგინა, მათ შორის თავისი ზედამხედველი სოციალური მუშაკის განცხადება, რომელმაც თქვა, *inter alia*:

“სამეფო სასამართლოში [მომჩივნის] პირველი გამოცხადებისას სასამართლო სრული რეგალიებით იყო წარმოდგენილი. ამ ფორმალურმა ატმოსფერომ მომჩივანი ძალიან დააბნია. ჩემი აზრით, ის სრულად ვერც კი აცნობიერებდა მდგომარეობას.

... მოხარული ვარ, რომ მის სასამართლო პროცესზე ყველა ჩვეულებრივ სამოსში იყო გამოწყობილი. როდესაც ნაფიც მსაჯულებს ფიცს ადებინებდნენ, მომჩივანმა მათი ვინაობა მკითხა. მეც 11 წლის ბიჭისთვის გასაგები ენით ავუხსენი, რომ ისინი იყვნენ საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებსაც იგი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ უნდა ეცნოთ.

ამის შემდეგ ის დაინტერესდა - თუკი ნებადართული იყო პროცესზე საზოგადოების ჩვეულებრივი წევრების დასწრება, რატომ არ შეიძლებოდა, რომ სასამართლო განხილვაზე დედამისიც ყოფილიყო და დახმარებოდა. ჩემი მცდელობის მიუხედავად, მომჩივანს ოჯახის არც ერთი წევრი არ ახლდა.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მომჩივანი გამუდმებით მეკითხებოდა, რა ხდებოდა დარბაზში. მას ძალიან უჭირდა ყურადღების კონცენტრირება და, ვფიქრობ, სწორედ სასამართლო ფორმალობების ამგვარგაგებამ შეუქმნა ნაფიც მსაჯულებს შთაბეჭდილება, რომ მათ წინაშე უნესო და „ფეხზემკიდა“ პიროვნება იმყოფებოდა.

ჩემი აზრით, ამან ზოგიერთი ნაფიც მსაჯული მტრულად განაწყობა, რაც ერთი შეხედვითაც კარგად ჩანდა. განაჩენის გამოცხადების შემდეგაც კი მომჩივანმა ვერ გაიგო, რა მოხდა და რა მიუსაჯეს.

მას ეგონა, რომ მიმღებ ოჯახში უნდა დაბრუნებულიყო მამობილთან ერთად, რომელიც სასამართლოში ჩვენების მისაცემად იყო გამოძახებული. ჩემი მცდელობის მიუხედავად, მომჩივანმა ვერაფრით გაიაზრა არსებული მდგომარეობა. როდესაც იგი შემდგომი ესკორტირებისთვის დროებით საკანში გადაიყვანეს, კიდევ ერთხელ ვცადე მისთვის სასამართლო პროცესის შედეგის განმარტება, მაგრამ ის მაინც დაბნეული იყო“.

18. 2000 წლის 19 ივნისს სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის სააპელაციო საჩივარი და წინა სასამართლოს პროცესუალურ დარღვევებში დადანიშნული უსაფუძვლოდ ჩათვალა. სააპელაციო სასამართლოს თვალსაზრისით, პირველი ინსტანციის მოსამართლემ გაითვალისწინა მომჩივნის ასაკი, სიმწიფე და ინტელექტუალური ემოციური შესაძლებლობები და სათანადო ღონისძიებებიც გაატარა ვითარებაში მის გასარკვევად და სასამართლო პროცესში ჩასაბმელად. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა აპელაცია დაკისრებული სასჯელის გაუქმების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ იმ დანესებულების ყოვლისმომცველი ანგარიში, სადაც იმჟამად დაკავებული იყო მოზარდი, მომჩივნის ქცევისა და მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე მიუთითებდა. ამაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარსული არასტაბილური ცხოვრების გათვალისწინებით, ამჟამინდელი უზრუნველყოფა და განათლება მომჩივნის სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

### ა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი

19 [1933 წლის „ბავშვებისა და არასრულწლოვნების შესახებ კანონის“ 50-ე მუხლის მიხედვით, რომელშიც 1963 წლის „ბავშვებისა და არასრულწლოვნების შესახებ კანონის“ 16(1) მუხლით შევიდა ცვლილებები („1933 წლის კანონი“), ინგლისსა და უელსში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 10 წლით განისაზღვრა. ამაზე მცირე ასაკის ბავშვი არ შეიძლება დამნაშავედ იქნეს ცნობილი დანაშაულის ჩადენაში.

## ბ. ბავშვ განსასჯელებთან დაკავშირებული პროცედურები

20. მაგისტრატა სასამართლოს 1980 წლის კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, ბავშვთა და 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა საქმეებზე გამარტივებული წესითუნდა განიხილებოდეს მაგისტრატი სასამართლოს მიერ. პროცესი, ჩვეულებრივ, იმართება სპეციალიზებულ არასრულწლოვანთა სასამართლოში, სადაც არაფორმალური პროცედურა მოქმედებს და სადაც საზოგადოების წარმომადგენლები არ დაიშვებიან. გამონაკლისს წარმოადგენენ ის ბავშვები და არასრულწლოვნები, რომლებსაც ბრალად ედებათ განზრახ მკვლელობა, მკვლელობა დაუდევრობით ან სხვა ისეთი დანაშაულები, რომლებისთვისაც სრულწლოვნები თოთხმეტი ან მეტი წლით პატიმრობით ისჯებიან, და რომლებსაც სამეფო სასამართლო ნაფიც მსაჯულთა წინაშე განიხილავს.

21. 1933 წლის კანონის 44-ე მუხლის მიხედვით ყველა სასამართლო, რომელიც იხილავს ბავშვის (14 წლამდე) ახალგაზრდის (18 წლამდე) მიერ ჩადენილ დანაშაულს, თუ სხვა საქმეს, პირველ რიგში, ამ უკანასკნელთა კეთილდღეობას უნდა ითვალისწინებდეს.

22. 2000 წლის 16 თებერვალს, მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე *T. v. the United Kingdom* ([GC], no. 24724/94, 16 დეკემბერი 1999) და *V. v. the United Kingdom* ([GC], no. 24888/94, ECHR 1999-IX), უზენაესი სასამართლოს ლორდმა თავმჯდომარემ გამოსცა პრაქტიკული დირექტივა სამეფო სასამართლოში ბავშვებისა და ახალგაზრდების საქმეთა განხილვის თაობაზე. ეს დირექტივა, რომელიც მომჩივნის საქმის განხილვისას ჯერ კიდევ არ არსებობდა, ადგენს:

“1. ეს დირექტივა ეხება სამეფო სასამართლოში ბავშვებისა და ახალგაზრდების საქმის განხილვის წესს. ამ დოკუმენტებში ბავშვებსა და ახალგაზრდებს მოიხსენიებენ, როგორც „ახალგაზრდა განსასჯელებს“. მხოლოდითი რიცხვიგულისხმობს მრავლობითსაც, და მამრობითი სქესი- მდედრობითსაც.

2. ამ დირექტივის შესასრულებლად საჭიროა, ნებისმიერ კონკრეტულ საქმეზე მსჯელობისას გავითვალისწინოთ ახალგაზრდა განსასჯელის ასაკი, სიმწიფისა თუ განვითარების (როგორც ინტელექტუალური, ასევე ემოციური) დონე და საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა გარემოება.

*უმთავრესი პრინციპი*

3. მძიმე დანაშაულში ბრალდებული ზოგიერთი ახალგაზრდა განსასჯელი შეიძლება ძალიან ნორჩი და მოუმწიფებელი იყოს სამეფო სასამართლოში გასასამართლებლად. სასამართლოს მიზანია ბრალეულობის დადგენა (თუ ეს წარმოადგენს განსჯის საკითხს) და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა, თუკი ახალგაზრდა განსასჯელი აღიარებს ბრალს ან ცნობილი იქნება დამნაშავედ. სასამართლო პროცესზე ახალგაზრდა პირი არ უნდა გახდეს დაშინების, დამცირების ან წამების ობიექტი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მას ესმოდეს, რა ხდება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. უნდა მოხდეს ამ საჭიროებებზე ჩვეულებრივი სასამართლოს ადაპტირება. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდა განსასჯელების კეთილდღეობას, როგორც ამას 1933 წლის „ბავშვებისა და არასრულწლოვნების შესახებ კანონი“ მოითხოვს.

*სასამართლო პროცესამდე*

4. თუ ახალგაზრდა განსასჯელს ბრალი წაყენა ზრდასრულ განსასჯელთან ერთად, სასამართლომ წინასასამართლო სხდომაზე უნდა განიხილოს მისი ცალკე გასამართლების საკითხი და ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტოს - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთობლივი სასამართლო პროცესი წარმოადგენს მართლმსაჯულების ინტერესს და არ არის ახალგაზრდა განსასჯელის კეთილდღეობისთვის საზიანო. თუ ახალგაზრდა განსასჯელისა და ზრდასრული პირის საქმე ერთობლივად განიხილება, მაშინ გამოიყენება ჩვეულებრივი პროცედურები, მაგრამ განხორციელდება გარკვეული მოდიფიკაციები, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის სასამართლო.

5. ახალგაზრდა განსასჯელის საქმის არსებით განხილვამდე წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ უნდა განიხილოს და საჭიროებისამებრ გასცეს განკარგულებები ქვემოთ მე-9- მე-15 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე.



6. შესაძლებელია მიზანშეწონილი გახდეს ახალგაზრდა განსასჯელის არასასამართლო საათებში - ან სასამართლო განხილვის დაწყებამდე - სასამართლოში მიყვანა და იმ დარბაზის ჩვენება, სადაც სასამართლო პროცესის გამართვა იგეგმება.

7. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა პირის საქმე ფართო საზოგადოებრივი ან მედიის ინტერესის ობიექტს წარმოადგენს (ან შეიძლება ასეთად იქცეს), შესაძლოა საჭირო გახდეს პოლიციის დახმარება, რომ ახალგაზრდა განსასჯელის სასამართლოზე დასწრებისას ადგილიარ ჰქონდეს მის შეურაცხყოფას ან მასზე ძალადობას.

8. ამ შემთხვევაში, სასამართლო მზადუნდა იყოს (თუ ეს უკვე არ მომხდარა), გასცეს განკარგულება 1933 წლის ბავშვებისა და არასრულწლოვანი პირების შესახებ კანონის 39-ე მუხლის საფუძველზე ან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, 1999 წლის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მტკიცებულების შესახებ კანონის 45-ე მუხლის საფუძველზე. ნებისმიერი ასეთი განკარგულება უნდა მომზადდეს მხოლოდ წერილობით და ასლები, მოთხოვნისამებრ, უნდა გადაეგზავნოს ყველა იმ პირს, ვისზეც ვრცელდება, ან შესაძლოა გავრცელდეს ეს განკარგულება.

*სასამართლო პროცესი*

9. სასამართლო პროცესი, რამდენადაც ეს განხორციელებადია, უნდა გაიმართოს ისეთ დარბაზში, სადაც ყველა მონაწილე ან თითქმის ყველა მონაწილე ერთ სიმალეზე ისხდება.

10. როგორც წესი, ახალგაზრდა განსასჯელი უნდა იჯდეს თავისი ოჯახის წევრებთან (თუ ამის სურვილი ექნება), ან სხვა ახლობელადმიანებთან ერთად. ეს უნდა იყოს ისეთი ადგილი, საიდანაც განსასჯელს თავისუფლად შეეძლება ურთიერთობა თავისადვოკატებთან, ან სხვებთან, ვისთანკომუნიკაციის სურვილი თუ საჭიროება გაუჩნდება.

11. სასამართლომ ახალგაზრდა განსასჯელს გასაგებად, მარტივად უნდა აუხსნას პროცედურების თანმიმდევრობა; უნდა შეახსენოს წარმომადგენლებს, რომ ვალდებული არიან, აუხსნან განსასჯელს სასამართლო პროცესის თითოეული ეტაპი; და, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოს, რომ სასამართლო პროცესი განსასჯელისთვის გასაგებ ენაზე წარიმართოს.

12. სასამართლოს დღის წესრიგი სრულად უნდა ითვალისწინებდეს, რომ შეიძლება ახალგაზრდა განსასჯელს არ შესწევდეს ერთ საკითხზე დიდხანს კონცენტრირების უნარი. საჭირო იქნება ხშირი და რეგულარული შესვენებები.

13. იურისტები არ უნდა ატარებდნენ მანტიებსა და პარიკებს, თუ ახალგაზრდა განსასჯელი თავად არ მოითხოვს ამას, ან სასამართლოს რაიმემნიშვნელოვანი მიზეზი არ ექნება საამისოდ. პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდა განსასჯელის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს არ უნდა ეცვათ ფორმა. სასამართლო დარბაზში არ უნდა იყვნენ პოლიციის ფორმაში ჩაცმული პირები, თუ ამის აუცილებლობა არ არსებობს.

14. სასამართლო მზად უნდა იყოს, შეზღუდოს სასამართლო პროცესზე დამსწრეთა რაოდენობა და დაუშვას მხოლოდ ისინი, ვისაც უშუალოდ ეხება ეს საქმე და ვინც უშუალოდაა დაინტერესებული საქმის საბოლოო შედეგით. სასამართლომ უნდა გააკონტროლოს პროცესზე დასწრებასთან დაკავშირებული თითოეული მოთხოვნა.

15. სასამართლომ ხელი უნდა შეუწყოს პროცესის გაშუქებას (რაც 1999 წლის კანონის 45-ე მუხლისა და 1933 წლის კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად უნდა დარეგულირდეს). მაგრამ სასამართლოს შეუძლია გონივრულ და მისაღებრაოდენობამდე შეზღუდოს იმ პირთა რიცხვი, ვინც სხდომის მიმდინარეობას გააშუქებს. პროცესის გაშუქების შესახებ მოთხოვნის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს, ინფორმირებული იყოს სამეფო სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. თუკი რეპორტიორების დასწრება შეზღუდულია და თუ ნათელია, რომ ასეთი დამატებითი ადგილის გამოყოფის საჭიროება არსებობს, სასამართლომ უნდა იზრუნოს, რომ პროცესი აუდიო და ვიზუალური საშუალებებით გადაიცეს იმავე შენობაში მდებარე სხვა დარბაზში, სადაც მედიას თავისუფლად შესვლის საშუალება ექნება.

16. სასამართლომ ნებისმიერ პროცედურულ საკითხთან დაკავშირებული დისკრეცია, რომელიც ამ დირექტივის ფარგლებში ჯდება, მაგრამ კონკრეტული მუხლის სფეროს არ წარმოადგენს, ზემოთ მოცემული მე-3 პუნქტის პრინციპების გათვალისწინებით უნდა განახორციელოს.

გასაჩივრება და სასჯელის განსაზღვრა

17. ეს დირექტივა არ ვრცელდება გასაჩივრებასა და სასჯელის განსაზღვრაზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ იმისი ეფექტი თუკი არსებობს ალბათობა იმისა, რომ გასაჩივრების და სასჯელის განსაზღვრისას ახალგაზრდა განსასჯელის კეთილდღეობას საფრთხედაემუქრება.”

**გ. ქმედუნარიანობა სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის**

23. ბრალდებული არ ითვლება „ქმედუნარიანად სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის“, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მიზეზით - როგორცაა, მაგალითად, ფსიქიკური დაავადება, არა აქვს „საკმარისი ინტელექტი, რომ მითითებები მისცეს თავის სოლისიტორებსა თუ იურიდიულ მრჩეველებს, უპასუხოს ბრალდებებს, ეჭვის ქვეშ დააყენოს ნაფიცი მსაჯულები და გაიაზროს ან თავად წარმოადგინოს მტკიცებულებები“ (*R. v. Robertson 52* სისხლის სამართლის საქმის აპელაციის ანგარიშები 690). საკითხი, ქმედუნარიანია თუ არა განსასჯელი სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობის მისაღებად, უნდა გადაწყდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ, სულ მცირე, ორი სამედიცინო ექსპერტის წერილობითი ან ზეპირი მტკიცებულების საფუძველზე. თუკი ნაფიც მსაჯულები განსასჯელს საპროცესო თვალსაზრისით ქმედუნარიოდ მიიჩნევენ, იმავე ან სხვა ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა განაგრძონ საქმის განხილვა და გადაწყვიტონ - ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა დანაშაულებრივი ქმედება ან უმოქმედობა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება განსასჯელის ჰოსპიტალიზების განკარგულება გასცეს (სისხლის სამართალი (კანონი შეურაცხადობის შესახებ), 1964, მუხლები 4, 4A და 5). ამის ალტერნატივას წარმოადგენს სასამართლო პროცესის გაურკვეველი ვადით გადადება, სანამ ბრალდებული სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის ქმედუნარიანი არ გახდება.

სამართალი

24. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის სავარაუდო დარღვევა

მომჩივანი მტკიცებდა, რომ მასთან მიმართებაში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც ადგენს:

„ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დადგენისას... ყველას აქვს... საქმის... სამართლიანი... განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ...“

25. მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ საქმეში რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მათ გაიზიარეს მოსაზრება, რომ ბრალდებულს ჰქონდა უფლება ეფექტურად მიეღო მონაწილეობა თავის სასამართლო პროცესში, მაგრამ არ დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ მას, როგორც ბავშვს, უნდა გაეგო კანონის ყველა ასპექტი და მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის საქმის განხილვის მომენტისთვის დირექტივა ბავშვი განსასჯელების თაობაზე ძალაში შესული არ ყოფილა, საქმეში გამოყენებული პროცედურა შეესაბამებოდა შემდეგ რეკომენდაციებს: მომჩივანს მუდამ თან ახლდა ზედამხედველი სოციალური მუშაკი, იურისტები არ ატარებდნენ პარიკებსა და მანტიებს და სასამართლო ხშირად აცხადებდა შესვენებას; საქმე არ გასაჯაროებულა და არ მოჰყოლია საზოგადოებრივი გაკიცხვა; არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ მომჩივანს სასამართლო პროცესის შედეგად მიაღწია რაიმე ტრავმა, ან რომ სასამართლო მოსმენისას ფსიქიკური მდგომარეობის გამო ვერ გაიაზრა იმ ქმედების ბუნება, რაშიც ბრალი ედებოდა, ან რომ შეეზღუდა ადვოკატთან კონსულტირების საშუალება. სასამართლო პროცესის მსვლელობისას განსასჯელის წინაშე არ დამდგარა რაიმე სირთულის არსებობის საკითხი. მეტიც, ზედამხედველი სოციალური მუშაკი ხშირად უხნიდა მომჩივანს, რა ხდებოდა სასამართლო სხდომაზე. ამჟამად იყო, რომ მომჩივანს კარგად ესმოდა ეს განმარტებები და იმდენად აცნობიერებდა ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს, რომ შეეძლო სასამართლო პროცესში ეფექტურად მიეღო მონაწილეობა და თავის დასაცავად საკუთარი მტკიცებულებები წარმოედგინა.

26. დაცვის მხარე აცხადებდა რომ მომჩივანი საშინელ ოჯახურ პირობებში გაიზარდა, რის გამოც შეზღუდული ჰქონდა ინტელექტუალური შესაძლებლობები; რომისეთი 11 წლის ბავშვი,

როგორც მომჩივანი იყო - რომლის გონებრივი შესაძლებლობები, უკეთეს შემთხვევაში, 8 წლის, და უარეს შემთხვევაში, 6 წლის ასაკის ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს შეესაბამებოდა და რომელიც ინტელექტუალური ჩამორჩენილობით თავისი ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 1%-ს განეკუთვნებოდა, არ უნდა წარმდგარიყონაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე, სადაც პროცესი ღია საზოგადოებისთვის და პრესა თავისუფლად დაიშვება. ამის ნაცვლად, მომჩივნის საქმე უნდა განეხილა სპეციალიზებულ არასრულწლოვანთა სასამართლოს, რომელსაც სასჯელის დადგენის შესაბამისი უფლებამოსილება აქვს. ნებისმიერი განსწავლული დამკვირვებლისთვის, მათ შორის ზედამხედველი სოციალური მუშაკისთვისაც, ნათელი იყო რომ მომჩივანს სრულად არ ესმოდა, რა ხდებოდა, რომიგი სასამართლო პროცესში სრულყოფილ მონაწილეობას ვერ იღებდა და ვერ იძლეოდა ადეკვატურ მითითებებს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცედურები ადაპტირებული იყო, მომჩივანიძალიან დააფრთხო ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობამ და სამეფო სასამართლოს ფორმლობებმა, ხოლო მისმა გაფანტულმა ყურდლებამ ნაფიცი მსაჯულების გაღიზიანება გამოიწვია.

27. სასამართლო მიიჩნევს რომ 11 წლის ბავშვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ან სისხლის სამართლის ბრალდების განსახილველად სასამართლო პროცესის წარმართვა, თავისთავად, არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევას, თუკი ბავშს სასამართლო პროცესში ეფექტურად მონაწილეობა შეუძლია (იხ. *T. v. the United Kingdom* [GC], no. 24724/94, §§ 72 and 84, 16 დეკემბერი 1999, და *V. v. the United Kingdom* [GC], no. 24888/94, ECHR 1999-IX).

28. ბრალდებულის უფლება, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა თავის სასამართლო პროცესში, *inter alia*, გულისხმობს არამხოლოდ დასწრების, არამედ საქმის მოსმენისა და თვალყურის დევნების უფლებასაც(იხილეთ *Stanford v. the United Kingdom*, გადაწყვეტილება, 23 თებერვალი 1994, სერიები A no. 282-A, pp. 10-11, § 26). ბავშვის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მისი ასაკის, სიმწიფისა და ინტელექტუალური თუ ემოციური შესაძლებლობების გათვალისწინება იმისათვის, რომ მან სრულად გაიაზროს და სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცედურებში(იხილეთ *T. v. the United Kingdom*, ზემოთ ციტირებული, §84). ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვის იმგვარად ჩატარება, რომ მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან განსასჯელის დაშინება და დათრგუნვა (*ibid.*, § 85).

29. სასამართლო ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ მოითხოვს, დანაშაულში ბრალდებულ ბავშვს ესმოდეს ან შესწევდეს უნარი, გაიგოს კანონის ყველა ასპექტი თუ მტკიცებულების ყველა დეტალი. თანამედროვე სამართლებრივი სისტემის სირთულიდან გამომდინარე, ნორმალური ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე მრავალ ზრდასრულ ადამიანს არ შეუძლია, სრულად გაიაზროს სასამართლო დარბაზში მიმდინარე მოვლენები: სწორედ ამიტომ უსვამს ხაზს კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის (გ) პუნქტი დამცველის ყოლის მნიშვნელობას. „ეფექტური მონაწილეობა“ ამ კონტექსტში გულისხმობს, რომ მომჩივანს კარგად აქვს გააზრებული, რას ემსახურება სასამართლო პროცესი და ესმის, რა საფრთხის წინაშე დგას და რა სახის სასჯელი შეიძლება დაეკისროს. ეს კი ნიშნავს, რომსაჭიროების შემთხვევაში, მან, ვთქვათ, თარჯიმნის, ადვოკატის, სოციალური მუშაკისა თუ მეგობრის დახმარებით, უნდა შეძლოს სასამართლოზე განხილულ საკითხთა საერთო აზრის გაგება. განსასჯელს უნდა ესმოდეს, რას ამბობენ ბრალდების მოწმეები და, თუკი ჰყავს დამცველი, განუმარტოს მოვლენათა საკუთარი ვერსია, მიუთითოს, რომელ ჩვენებას არ ეთანხმება, და გააცნოს ის ფაქტები რომლებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება დაცვის ასაგებად(იხილეთ, მაგალითად, *სტენფორდი*, ციტირებული ზემოთ, §30).

30. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, მომჩივნის საქმე საჯაროდ იქნა განხილული, მაგრამ სამეფო სასამართლომ ყველა ზომა მიიღო პროცესისთვის არაოფიციალური სახის მისაცემად; მაგალითად, იურისტები არ ატარებდნენ პარიკებსა და მანტიებს და მომჩივანს დართეს ნება, თავისი სოციალური მუშაკის გვერდით მჯდარიყო. ზემოთ ხსენებული საქმე *T. and V. v. the United Kingdom*-ის განგანსხვავებით, მომჩივნის დაკავება და სასამართლო პროცესი საზოგადოებისა და პრესის ცხოველი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ბრალდებულის მიმართ იყო მტრული დამოკიდებულება ან რომ სასამართლო დარბაზში დაძაბული ატმოსფერო სუფევდა.

31. პირველი ინსტანციის მოსამართლემ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, იქნებოდა თუ არა მომჩივნის გასამართლება პროცესუალური დარღვევა და/ან ეწინააღმდეგებოდა თუ არა ეს კონვენციას, დაადგინა, რომ მომჩივანი არის „ქუჩაში გამონრთობილი“ ბავშვი, რომლის ინტელექტუალური ჩამორჩენილობის მიზეზი ორი წლის საგანმანათლებლო სისტემის გარეთ გატარებაა“. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელაცია მე-6 მუხლის/პროცესუალური დარღვევის თაობაზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეს ხელთ ჰქონდა ევროპული სასამართლოს მიერ T და V-ს საქმესთან დაკავშირებით დადგენილი პრინციპები და გაითვალისწინა კიდევ ისინი, როდესაც დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენა და სასამართლო განხილვა დაუშვა.

32. თუმცა სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ორმა ექსპერტმა, რომლებმაც სასამართლო პროცესის დაწყებამდე შეაფასეს მომჩივნის მდგომარეობა, ჩათვალეს, რომ მას ასაკთან შედარებით ძალიან შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვს (იხ. ზემოთ, მე-12 დამე-13 პუნქტები). დაიან ბაინესმა თავის ანგარიშში აღნიშნა, რომ მომჩივნის მიერ სხვადასხვა ტესტებზე გაცემული პასუხები „სწავლის უნარის მნიშვნელოვან შეზღუდვაზე“ მეტყველებს, რომ მისი დასაბუთების უნარი „ძალიან განუვითარებელია“ და საშუალოდ 6 ან 8 წლის ასაკის ბავშვების დონეს შეესაბამება- გააჩნია, კონკრეტულად რომელ შემეცნებით უნარს შევაფასებთ. ექიმი ბრენენი, მას შემდეგ, რაც ასკენის, რომ მომჩივანი, სავარაუდოდ, აცნობიერებდა თავის ქმედებებს და ამ ქმედებათა არასწორობას, აღნიშნავს: „თუმცა, მის მიერ საკუთარ ქმედებათა შედეგების გააზრებას შესაძლოა, მნიშვნელოვანი იქნას, შემეცნებისა და დასაბუთების შეზღუდულმა უნარმა შეუშალა ხელი“. ბრენენი რეკომენდაციას იძლევა, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობისას ბრალდებულს გულდასმით განემარტოს ყველაფერი, როგორც ამას მისი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები მოითხოვს.

33. სწორედ ამას ცდილობდა სასამართლოს მსვლელობისას მომჩივნის თანმხლები სოციალური მუშაკი. თუმცა იგი თავის დასკვნაში აღნიშნავს: „მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ამეხსნა სიტუაცია, იგი [მომჩივანი] ვერ აცნობიერებდა, რა სიტუაციაში იმყოფებოდა“ (იხ. ზემოთ, პუნქტი 17-ე). ამგვარად, მომჩივანს სრულად არ ესმოდა, ნაფიც მსაჯულთა როლი სასამართლო პროცესში და მათზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენის მნიშვნელობა; ის ვერ აცნობიერებდა, რომ სასჯელის ფორმად შეიძლებოდა პატიმრობა შეეფარდებინათ. იგი განაჩენის გამოტანისა და მოსაცდელ საკანში გადაყვანის შემდეგაც კი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა პატიმრობა და ეგონა, რომ სახლში მამობილთან ერთად დაბრუნდებოდა.

34. ამ მტკიცებულების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ დაასკვნის, რომ მომჩივანს შეეძლო თავისი საქმის სასამართლო განხილვაში ეფექტურად მონაწილეობა, როგორც ეს ზემოთ, 29-ე პუნქტშია განმარტებული.

35. სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც საქმე ეხება ისეთ ბავშვს, როგორიც მომჩივანია, როდესაც არსებობს რისკი, რომ იგი, ახალგაზრდა ასაკისა და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო, ვერ შეძლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ეფექტურად მონაწილეობას, რადგან საქმე განიხილება სისხლის სამართალწარმოების და არა სხვა პროცედურული ფორმით, რომელიც გაითვალისწინებდა ბავშვის სასიცოცხლო ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესებს, მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვა მოხდეს სპეციალიზებულ სასამართლოში, რომელსაც მესწავნის უნარი, გაითვალისწინოს ყველა დაბრკოლება, განახორციელოს სწორი მოქმედებები და მოახდინოს პროცედურების საჭიროებისამებრ ადაპტირება.

36. ერთი რამ ცხადია, საქმის დიდი ბრიტანეთის სასამართლო ინსტანციებში განხილვისას დაცვის მხარეს არ დაუყენებია საკითხი სასამართლო პროცესში მონაწილეობისათვის განსასჯელის ქმედუუნარობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოთ ნახსენები საქმის - „ტ და ვ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ - შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა მთავრობის წინასწარი პროტესტი დაუშვებლად ჩათვლილიყო მსგავსი განაცხადები იმის გამო, რომ ამონურული არ ყოფილა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, ვინაიდან სასამართლო პროცესზე არ დაუყენებიათ საკითხი სასამართლო პროცესში მონაწილეობისათვის განსასჯელის ქმედუუნარობის თაობაზე (§§ 52-59 და §§ 54-61 შესაბამისად). სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საფუძვლით სასამართლო პროცესის შესაწყვეტად საჭირო იყო ნაფიც მსაჯულთა უტყუარი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დარწმუნება, რომ განსასჯელს, შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო, ისიც კი ვერ გაეგო - ცნეს თუ არა

დამნაშავედ. როგორც ზემოთაღნიშნა, დოქტორ ბრენენის დასკვნით მომჩივანს, პრინციპში, უნდა ჰქონოდა საკმარისი ინტელექტი საკუთარ ქმედებათა მართლწინააღმდეგობის შესაფასებლად და, შესაბამისად, სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის ქმედუნარიანად უნდა მიჩნეულიყო. მიუხედავად ამისა, სასამართლო დარწმუნებული არ არის, რომ მომჩივანს შესწევდა უნარი, ეფექტურად მიეღო მონაწილეობა საკუთარ სასამართლო პროცესში, როგორც ამას კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტიითვალისწინებს.

37. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ეს დებულება დაირღვა;

## II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

38. კონვენციის 41-ე მუხლის ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო დამრღვევი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

### ა. ზიანი

39. მომჩივანი საერთო ჯამში ითხოვს 25,000 ფუნტ სტერლინგს (GBP)<sup>1</sup> მორალური ზიანის ასანაზღაურებლად - უკანონო მსჯავრდებისა (GBP 10,000) და თვრამეტვიანი უკანონო პატიმრობისთვის (GBP 15,000).

40. მთავრობა მიუთითებს, რომ სავარაუდო დარღვევას და მსჯავრის დადებასა და პატიმრობას შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, და რომ სასამართლომ ჩვეული პრაქტიკის ფარგლებში უნდა უარყოს სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგით დასრულდებოდა სამართალწარმოება მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას რომ არ ჰქონოდა ადგილი. უფრო მეტიც, არ არსებობს იმის არანაირი მტკიცებულება, რომ პროცესის შედეგად მომჩივანმა რაიმე ტრავმა მიიღო. სასამართლოს ამ მხრივ რაიმე დარღვევა რომ აღმოეჩინა, მაშინ მართებული იქნებოდა სამართლიანი დაკმაყოფილების დანესება.

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოავლინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა იმ თვალსაზრისით, რომ მომჩივანს თავის სასამართლო პროცესში ეფექტურად არ მიუღია მონაწილეობა. თუმცა სასამართლოს არც ის დაუდგენია, რომ სამართლიანი სასამართლო პროცესის შემთხვევაში მომჩივანი არ იქნებოდა ბრალდებულად ცნობილი და თვრამეტი თვით პატიმრობა არ მიესჯებოდა.

42. ამიტომ, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ მომჩივანს გადაეცეს კომპენსაცია ბრალდებულად ცნობისა და დაპატიმრების გამო. სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვევის გამოვლენა უკვე წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი სახის მორალური ზიანისთვის რომელიც მომჩივანს მიადგა (იხ. სხვა მაგალითებს შორის, *Saunders v. the United Kingdom*, 1996 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-VI, p. 2069, §§ 87-89).

### ბ. ხარჯები

#### 1. ეროვნული სამართალწარმოების ხარჯები

43. მომჩივანის მხარე ირწმუნებოდა რომ მომჩივანმა ეროვნულ დონეზე სამართალწარმოებისთვის GBP 3,480 დახარჯა. ეს მოიცავს ადვოკატის საქმიანობისა (ოცდარვა საათისა და ოცდაათი წუთის განმავლობაში) და სოლისიტორის საქმიანობის (ოთხი საათისა და ოცდაათი წუთის განმავლობაში) ხარჯებს, რომლებიც არ დაფარა ეროვნულმა იურიდიული დახმარების სამსახურმა.

<sup>1</sup> დაახლოებით 36,800 ევრო.

44. მთავრობამ კი განაცხადა რომ ეროვნული სამართალწარმოების ხარჯები უკვე დაფარულია იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ.

45. სასამართლო კვლავ ამახვილებს ყურადღებას ეროვნული სამართალწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით დამკვიდრებულ პრაქტიკაზე - კერძოდ, მომჩივანს გონივრულ ფარგლებში უნდა აუნაზღაურდეს ის რეალური და აუცილებელი ხარჯები, რომლებიც მან გასწია კონვენციის დარღვევის პრევენციის ან სამართლებრივი დაცვის მიზნით (იხილეთ *Kingsley v. the United Kingdom* [GC], no. 35605/97, § 49, ECHR 2002-IV).

46. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლო წარმოების ძირითადი ნაწილი - მათ შორის წინასასამართლო განხილვა 1999 წლის დეკემბერში და მსჯავრის საწინააღმდეგო აპელაცია, მოიცავდა იმ საკითხის განხილვას, არღვევდა თუ არა მომჩივნის კონვენციით დადგენილ უფლებებს მისი საქმის სამეფო სასამართლოში განხილვა. თუმცა, როგორც ჩანს, მომჩივანს სწორედ იმისათვის დაენიშნა იურიდიული დახმარება, რომ ზემოთ ხსენებულ განხილვებსა და, ასევე, გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოებში, წარმომადგენელი ჰყოლოდა. სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ საჭირო იყო დამატებითი ხარჯების გაღება კონვენციის დარღვევის პრევენციისათვის ან სამართლებრივი დაცვისათვის და, შესაბამისად, აღნიშნული თანხის ანაზღაურებას საჭიროდ არ მიიჩნევს.

## 2. სტრასბურგში სამართალწარმოების ხარჯები

47. ამასთან ერთად, მომჩივანი ითხოვდა სასამართლოში სარჩელის შეტანისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას, რაც GBP 7,520 შეადგენდა და მოიცავდა სოლისიტორისა (თხუთმეტი საათი და ოცდაათი წუთი) და ადვოკატის (ორმოცდაცამეტი საათი და ოცდაათი წუთი) საქმიანობას.

48. მთავრობა დათანხმდა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იმდენად, რამდენადაც მომჩივნის ხარჯები ჯერ არ ყოფილა ანაზღაურებული იურიდიული დახმარების სქემის მიხედვით, მაგრამ სერიოზული კითხვები გაუჩნდა სასამართლოში წარსადგენი განცხადების მომზადებაზე დახარჯულ დროსთან დაკავშირებით.

49. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ წარმოდგენილი განცხადება არ იყო საკმაოდ კომპლექსური, არ გამართულა მოსმენა და არ ყოფილა გრძელი წერილობითი შუამდგომლობების საჭიროება და დაადგინა 6000 ევროს (EUR) გადახდა EUR 685 ევროს გამოკლებით, რომელიც უკვე გადახდილია იურიდიული დახმარებისთვის, მაგრამ ნებისმიერი საჭირო დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.

## გ. საურავი

50. სასამართლო თვლის, რომ საურავი უნდა განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის (პლუს სამი პროცენტი) ოდენობით.

## ამ ყველაფრის საფუძველზე სასამართლო

1. ადგენს, ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას;
2. ადგენს, ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ დარღვევის გამოვლენა წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი მორალური ზიანისათვის, რაც კი განმცხადებელს მიადგა.
3. ადგენს ერთხმად
  - (ა) რომ მოპასუხე სახელწმიფომ სამი თვის განმავლობაში(რომლის ათვლაც დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც გადაწყვეტილება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გახდება საბოლოო) მომჩივანს უნდა გადაუხადოს EUR 5,315(ხუთიათას სამასთხუთმეტი ევრო) ხარჯების დასაფარად. თანხის კონვერტირება უნდა მოხდეს ფუნტ სტერლინგებში იმ კურსით რა კურსიც მოქმედებს გადახდის დღეს, იმ გადასახადთან ერთად, რომელიც შესაძლოა დაემატოს ამ თანხას;
  - (ბ) რომ ზემოხსენებული სამი თვის გასვლიდან ანაზღაურებამდე, თანხას დაემატება საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის (პლუს სამიპროცენტი) ოდენობით,;
4. არ აკმაყოფილებს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიანდაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2004 წლის 15 ივნისს, სასამართლო რეგლამენტის 77-ემუხლისმე-2 ნაწილისმე-3 პუნქტის შესაბამისად.

**მიშელ ო'ბოილი**  
სხდომის გამწესრიგებელი

**მატი პელონპა**  
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები:

- (ა) მოსამართლე სტრაზნიკას და მოსამართლე კასადევალის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;
- (ბ) მოსამართლე პელონპას და სერ ნიკოლას ბრატზას განსხვავებული მოსაზრება.

M.P.  
M.O'B.

## მოსამართლე სტრაზნიკას და მოსამართლე კასადევალის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

ჩვენ, უმრავლესობასთან ერთად, ხმა მივუცით ამ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ დარღვევის გათვალისწინებით, მორალური ზიანისათვის კომპენსაციის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო.



## მოსამართლე პელონპას განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც იზიარებს სერ ნიკოლას ბრატზაც

მე ხმა მივეცი იმ მოსაზრებას, რომ მოცემულ საქმეში დარღვევა არ ყოფილა.

ვალაიერებ, რომ 11 წლის ბიჭის საქმის - რომელსაც კიდევ უფრო მცირე ასაკის ბავშვის გონებრივი შესაძლებლობები აქვს- ჩვეულებრივი სისხლის სამართლის სასამართლოში განხილვა შეიძლება, ერთი შეხედვით, უცნაურად მოგვეჩვენოს. მაგრამ სასამართლოს მიერ საქმეებზე - „ტ და ვ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ([GC], no. 24724/94, 16 დეკემბერი 1999) და „ვ და ვ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ([GC], no. 24888/94, ECHR 1999-IX) - 1999 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებების მიხედვით აშკარაა, რომ სისხლის სამართლის ბრალდებაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და სასამართლო პროცესის წარმართვა კონვენციის დარღვევას არ წარმოადგენს, თუკი პირს პროცესში ეფექტურად მონაწილეობის საშუალება აქვს. მე ვეთანხმები იმ პრინციპებს, რომელიც გამოყენებული იყო მოცემულ შემთხვევაში ასეთი ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. (იხ. პუნქტები 27-28).

ეს პრინციპები მოითხოვს, რომ ბავშვთან ურთიერთობისას სრულად იყოს გათვალისწინებული მისი ასაკი, სიმწიფის დონე და ინტელექტუალური თუ ემოციური შესაძლებლობები; უნდა გადაიდგას განსაკუთრებული ნაბიჯები იმისათვის, რომ მან გაიგოს და გაიაზროს პროცედურები და ჩაერთოს მათში (იხილეთ *V. v. the United Kingdom*, § 86). აქვე იგულისხმება სასამართლო მოსმენის ისე ჩატარება, რომ მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან განსასჯელის დაშინება და დათრგუნვა (*ibid.*, § 87).

როგორც სასამართლო აღნიშნავს (იხილეთ გადაწყვეტილების 30-ე პუნქტი), განხორციელდა ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ სამეფო სასამართლოში ჩატარებული პროცედურები რაც შეიძლება არაფორმალური ყოფილიყო. ამ მხრივ, სასამართლოსთვის დირექტივების წყაროს აშკარად წარმოადგენდა ტ-ს და ვ-ს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული კრიტიკა და მოსაზრებები. ამგვარად, წინა ორი საქმისგან განსხვავებით, მოცემული საქმის განხილვისას იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები არ ატარებდნენ პარიკებსა და მანტიებს, მომჩივანს კი სოციალური მუშაკის გვერდით დაჯდომის უფლება მისცეს. ტ-ს და ვ-ს პროცესისგან განსხვავებით, სადაც განსასჯელები საქმის სამკვირიანი განხილვის განმავლობაში საგანგებოდ ამალღებულ, განცალკევებულ ადგილას იყვნენ განთავსებულნი, მომჩივანი ცალკე არ დაუსვამთ (იხ. გადაწყვეტილების მე-15 პუნქტი) და თანაც, სასამართლო პროცესი სულ რაღაც ერთ დღეს გრძელდებოდა (იხილეთ *V. v. the United Kingdom*, § 88). ზემოთ ხსენებული საქმეებისგან განსხვავებით, მომჩივნის დაკავება და სასამართლო პროცესი საზოგადოებისა და მედიის ცხოველი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა და საქმის განხილვისას სასამართლო დარბაზში მტრული დამოკიდებულება და დაძაბული ან შიშის მომგვრელი ატმოსფერო არ ყოფილა. არ არსებობს არც იმის მტკიცებულება, რომ მომჩივანს შეენიშნებოდა ისეთი პოსტტრავმული სიმპტომები, როგორიც ჰქონდათ განსასჯელებს ტ-ს და ვ-ს საქმის შემთხვევაში (იხ. *V. v. the United Kingdom*, § 89). მართლაც, არსებულ ვითარებაში, სულაც არაა ცხადი, რომ მომჩივნის გადასახედიდან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, არასრულწლოვანთა სასამართლოში განიხილებოდა საქმე თუ - არა.

თუ ერთადერთ პრობლემას მომჩივნის რეალური ასაკი წარმოადგენს, ჩემი აზრით, განხორციელებული პროცედურები არანაირად არ ლახავს კონვენციის მე-6 მუხლს, როდესაც მისი ინტერპრეტირება ხდება ტ-ს და ვ-ს საქმის გათვალისწინებით. კვლავაც დასადგენია, მოგვეცემა თუ არა მომჩივნის გონებრივი განვითარების დონის გამოკვლევა სხვა დასკვნის გაკეთების საფუძველს.

გეთანხმებით, სასამართლო პროცესზე მხოლოდ პარიკებისა და მანტიების არგამოყენება, ალბათ, სულაც არ არის საკმარისი, როდესაც საქმე ეხება ბავშვს, რომელმაც გონებრივი ჩამორჩენილობის გამო შესაძლოა, ვერ გაიაზროს სასამართლო პროცედურები. ამიტომ, როდესაც გვაქვს ამგვარი უუნარობის შესახებ *prima facie* მტკიცებულება, ეროვნულმა ხელისუფლებამ დამატებითი ღონისძიებები უნდა გაატარონ. მაგრამ თუ ბავშვის ქმედუნარიანობა სასამართლო

პროცესში მონაწილეობისათვის სათანადოდ იქნა გამოკვლეული ეროვნული ხელისუფლების მიერ, რომელსაც აქვს ყველა მონაწილე მხარესთან პირდაპირი კონტაქტის უპირატესობა, ამ გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნა არ უნდა იყოს უარყოფილი სასამართლოს მიერ.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, შეგახსენებთ, რომ მომჩივნის საქმის სამეფო სასამართლოს მიერ განხილვის გადაწყვეტილება მიღებული იქნა არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ, რომლის წინაშეც მომჩივანი ადრე რამდენიმეჯერ წარმდგარა (იხილეთ პუნქტი 11 გადაწყვეტილებიდან). სასამართლო პროცესის დაწყებამდე მომჩივნის იურიდიულმა წარმომადგენლებმა მოიპოვეს ორი ექსპერტის დასკვნა მის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მსგავსი საკითხების თაობაზე. თუმცა სასამართლო პროცესში მონაწილეობისათვის მომჩივნის ქმედუნარიანობის შესახებ სამედიცინო დასკვნა არ დადებულა –ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ „მას არა აქვს საკმარისი ინტელექტი, რომ მითითებები მისცეს თავის სოლისიტორებსა თუ იურიდიულ მრჩეველებს, უპასუხოს ბრალდებებს, ეჭვქვეშ დააყენოს ნაფიცო მსაჯულები და გაიაზროს, ან თავად წარმოადგინოს მტკიცებულებები“ (პუნქტი 23) – და ამის შედეგებთან დაკავშირებით, პროცესის მსვლელობისას მისი სახელით არანაირი განცხადება არ გაკეთებულა.

ორი ექსპერტიდან მხოლოდ ერთი იყო ექიმი, მაშინ როდესაც ეროვნული კანონმდებლობით, სულ მცირე, ორი სამედიცინო ექსპერტის დასკვნაა საჭირო, იმისათვის რომ გადამწყდეს, შეიძლება თუ არა ნაფიცო მსაჯულთა მონევა სასამართლო პროცესზე მომჩივნის ქმედუნარიანობის დასადგენად. მეტიც, ერთადერთი პრაქტიკოსი ექიმი, ვისთანაც კონსულტაციები იქნა გავლილი, ექიმი ბრენენი, მიიჩნევდა, რომ მომჩივანს „შესწევს უნარი, მონაწილეობა მიღოს სასამართლო პროცესში, თუკი სათანადოდ, მისი შემეცნებითი პრობლემების გათვალისწინებით, განემარტება ყველა დეტალი“ (იხილეთ პუნქტი 12). თუმცა ისიც მართალია, რომ ექიმი ბრენენის დასკვნით, მომჩივანს საკუთარი ქმედებების აღქმისა და ამ ქმედებათა არასწორობის გააზრების უნარი მხოლოდ „პრინციპში“ უნდა ჰქონოდა, რასაც ხაზს უსვამს უმრავლესობა (იხილეთ პუნქტი 36). ასეც რომ იყოს, ამ დასკვნის გაკეთებისას, ექიმ ბრენენს, ჩვენს სასამართლოსთან შედარებით, ჰქონდა აშკარა უპირატესობა - მას შეეძლო, პირადად ენახა და გასაუბრებოდა მომჩივანს და რამდენადაც მის დასკვნაში მიკერძოებულობის ან წინასწარაკვიატებულობის არანაირი კვალი არ შეიმჩნევა, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

მეტიც, პროცესის დაწყებამდე გაიმართა წინასასამართლო სხდომა, სადაც მომჩივნის მხარე აცხადებდა, რომ სასამართლო პროცესის გამართვა პროცესუალურ დარღვევად უნდა მიჩნეულიყო. პირველი ინსტანციის მოსამართლემ, რომელსაც ეს წინასასამართლო სხდომა მიჰყავდა, დაადგინა, რომ არ არსებობდა იმის ვარაუდის საფუძველი, თითქოს მომჩივანი „ნაკლებად შეიძლება ნაფიცო მსაჯულებისთვის საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენას, ვიდრე მან ეს არასრულწლოვანთა სასამართლოში მოახერხა“. მან ასევე დასძინა, რომ მომჩივანი არის „ქუჩაში გამონრთობილი“ ბავშვი, რომლის ინტელექტუალური შეზღუდულობა, უმეტესწილად, ორი კრიტიკული წლის საგანმანათლებლო სისტემის გარეთ გატარებით არის გამოწვეული“. (იხილეთ პუნქტი 14). კვლავაც, მე არანაირი საფუძველი არა მაქვს, ეჭვი შევიტანო ამ დასკვნის სისწორეში, რომელიც მოსამართლემ მომჩივანთან პირადი კონტაქტის საფუძველზე გააკეთა.

ეს დასკვნა არც სააპელაციო სასამართლოს გაუკრიტიკებია. მან არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლემ, თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფაგრგლებში სასამართლო პროცესის გამართვის გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღო მომჩივნის ასაკი, სიმნიფის დონე და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა იმ დასკვნების ანგარიში, რომელშიც იმუამად იყო დაკავებული განსასჯელი: ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ დასკვნებებში განთავსების შემდეგ მომჩივნის ქცევისა და მუშაობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (იხილეთ პუნქტი 18).

სხვა მასალებთან ერთად სააპელაციო სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი იყო იმ სოციალური მუშაკის ჩვენება (ნაწილობრივ წარმოდგენილია მე-17 პუნქტში), რომელიც მომჩივანს სასამართლო პროცესზე ახლდა. ჩვენი სასამართლოს წევრთა უმრავლესობა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ამ ჩვენებაზე, სადაც ნათქვამია *inter, alia*: “მომჩივანს სრულად არ ესმოდა, ნაფიცო მსაჯულთა როლი სასამართლო პროცესში და მათზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენის მნიშვნელობა“ (იხილეთ პუნქტი 33). რამდენადაც ბევრი შეიძლება იზიარებდეს სოციალური

მუშაკის მოსაზრებას, თითქოს ზოგიერთი ნაფიცი მსაჯულის გადაწყვეტილებაზე მომჩივნის მიმართ მტრულმა განწყობამ იქონია ზეგავლენა, რის გამოც მათ დაკარგეს სუბიექტური მიუკერძოებლობა, შეგახსენებთ დამვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც სუბიექტური მიუკერძოებლობა არსებობს მანამ, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო(იხ. მაგ.: *De Cubber v. Belgium*, 1984 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერიები ა no. 86, p. 14, § 25). ჩემი აზრით, ხსენებული ანგარიში არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ეჭვი შევიტანოთ ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობაში და ვივარაუდოთ, რომ მათ მომჩივნის მოუსვენარი ქცევით გაღიზიანებულებმა მიიღეს გადაწყვეტილება, როგორც ამას სოციალური მუშაკი ამტკიცებს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას, მიღებული უსაფრთხოების ზომები ზედმინევნიტ შეესაბამებოდა მომჩივნის სპეციფიკურ საჭიროებებს და სრულად ითვალისწინებდა მის პატარა ასაკსა თუ გონებრივი განვითარების დონეს. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაცვის მხარეს ეგონა, რომ მომჩივანი შეძლებდა თავის დაცვას და მოვლენათა საკუთარი ვერსიის გადმოცემას, რადგან ტ-ს და ვ-ს შემთხვევისგან განსხვავებით იგი გამოძახებულ იქნა ჩვენების მისაცემად. არანაირი საფუძველი არა გვაქვს, ვივარაუდოთ, თითქოს ნაფიც მსაჯულებზე რაიმე ზეგავლენა იქონია იმან, რომ მომჩივანმა სათანადოდ ვერ გაიაზრა სასამართლოზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენის მნიშვნელობა. ამიტომაც ვერ დავეთანხმები უმეტესობის დასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის დარღვევას.

მიუხედავად ამისა, მაინც მივიღე ეს დასკვნა, როგორც 41-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებიდან გადახვევა. იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებთ, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე დარღვევას, ეს საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება იქნება ყველა სახის მორალური ზარალისთვის. უმრავლესობასთან ერთად, მე ხმა მივეცი სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურებასაც. რამდენადაც უმრავლესობამ აღმოაჩინა დარღვევა, მიმაჩნია, რომ მომჩივნისთვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება მართებული იქნებოდა.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო  
დიდი პალატა

---

## საქმე სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ

(საჩივარი No. 36391/02)

---

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

27 ნოემბერი 2008

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა,  
თუმცა შეიძლება დაექვემდებაროს სარედაქციო გადახედვას

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

## წინამდებარე საქმეზე სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატცა, თავმჯდომარე

ქრისტოს როზაკის, ჯოზეფ კასადევალ, რიზა ტურმენ,

რაიტ მარუსტე,

ვლადიმერო ზაგრებელსკი,

სტანისლავ პავლოვსკი,

ალვინა გიულუმიან,

ლილიანა მიიოვიჩ,

დინ სპიელმან,

რენატე იეგერ,

დავიდ თორ ბიორგენსონ,

იან შიკუტა,

ინეტა ზიემელე,

მარკ ვილიგერ,

ლუიშ ლოპეზ გერა,

მირიანა ლაზაროვა-ტრაიკოვსკა, მოსამართლეები,

და ვინსენტ ბერჟერ, იურისკონსული,

2008 წლის 19 მარტსა და 15 ოქტომბერს განმარტოებით ითათბირა,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ბოლოს-მითითებულ დღეს:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (ნო. 36391/02) თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც 2002 წლის 8 აგვისტოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად ბატონმა იუსუფ სალდუზმა ("მომჩივანი") სასამართლოში შეიტანა.

2. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი დაცვის უფლება დაირღვა, რადგანაც არ მოხდა საკასაციო სასამართლოში მთავარი საჯარო პროკურორის წერილობითი მოსაზრების მისთვის მიწოდება და რომ პოლიციაში დაკავების დროს მას უარი ეთქვა იურისტის მომსახურებაზე. სასარჩელო მოთხოვნებს მომჩივანი აფუძნებდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 და 3(გ) პარაგრაფებზე.

3. საჩივარი გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (რეგლამენტის მუხლი 52, პარაგრაფი 1 სასამართლოს რეგლამენტი).

4. 2006 წლის 28 მარტს მოცემული სექციის პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ჟან-პოლ კოსტა, ანდრამ ბაკა, რიზა ტურმენ, კარლ იუნგვირთ, მინდია უგრეხელიძე, ანტონელა მულარონი,

ელიზაბეტ ფურა-სანდსტრომ, მოსამართლეები და სალი დოლე, სექციის რეგისტრატორი, საჩივარი ნაწილობრივ მიუღებლად ჩათვალა.

5. 2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით (“პალატის გადაწყვეტილება”), პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ფრანსუაზ ტულკენსი, ანდრას ბაკა, ირენეუ კაბრალ ბარეტო, რიზა ტურმენ, მინდია უგრეხელიძე, ანტონელა მულარონი და ანუტე იორიენე, მოსამართლეები და აგრეთვე სალი დოლე, სექციის რეგისტრატორი, ერთხმად დაადგინეს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილის დარღვევას მთავარი საჯარო პროკურორის წერილობითი მოსაზრების მიუწოდებლობის გამო და შემდეგ, ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ მომჩივნის პოლიციაში დაკავების დროს იურიდიული დახმარების ნაკლებობის გამო ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 3(გ) პუნქტის დარღვევას.

6. 2007 წლის 20 ივლისს მომჩივანმა მოითხოვა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა (კონვენციის 43-ე მუხლი).

7. 2007 წლის 24 სექტემბერს დიდმა პალატამ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა (რეგლამენტის მუხლი 73).

8. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების და რეგლამენტის 24-ე მუხლის მიხედვით.

9. როგორც მომჩივანმა, ისე მთავრობამ წარმოადგინეს მოსაზრებები საქმის არსებით მხარესთან მიმართებაში.

10. მოსმენა შედგა საჯაროდ, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2008 წლის 19 მარტს (რეგლამენტის მუხლი 59, ნაწილი 3).

### სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) მთავრობის მხარეს

ბ-ნი მ. იოზმენ,

თანა-აგენტი

ქ-ნი ნ. ჩეტინ,

ქ-ნი ა. იოზდემირ,

ქ-ნი ი. კოჩაილიტ,

ბ-ნი კ. აიდინ,

მრჩეველები

(ბ) მომჩივნის მხარეს

ბ-ნი უ. კილინჩი,

ადვოკატი

ქ-ნი ტ. ასლან

მრჩეველი

სასამართლომ მოუსმინა ბ-ნი კილინჩისა და ბ-ნი იოზმენის გამოსვლებს, ისევე როგორც მათ პასუხებს სასამართლოს შეკითხვებზე.



## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

11. მომჩივანი დაიბადა 1984 წლის 2 თებერვალს და ცხოვრობს იზმირში.

#### ა. მომჩივნის დაკავება და პატიმრობა

12. 2001 წლის 29 მაისს, დაახლოებით საღამოს 10.15-ზე, მომჩივანი დააკავეს იზმირის უსაფრთხოების განყოფილების ანტიტერორისტული დანაყოფის პოლიციელებმა ეჭვის საფუძველზე, რომ მან მონაწილეობა მიიღო უკანონო ორგანიზაციის, კერძოდ კი PKK (ქურთისტანის მუშათა პარტია) უკანონო დემონსტრაციაში. მომჩივანს ასევე ბრალად ედებოდა უკანონო ბანერის გადმოფენა ბორნოვას ხიდიდან 2001 წლის 26 აპრილს.

13. 2001 წლის 30 მაისს, დაახლოებით შუალამის 12.30-ზე, მომჩივანი წაიყვანეს ათათურქის სასწავლო და კვლევით საავადმყოფოში, სადაც იგი შეამონმა ექიმმა. სამედიცინო ანგარიშის მიხედვით, მას სხეულზე ძალადობის კვალი არ აღინიშნებოდა.

14. შემდეგ, დაახლოებით ღამის 1 საათზე, მომჩივანი დაკითხეს ანტი-ტერორისტულ დანაყოფში ადვოკატის დასწრების გარეშე. დაკავებული პირის უფლებების აღმწერი ფორმის მიხედვით, რომელსაც მომჩივანმა ხელი მოაწერა, მას გააცნეს მის წინაშე წამოყენებული ბრალდებები და მოახსენეს დუმილის უფლების შესახებ. ჩვენებაში მომჩივანმა აღიარა HADEP (*Halkin Demokrasi Partisi* – ხალხის დემოკრატიული პარტია) ახალგაზრდულ ფრთაში ჩართულობა. მან მიუთითა რამდენიმე პირის სახელი, რომელიც ბორნოვას უბნის ახალგაზრდული ფრთის ოფისში მუშაობდა. მან განმარტა, რომ იგი გახლდათ ახალგაზრდობის პრესისა და პუბლიკაციების ასისტენტ ოფიცერი და ამასთანავე პასუხისმგებელი პირი ოსმანგაზის უბანზე. მომჩივანმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდული ფრთის სხვა წევრებზე ვალდებულებების გადანაწილება მისი სამუშაოს ნაწილი გახლდათ. მანვე აღიარა, რომ მონაწილეობა მიიღო PKK დაკავებული ლიდერის მხარდამჭერ, 2001 წლის 29 მაისის, HADEP-ის მიერ ორგანიზებულ, დემონსტრაციაში. მან აღნიშნა, რომ აქციას ესწრებოდა დაახლოებით სამოცი პირი და რომ ისინი გაიძახოდნენ ოჯალანისა და PKK მხარდამჭერ მოწოდებებს. იგი ადგილზე იქნა დაკავებული. მან ასევე აღიარა, რომ მისი შექმნილია ბანერი “გაუმარჯოს ლიდერ აპოს”, რომელიც ხიდიდან გადმოფენა 2001 წლის 26 აპრილს. პოლიციამ აიღო მომჩივნის ხელნერის ნიმუშები და გამოსაკვლევადა გაავზავნა პოლიციის ლაბორატორიაში.

15. 2001 წლის 1 ივნისს, მომჩივნის ხელნერისა და ბანერზე არსებული წარწერის შედარების შემდეგ იზმირის კრიმინალური პოლიციის ლაბორატორიამ გამოსცა ანგარიში. მის მიხედვით, მართალია მომჩივნის ხელნერის გარკვეული მახასიათებლები მსგავსი იყო ბანერზე არსებული წარწერისა, მაგრამ მაინც ვერ დადგინდა რეალურად იყო თუ არა ბანერზე არსებული წარწერა მის მიერ შესრულებული.

16. 2001 წლის 1 ივნისს, დაახლოებით ღამის 11.45-ზე მომჩივანი ისევ შეამონმა ექიმმა, რომელმაც დაასკვნა რომ მის სხეულზე არ აღინიშნებოდა ძალადობის კვალი.

17. იმავე დღეს მომჩივანი წარადგინეს საჯარო პროკურორისა და შემდეგ, გამომძიებელი მოსამართლის წინაშე. საჯარო პროკურორს მან აუხსნა, რომ იგი არ იყო არც ერთი პოლიტიკური პარტიის წერი, მაგრამ მონაწილეობას იღებდა HADEP-ის ცალკეულ აქტივობებში. მან იუარა უკანონო ბანერის დამზადება, ისევე როგორც 2001 წლის 29 მაისის დემონსტრაციაში მონაწილეობა. მან აღნიშნა, რომ დოგანლარის უბანში მეგობრის სანახავად მიდიოდა, რა დროსაც იგი პოლიციამ დააკავა. მომჩივანმა გამომძიებელი მოსამართლის წინაშეც მისცა ჩვენება, სადაც შეცვალა პოლიციაში მიცემული ჩვენება და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი მას ზენოლის შედეგად გამოსძალეს. იგი ამტკიცებდა, რომ პოლიციაში დაკავების დროს იგი სცემეს და შეურაცყოფა მიაყენეს. მან კიდევ ერთხელ უარყო უკანონო საქმიანობებში მონაწილეობა და განმარტა, რომ 2001 წლის 29 მაისს იგი წავიდა დოგანლარის უბანში მეგობრის სანახავად და რომ იგი არ

მიეკუთვნებოდა იმ ჯგუფს, რომელიც მოწოდებებს გაყვიროდა. დაკითხვის შემდეგ, დანაშაულის ბუნებიდან და ჩვენებიდან გამომდინარე, გამოძიებელმა მოსამართლემ მომჩივანი პატიმრობაში დატოვა. ამის შემდეგ მომჩივანს მიეცა ადვოკატზე წვდომის საშუალება.

## ბ. სასამართლო პროცესი

18. 2001 წლის 11 ივლისს იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოში საჯარო პროკურორმა შეიტანა საჩივარი, სადაც მომჩივანს, სხვა რვა ეჭვმიტანილთან ერთად, ბრალად ედებოდა PKK მხარდაჭერა და ხელშეწყობა, დანაშაული დასჯადი სისხლის სამართლის კოდექსის 169 მუხლით და ტერორიზმის პრევენციის აქტის მე-5 ნაწილით (კანონი No. 3713).

19. 2001 წლის 16 ივლისს, სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ჩაატარა მოსამზადებელი სხდომა. მან გადაწყვიტა, გაეგრძელებინა მომჩივნის წინასწარი პატიმრობა და მოთხოვა ეჭვმიტანილს მოემზადებინა შესაგებელი.

20. 2001 წლის 28 აგვისტოს სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ჩაატარა პირველი მოსმენა, რომელსაც ესწრებოდა მომჩივანი და მისი იურისტი. სასამართლომ მოისმინა მომჩივნის ჩვენება, რომელიც თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მან ასევე უარყო პოლიციის ჩვენება, მიუთითა რა, რომ ეს უკანასკნელი მას ზენოლის შედეგად ჩამოართვეს. მან განმარტა, რომ დაკავების დროს, პოლიციელებმა უბრძანეს მას დაენერა ბანერზე არსებული სიტყვები. მან აგრევე აღნიშნა, რომ იგი თვითმხილველი გახლდათ 2001 წლის 29 მაისს განვითარებული მოვლენებისა; თუმცა, მას დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი მოცემულ ტერიტორიაზე მეგობრის, სახელად ოზკანის, სანახავად იყო. მან ასევე უარყო ხილიდან უკანონო ბანერის გადმოფენის ფაქტი 2001 წლის 26 მაისს.

21. შემდეგ მოსმენას, რომელიც გაიმართა 2001 წლის 25 ოქტომბერს, ესწრებოდა მომჩივანიცა და მისი ადვოკატიც. სასამართლომ მოისმინა სხვა ეჭვმიტანილთა ჩვენებებიც, სადაც ყოველი მათგანი უარყოფდა 2001 წლის 29 მაისს უკანონო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებას და უკან მიჰქონდათ მათ მიერ მიცემული ჩვენებებიც. ბრალდების მხარემ მოითხოვა მომჩივნისათვის სასჯელის დაკისრება სისხლის სამართლის კოდექსის 169 მუხლის საფუძველზე, ხოლო მომჩივნის ადვოკატმა დრო ითხოვა შესაგებელის წარმოსადგენად.

22. 2001 წლის 5 დეკემბერს მომჩივანმა წარმოადგინა შესაგებელი. იგი უარყოფდა მის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებებს და ითხოვდა გათავისუფლებას. იმავე დღეს, იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება. მან გაამართლა ხუთი ეჭვმიტანილი, ხოლო მომჩივანი და კიდევ სამი ეჭვმიტანილი დამნაშავედ სცნო წაყენებულ ბრალდებებში. მან მომჩივანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლისა და ექვსი თვის ვადით, რაც შემდეგ მას შეუმცირდა ორ წელიწად ნახევრამდე დანაშაულის ჩადენის დროს მომჩივნის არასრულწლოვნების გამო.

23. მომჩივნის დამნაშავედ ცნობისას, სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნის მიერ პოლიციისათვის, საჯარო პროკურორისა და გამოძიებელი მოსამართლისათვის მიცემული ჩვენებები. მან ასევე გაითვალისწინა მისი თანამოპასუხის მიერ საჯარო პროკურორისადმი მიცემული ჩვენება, რომლის მიხედვითაც მომჩივანმა მოუწოდა მას მონაწილეობა მიეღო 2001 წლის 29 მაისის დემონსტრაციაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ თანადამცველმა ასევე მისცა ჩვენება, რომ მომჩივანი პასუხისმგებელი იყო დემონსტრაციის ორგანიზებაზე. მან ასევე გაითვალისწინა ექსპერტის დასკვნა, რომელიც ადარებდა მომჩივნის ხელნერას ბანერზე არსებულ ხელნერასთან და ასევე გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ დაკავების შესახებ პოლიციის მოხსენების შესახებ, მომჩივანი დემონსტრაციის მონაწილეებს შორის გახლდათ. მან დაასკვნა:

“ ... საქმის მასალების გათვალისწინებით, სასამართლო არ იზიარებს მომჩივნის უარყოფას და პოლიციაში მის მიერ მიცემულ ჩვენებებს სანდოდ მიიჩნევს.”

## გ. აპელაცია

24. 2002 წლის 2 იანვარს, მომჩივნის ადვოკატმა გაასაჩივრა იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივარში იგი მიუთითებდა კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევაზე, რადგანაც პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე წარმართული წარმოება მას მიჩნდა უსამართლოდ და თვლიდა, რომ სასამართლომ მტკიცებულებები ჯეროვნად ვერ განიხილა.

25. 2002 წლის 27 მარტს მთავრმა საჯარო პროკურატურამ წერილობითი პოზიცია წარადგინა საკასაციო სასამართლოს მეცხე პალატის წინაშე, სადაც აღნიშნავდა, რომ პალატამ უცვლელი უნდა დატოვოს იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს გადაწყვეტილება. მოცემული წერილობითი პოზიცია არ მიწოდებია არც მომჩივანს და არც მის წარმომადგენელს.

26. 2002 წლის 10 ივნისს საკასაციო სასამართლოს მეცხრე პალატამ უცვლელად დატოვა იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს არგუმენტაცია და მტკიცებულებათა შეფასება, მომჩივნის აპელაცია არ დაკმაყოფილდა.

## II. შესაბამისი კანონმდებლობა და პრაქტიკა

### ა. ეროვნული კანონმდებლობა

#### 1. საჩივრის წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობა

27. მაშინ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (No. 1412) შესაბამისი დებულებები, კერძოდ მუხლები 135, 136 და 138, მიუთითებდნენ, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც ეჭვმიტანილია ან ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა სარგებლობს უფლებით ჰყავდეს ადვოკატი პოლიციის მიერ მისი დაკავების მომენტიდან. 138-ე მუხლი ცალსახად მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთათვის სამართლებრივი დახმარება სავალდებულოა.

28. 1992 წლის 18 ნოემბრის No. 3842 კანონის 31-ე ნაწილის მიხედვით, რომელმაც ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, ზემოთმოცემული დებულებები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ხვდებიან სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ.

#### 2. უკანასკნელი ცვლილებები

29. 2003 წლის 15 ივლისის No. 4928 კანონის მიხედვით მოიხსნა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოებში წარმოებისას ბრალდებულის ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა.

30. 2005 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი. ახალი კოდექსის შესაბამისი დებულებების მიხედვით (მუხლები 149 და 150), ყველა დაკავებულ პირს აქვს ადვოკატის მოთხოვნის უფლება პოლიციის მიერ მათი დაკავების მომენტიდანვე. ადვოკატის დანიშვნა სავალდებულოა თუ პირი არასრულწლოვანია ან თუ მას ბრალად ედება დანაშაული, რომლის მაქსიმალური სასჯელიც მოიცავს ხუთ წლამდე პატიმრობას მაინც.

31. და ბოლოს, ტერორიზმის პრევენციის აქტის მე-10 ნაწილი (კანონი No. 3713), 2006 წლის 29 ივნისის ცვლილების შედეგად, მიუთითებს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულების შემთხვევაში, ადვოკატზე წვდომის უფლება შეიძლება გაჭიანურდეს ოცდაოთხი საათის განმავლობაში საჯარო პროკურორის ბრძანების საფუძველზე. დაუშვებელია ეჭვმიტანილის დაკითხვა ამ დროის განმავლობაში.

## ბ. შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები

### 1. პროცედურა არასრულწლოვანთა საქმეებში

#### (ა) ევროპის საბჭო

32. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისადმი ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულისა და არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოების ახალ გზებს (რეკ(2003)20). 2003 წლის 24 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრის დროს მიღებული რეკომენდაციის შესაბამისი ნაწილების მიხედვით:

“15. არასრულწლოვანთა პოლიციაში დაკავების დროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ, როგორც არასრულწლოვანთა, სტატუსზე, მათ ასაკზე, სიმყიფესა და მომწიფების დონეზე. მათ უმაღლეს უნდა ეცნობით მათი უფლებებისა და გარანტიების შესახებ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სრული აღქმა. პოლიციის მიერ დაკითხვის დროს, ძირითადად, მათ თან უნდა ახლდეთ მათი მშობელი/მეურვე ან სხვა სათანადო უფროსი. მათ ასევე უნდა ჰქონდეთ ადვოკატსა და ექიმზე წვდომის უფლება...”

33. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისადმი არასრულწლოვანთა დანაშაულზე სოციალური რეაგირების შესახებ (No. ე(87)20), მიღებული 1987 წლის 17 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 410-ე შეხვედრაზე, მიუთითებს:

“წევრ სახელმწიფოთა მთავრობას რეკომენდაციას უნევს გადახედონ, საჭიროების შემთხვევაში, მათ კანონმდებლობასა და პრაქტიკას ქვემოთეს გათვალისწინებით:

8. არასრულწლოვანთა სამართლებრივი პოზიცია გაძლიერდეს მთელი წარმოების განმავლობაში, მათ შორის პოლიციაში დაკითხვისას, ინტერ აღია, შემდეგის გათვალისწინებით:

- ადვოკატის დახმარების უფლება, რომელიც შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, ოფიციალურად დაინიშნოს და ანაზღაურდეს სახელმწიფოს მიერ.”

#### (ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

##### (i) ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია

34. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისი ნაწილის მიხედვით:

“მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:...

(დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება, გაასაჩივროს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი ქმედების თაობაზე.”

##### (ii) ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი No. 10, 2007 წლის 25 აპრილი (CRC/CGC/10)

35. მოცემული ტექსტის შესაბამისი ნაწილი არასრულწლოვანთა პოლიციაში დაკავების დროს სამართლებრივი დახმარების შესახებ მიუთითებს:

“49. ბავშვს გარანტირებული უნდა ჰქონდეს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება დაცვის მომზადებისა და წარდგენისას. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვს უნდა გაეწიოს დახმარება, რომელიც არ უნდა შემოიფარგლებოდეს სამართლებრივი დახმარებით, არამედ უნდა იყოს შესაბამისი. წევრ სახელმწიფოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოხდება დახმარების განევა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს უფასო...”

52. კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რათა ნევრმა სახელმწიფოებმა დაადგინონ და განახორციელონ დროითი შეზღუდვები დანაშაულის შეტყობინებასა და პოლიციის გამოძიების დასრულებას შორის, პროკურატურის (ან სხვა კომპეტენტური ორგანოს) გადაწყვეტილებაზე ბავშვის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებასა და სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური სამართლებრივი ორგანოს მიერ საბოლოო განხილვასა და საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას შორის. მოცემული დროითი შეზღუდვები უნდა იყოს სრულწლოვანთათვის დადგენილ ვადებზე მრავალგზის მოკლე. ამასთანავე, დაყოვნების გარეშე გადაწყვეტილებები უნდა იყოს შედეგი პროცესისა, სადაც ბავშვის უფლებები და სამართლებრივი გარანტიები სრულად არის პატივცემული. აღნიშნულ გაუჭიანურებელ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მოხდეს სამართლებრივი ან სხვა შესაბამისი დახმარების განწევა. მათი არსებობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სასამართლო სხდომით ან განხილვით სხვა სამართლებრივი ორგანოს წინაშე, არამედ ასევე უნდა გავრცელდეს პოლიციის ყველა ეტაპზე, დაწყებული პოლიციის მიერ ბავშვის დაკითხვის მომენტიდან.”

(iii) *გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომისიის დასკვნითი შეფასება: თურქეთი, 2001 წლის 9 ივლისი (CRC/C/15/Add.152.)*

36. ტექსტის შესაბამისი ნაწილის მიხედვით:

“66. კომიტეტი ნევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს განაგრძონ კანონებისა და პრაქტიკის გადახედვა არასრულწლოვანთა პასუხისმგებლის სისტემის სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად კონვენციასთან, კერძოდ კი 37-ე, მე-40 და 39-ე მუხლებთან, ისევე როგორც მოცემულ სფეროში მოქმედ სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა პასუხისმგებლის ადმინისტრირებისათვის (ბეიჯინგის წესები) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისათვის (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის გაზრდის, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლის სასამართლოს დაცვის გავრცელების 18 წლამდე ბავშვებზე და მოცემული კანონის ეფექტიანი აღსრულების საშუალებით, ყოველ დაბაში არასრულწლოვანთა სასამართლოს შექმნის გზით. კერძოდ კი, იგი ახსენებს ნევრ სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა საკითხები უნდა გადაწყდეს გაჭიანურების გარეშე, რათა თავიდან იქნას აცილებული *incommunicado* დაკავება და რომ წინასწარი პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნას როგორც უკანასკნელი ზომა, რომელიც უნდა იყოს რაც შეიძლება მცირეხნიანი და რომელიც არ უნდა აჭარბებდეს კანონით დადგენილ ვადებს. მაქსიმალურად უნდა მოხდეს წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენება.”

3. ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება დაკავების დროს

(ა) ევროპის საბჭო

(i) მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული წესები

37. პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების 93-ე წესის (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია (73)5) მიხედვით: “წინასწარ პატიმრობაში მყოფ თავისუფლებალკვეთილ პირს უფლება აქვს დაკავებისთანავე აირჩიოს ადვოკატი... და შეხვდეს მას რათა განიხილოს დაცვა და მოამზადოს და გადასცეს და მისგან მიიღოს, კონფიდენციალური ინსტრუქტაჟი. მოთხოვნის შემთხვევაში, მას უნდა შეექმნას ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო ყველა საჭირო პირობა. ... საუბრები პატიმარსა და მის იურიდიულ მრჩეველს შორის შეიძლება ხილული იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება მათი მოსმენა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, პოლიციის ან დანესებულების ოფიციალურ პირთათვის.”

38. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთათვის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ევროპული ციხის წესების შესახებ (რეკ (2006)2), მიღებული მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე 2006 წლის 11 იანვარს, შესაბამის ნაწილებში მიუთითებს:

“იურიდიული დახმარება

23.1 ყველა პატიმარს აქვს უფლება მიიღოს იურიდიული დახმარება და ციხის ხელმძღვანელბამ უნდა უზრუნველყოს მათთვის გონივრული პირობები რათა ხელი მიუწვდებოდეთ ამგვარ დახმარებაზე.

23.2 პატიმრებს უფლება აქვთ მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ სამართლებრივ თემაზე მათ მიერ არჩეული და მათი ხარჯით ანაზღაურებული იურიდიული მრჩეველისაგან.

...

23.5 სამართლებრივ ორგანოს, გამონაკლის შემთხვევებში, უფლება აქვს დაანესოს შეზღუდვები მოცემულ კონფიდენციალურობაზე სერიოზული დანაშაულისა და ციხის უსაფრთხოებისა და უშიშროების მნიშვნელოვანი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.”

(ii) ნამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT)

39. თურქეთში 2000 წლის ივლისში ვიზიტის შემდეგ, CPT -მ მოხსენება 2001 წლის 8 ნოემბერს გამოაქვეყნა (CPT / inf (2001)25). მოხსენება აღნიშნავდა:

“მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში ამ ბოლო დროს მრავალი ცვლილება განხორციელდა, მაინც რჩება გარკვეული სისუსტეები ძალადობის გამოყენებისაგან ფორმალური დაცვის მხრივ. ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლოვანებად შესაძლებელია განვიხილოთ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ მოხვედრილი კოლექტიურ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები არ სარგებლობენ ადვოკატზე წვდომის უფლებით დაკავების პირველი ოთხი დღის განმავლობაში. ამასთანავე, მიუხედავად საწინააღმდეგოს მტკიცებისა, თურქეთის ხელისუფლებამ, 1999 წლის თებერვალი/მარტის ვიზიტის საფუძველზე მომზადებულ მოხსენებაზე პასუხში, ნათლად აღნიშნა, რომ მოცემულ პირებს არ აქვთ უფლება შეატყობინონ მათ ნათესავებს საკუთარი მდგომარეობის შესახებ დაკავებიდან პირველი ოთხი დღის განმავლობაში. ამგვარი *incommunicado* დაკავება ხელს უწყობს ძალადობრივი მოპყრობის განხორციელებას.

შესაბამისად, CPT იმეორებს მის რეკომენდაციას, რომ მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოებში თავისუფლებაშეზღუდულ ყველა პირს, მათ შორის იმ პირებსაც, რომლებსაც ბრალი ედებათ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს იურისდიქციით ქვეშ არსებული დანაშაულების ჩადენაში, დაკავების მომენტიდანვე უნდა მიეცეთ ადვოკატზე წვდომის უფლება. CPT აღიარებს, რომ პოლიციის ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება საჭირო შეიქნას დაკავებული პირის მიერ არჩეულ ადვოკატზე წვდომის გარკვეული პერიოდით შეყოვნება; თუმცა, ასეთ შემთხვევებში, სხვა დამოუკიდებელ ადვოკატზე წვდომა უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

ზემოთმოცემული რეკომენდაციის იმპლემენტაცია საჭიროებს საკანონმდებლო ზომების განხორციელებას. თუმცა, მანამდე, სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული რათა უზრუნველყოფილ იქნას არსებულ სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობა. მართლაც, 2000 წლის ივლისში *ad hoc* ვიზიტებისას შეგროვებული ინფორმაცია ამკარად მიუთითებს, რომ პოლიციაში დაკავების პირველი ოთხი დღის შემდეგაც კი, სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ განსჯად დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირების მიერ ადვოკატზე წვდომა პრაქტიკაში უფრო გამონაკლისია ვიდრე წესი. CPT რეკომენდაციას იძლევა, რომ ზემოთმითითებული შესაბამისობის მონიტორინგის პროცედურის მიხედვით შემომწმებისა და ინსპექტირების განმხორციელებელ სახელმწიფო მოხელეებს მიეცეთ ინსტრუქცია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თუ რაიმდენად არის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ მყოფი კოლექტიურ დანაშაულებში ეჭვმიტანილი პირი ინფორმირებული უფლებაზე ჰყავდეს ადვოკატი დაკავების

პირველი ოთხი დღის შემდეგ და თუ რამდენად არიან იმ მდგომარეობაში რათა ეფექტიანად გამოიყენონ მოცემული უფლება.”

40. CPT ისევ ეწვია თურქეთს 2001 წლის სექტემბერში და 2002 წლის 24 აპრილით დათარიღებული მისი ანგარიში (ჩPლ/16ფ(2002)8) მიუთითებდა შემდეგს:

“12. სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს ორგანიზებისა და სამართალწარმოების პროცედურის შესახებ კანონის მე-16 მუხლში შეტანილმა ცვლილებებმა გააუმჯობესა ვითარება სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ მყოფი კოლექტიურ დანაშაულებში ეჭვმიტანილ პირთა ადვოკატზე წვდომის კუთხით. აღნიშნული კატეგორიის პირთა მიმართ ადვოკატზე წვდომის უფლება ოპერატიული ხდება მას შემდეგ, რაც პროკურორი გამოსცემს წერილობით ორდერს გაგრძელებს პოლიციაში დაკავება 48 საათის შემდეგ; ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ადვოკატზე წვდომის უფლება ახლა ორი დღით ეზღუდებათ, განსხვავებით წინა კანონში არსებული ოთხი დღისა.

CPT მიესალმება მოცემულ წინადადებულ ნაბიჯს, თუმცა ამასთანავე წუხილს გამოთქვამს, რადგან მოცემული ხელსაყრელი საშუალება არ იქნა გამოყენებული რათა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ მყოფ, კოლექტიურ დანაშაულებში ეჭვმიტანილ პირთათვის ადვოკატზე წვდომის უფლება გარანტირებულიყო დაკავების მომენტიდანვე (და შედეგად, მოხდებოდა მათი უფლებების ამ მხრივ გათანაბრება სისხლის სამართლის დანაშაულში ჩვეულებრივი ეჭვმიტანილების უფლებებთან). CPT სწამს, რომ თურქეთის ხელისუფლება უახლოეს მომავალში განახორციელებს კომიტეტის მიერ უკვე მრავალჯერ გაყვარებულ რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ყველა თავისუფლებაზეზღუდულ პირს, მათ შორის იმ ეჭვმიტანილებსაც, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულიც ხვდება სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციაში, დაკავებისთანავე მიეცემათ ადვოკატზე წვდომის უფლება.

...

46. უკვე აღინიშნა ის დადებითი საკანონმდებო ცვლილებები, რომელიც შეეხო ადვოკატზე წვდომისა და პირის დაკავების შესახებ ნათესავისადმი შეტყობინების უფლებას (იხ. პარაგრაფები 12-დან 14-მდე). მათ შემდგომაც გააუმჯობესეს უკვე შთამბეჭდავი საკანონმდებლო და მარეგულირებელი სტრუქტურა წამებისა და ძალადობის დასამარცხებლად. თუმცა, CPT ერთობ შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ არსებულ კოლექტიურ დანაშაულებში ეჭვმიტანილ დაკავებულ პირებს ისევ უარს ეუბნებიან იურთიერთონ ადვოკატთან დაკავების პირველი ორი დღის განმავლობაში; CPT -მ ნათლად გამოხატა საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში მე-12 პარაგრაფში.

ამასთანავე, სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს დანაშაულებში ეჭვმიტანილ პირთა უფლების შინაარსი დაამყარონ კონტაქტი ადვოკატთან, ნაკლებად კარგად განვითარებულია, ვიდრე ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა შემთხვევაში. კერძოდ, CPT მიერ დადგენილ შემთხვევებში, ამგვარ დანაშაულებში ეჭვმიტანილ პირებს ჯერ ისევ არ ეძლევათ უფლება დაისწრონ ადვოკატი პოლიციისადმი ჩვენების მიცემისას და რომ ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატის დანიშვნის პროცედურა მათზე არ ვრცელდება. ასევე, დებულება, რომელიც სავალდებულოდ ხდის 18 წლამდე პირთათვის ადვოკატის დანიშვნის სავალდებულოებას არ ვრცელდება სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების დანაშაულებში ეჭვმიტანილ დაკავებულ პირებზე. ამ მხრივ CPT იმეორებს საკუთარ რეკომენდაციას, რომელიც უკვე აისახა 1997 წლის ოქტომბრის ვიზიტის ანგარიშში, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე, 136-ე და 138-ე მუხლების შესაბამისი დებულებები უნდა გავრცელდეს იმ პირებზეც, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არსებული დანაშაულების ჩადენაში.”

**(ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია**

*(i) საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ*

41. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), მუხლი 14 § 3(ბ) მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ ყოველ პირს უნდა “ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოამზადოს დაცვა და შეხვედეს მის მიერ არჩეულ დამცველს”.

*(ii) გაერთიანებული ერების კომიტეტის წამების წინააღმდეგ*

42. თურქეთის მიმართ დასკვნებსა და რეკომენდაციებში, 2003 წლის 27 მაისს (CAT/C/CR/30/5), კომიტეტმა აღნიშნა შემდეგი:

“5. კომიტეტი ნუხილს გამოხატავს შემდეგი საკითხების ირგვლივ:

(გ) ბრალდებები მასზედ, რომ პოლიციაში დაკავებულ პირებს უარს ეუბნებიან სამართლებრივ და სამედიცინო დახმარების მეყსიერ და ადექვატურ წვდომაზე და რომ მათი ოჯახის წევრები არ არიან უმაღლეს ინფორმირებულნი მათი დაკავების შესახებ;

...

7. კომიტეტი ნევრ-სახელმწიფოს რეკომენდაციას უწევს რათა მან:

(ა) უზრუნველყოს რომ დაკავებულებმა, მათ შორის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ არებულ დანაშაულებისათვის დაკავებულმა პირებმაც, სრულად და პრაქტიკულად ისარგებლონ ძალადობრივი მოპყრობისა და წამების საწინააღმდეგო დაცვით, კერძოდ კი სამედიცინო და სამართლებრივი დახმარების და ოჯახთან კონტაქტის დამყარების გარანტირებული უფლებით;

...”

43. 2008 წლის 24 იანვრის (CAT/C/GC/2) ზოგად კომენტარში No. 2, კომიტეტმა აღნიშნა:

“ცალკეული საბაზისო გარანტიები ვრცელდება ყველა თავისუფლებაშეზღუდულ პირზე. რამდენიმე მათგანი ჩამოთვლილია კონვენციაში და კომიტეტი მუდმივად მოუწოდებს ნევრ სახელმწიფოებს მათი შესრულებისაკენ. კომიტეტის რეკომენდაციები ეფექტიანი ზომების შესახებ მიზნად ისახავს ახლანდელი სტანდარტის განმარტებას და თავისთავად არ არის ამომწურავი ხასიათის. ამგვარი გარანტიები მოიცავს, *inter alia*, ... უფლება დაუყოვნებლივ მიიღო დამოუკიდებელი სამართლებრივი დახმარება...”

**(გ) ევროპის კავშირი**

44. ფუნდამენტური უფლებების ქარტიის 48-ე მუხლი მიუთითებს, რომ “ნებისმიერი ბრალდებული პირის დაცვის უფლების პატივისცემა გარანტირებულია”. 52§3 მუხლი შემდგომ მიუთითებს, რომ 48-ე მუხლში გარანტირებული უფლება იგივე მნიშვნელობისა და მასშტაბისაა როგორც მისი ექვივალენტი უფლება, გარანტირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიერ.



## სამართალი

### I. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

#### ა. ადვოკატზე წვდომა პოლიციაში დაკავების დროს

45. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი დაცვის უფლება დარღვეული იყო პოლიციაში დაკავებისას ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე უარის განცხადებით. იგი ეყრდნობოდა კონვენციის 6 § 3 (გ) მუხლს, რომლის მიხედვითაც:

“3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

...

(გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.”

#### 1. პალატის გადანყვეტილება

46. 2007 წლის 26 აპრილის გადანყვეტილებით პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი 3(გ) პარაგრაფის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამ მხრივ მან აღნიშნა, რომ მომჩივანი წარმოდგენილი იყო სასამართლო პროცესსა და სააპელაციო წარმოებისას ადვოკატის მიერ და რომ მომჩივნის მიერ პოლიციისათვის მიცემული ჩვენება არ წარმოადგენდა მისი მსჯავრდების ერთადერთ საფუძველს. პალატის მიხედვით, მომჩივანს ჰქონდა საშუალება გაესაჩივრებინა პროკურატურის ბრალდებები იმგვარ პირობებში, რომელიც მას არ აყენებდა ოპონენტთან, *vis-à-vis*, არახელსაყრელ პირობებში. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივნის დამნაშავედ ცნობისას, იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებები, როდესაც მოხდა მომჩივნის დაკავება, ექსპერტის დასკვნა ბანერზე არსებულ ხელწერილთან დაკავშირებით და მოწმის ჩვენებები. აღნიშნულზე დაყრდნობით მან აღნიშნა, რომ მომჩივნის საქმის სამართლიანი განხილვაზე წინასწარი ნეგატიური გავლენა არ ჰქონია პოლიციაში დაკავების დროს იურიდიული დახმარების ნაკლებობას.

#### 2. მხარეთა არგუმენტები

##### (ა) მომჩივანი

47. მომჩივანმა გაასაჩივრა ის საფუძველები, რომელსაც პალატა დაეყრდნო კონვენციის მე-6 მუხლის 3(გ) პუნქტის არ დარღვევის დადგენისას. იგი ამტკიცებდა, რომ პოლიციაში დაკავების დროს ადვოკატის დახმარება ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენდა. მან შეახსენა სასამართლოს, რომ მის წინააღმდეგ გამოყენებული ყოველი სამხილი მოპოვებული იყო წინასწარი გამოძიების ეტაპზე, სწორედ მაშინ, როდესაც მას უარი ეთქვა ადვოკატის დახმარებაზე. მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ მართალია ეროვნულმა სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო, არ არსებობდა მტკიცებულება რომელიც მის ბრალს ადასტურებდა. მან აგრეთვე აღნიშნა პოლიციაში დაკავების დროს მის მიმართ განხორციელებული ცუდად მოპყრობის შესახებ და მიუთითა, რომ ჩვენებას ხელი პოლიციის ზეწოლის შედეგად მოაწერა. მოცემული ჩვენება გამოყენებულ იქნა იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო პროკურორისა და გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, ისევე როგორც სასამართლო მოსმენის დროს, მან ცალსახად უარყო იგი. მომჩივანი ასევე ხაზს უსვამდა, რომ იმ დროისათვის იგი არასრულწლოვანი გახლდათ და არ იყო ნასამართლევ. მის წინააღმდეგ წარმოყენებული ბრალდებების სერიოზულობის გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების არარსებობამ დაარღვია მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა ჯეროვანი მიზეზი, თუ რატომ იყო იურიდიული დახმარებაზე უარი გამართლებული.

(ბ) მთავრობა

48. მთავრობამ სთხოვა დიდ პალატას დასთანხმებოდა პალატის გადაწყვეტილებას მასზედ, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 3(გ) პუნქტის დარღვევას. მათ აღნიშნეს, რომ, პირველ რიგში, კანონმდებლობა შეიცვალა 2005 წელს. ამასთანავე, მათი არგუმენტაციის მიხედვით, მომჩივნის მიერ ადვოკატზე წვდომის უფლების შეზღუდვით არ დარღვეულა სამართლიანი სასამართლოს უფლება კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით. დაეყრდნო რა სასამართლო პრაქტიკას (კერძოდ კი, *Imbrioscia v. Switzerland*, 24 ნოემბერი 1993, Series A no. 275; *John Murray v. the United Kingdom*, 8 თებერვალი 1996, *Reports of Judgments and Decisions* 1996-I; *Averill v. the United Kingdom*, no. 36408/97, ECHR 2000-VI; *Magee v. the United Kingdom*, no. 28135/95, ECHR 2000-VI, და *Brennan v. the United Kingdom*, no. 39846/98, ECHR 2001-X), ისინი ამტკიცებდნენ, რომ იმის შეფასებისას თუ რამდენად სამართლიანი იყო საამართლო, ყურადღება უნდა მიექცეს სამართალწარმოების ერთიანობას. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი ადვოკატის მიერ იყო წარმოდგენილი იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოსა და საკასაციო სასამართლოს წინაშე წარმოებისას, მისი საქმის სამართლიანი მოსმენის უფლება არ დარღვეულა. მთავრობამ აქცენტი გააკეთა რამდენიმე თურქულ საქმეზე (*Saraç v. Turkey* (dec.), no. 35841/97, 2 სექტემბერი 2004; *Yurtsever v. Turkey* (dec.), no. 42086/02, 31 აგვისტო 2006; *Uçma and Uçma v. Turkey* (dec.), no. 15071/03, 3 ოქტომბერი 2006; *Ahmet Yavuz v. Turkey* (dec.), no. 38827/02, 21 ნოემბერი 2006, and *Yıldız and Sönmez v. Turkey* (dec.), nos. 3543/03 და 3557/03, 5 დეკემბერი 2006), სადაც სასამართლომ მსგავსი საჩივრები მიუღებლად ჩათვალა აშკარა დაუსაბუთებლობის გამო, რადგან პოლიციის ჩვენებები არ წარმოადგენდა ბრალდების მხარდამჭერ ერთადერთ მტკიცებულებას, შესაბამისდ, იურიდიული დახმარების ნაკლებობა პოლიციაში დაკავებისას არ წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

49. საქმის ფაქტებთან დაკავშირებით, მთავრობა აღნიშნავდა, რომ როდესაც მოხდამომჩივნის აყვანა პოლიციის მიერ, მას მოახსენეს დუმილის უფლების შესახებ და რომ შემდგომი სისხლის სამართლის პროცესის დროს მის ადვოკატს საშუალება ჰქონდა გაესაჩივრებინა პროკურატურის ბრალდებები. ისინი ასევე აღნიშნავდნენ, რომ მომჩივნის მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენება არ წარმოადგენდა მსჯავრდების ერთადერთ საფუძველს.

4. სასამართლოს შეფასება

(ა) წინამდებარე საქმეში გამოყენებადი ზოგადი პრინციპები

50. სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, სისხლისსამართლებრივი წარმოებისას მე-6 მუხლის პირველადი მიზანია, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა კომპეტენტური "სასამართლოს" მიერ "ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების" დადგენისას, თუმცა, აღნიშნული არ უნდა იქნას განხილული იმგვარად თითქოს, მე-6 მუხლი არ ვრცელდება წინასწარ გამოძიებაზე. შესაბამისად, მე-6 მუხლი -განსაკუთრებით კი მისი მე-3 ნაწილი - შეიძლება გამოყენებადი იყოს მანამდე, სანამ საქმე გაიგზავნება სასამართლო მოსმენაზე და იმდენად, რამდენადაც სასამართლოს სამართლიანობა სავარაუდოა მოხვდეს სერიოზული წინასწარი ნეგატიური გავლენის ქვეშ მის დებულებებთან თავდაპირველი დაუმორჩილებლობის გამო (*Imbrioscia*, ციტირებული ზემოთ, § 36). წინა გადაწყვეტილებებში სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტი არის ერთი ელემენტი, სხვათა შორის, რომელიც სისხლისსამართლებრივი წარმოებისას ასახავს 1 ნაწილში მითითებული სამართლიანი სასამართლოს ცნებას (*Imbrioscia*, ციტირებული ზემოთ, § 37, და *Brennan*, ციტირებული ზემოთ, § 45).

51. სასამართლო იმეორებს, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალდებისას, ყოველი პირის უფლება იყოს ეფექტიანად დაცული, საჭიროების შემთხვევაში მისთვის ოფიციალურად დანიშნული იურისტის მიერ, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს მართალია არა აბსოლუტურ, მაგრამ ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილს (*Poitrimol v. France*, 23 ნოემბერი 1993, § 34, Series A no. 277 A, და *Demebukov v. Bulgaria*, no. 68020/01, § 50, 28 თებერვალი 2008). მიუხედავად აღნიშნულისა, მე-6 მუხლის 3(გ) პუნქტი არ განსაზღვრავს მოცემული უფლების განხორციელების გზას.

შესაბამისად, იგი უტოვებს არჩევანის უფლებას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უზრუნველყონ მათ სამართლებრივ სისტემაში მოცემული საშუალებების არსებობა, სადაც სასამართლოს ფუნქციად მხოლოდ იმის დადგენა განისაზღვრება თუ რამდენად არის მათ მიერ არჩეული მეთოდი სამართლიან სასამართლოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ამ მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ კონვენცია შექმნილია “არა თეორიული ან ილუზორული უფლებების უზრუნველსაყოფად, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებებისათვის” და რომ ადვოკატის დანიშნვა, თავისთავად არ უზრუნველყოფს ბრალდებულისათვის დახმარების ეფექტიანობას (*Imbrioscia*, ციტირებული ზემოთ, § 38).

52. ეროვნული კანონმდებლობა შესაძლებელია დიდწილად დაეყრდნოს პოლიციაში დაკითხვის ადრეულ ეტაპზე გამოხატულ ბრალდებულის პოზიციას, რომელიც შემდგომი სისხლისსამართლებრივი წარმოებისას განმსაზღვრელი ხდება დაცვისათვის. ასეთ შემთხვევებში, მე-6 მუხლი ჩვეულებრივ ითხოვს, რომ ბრალდებულს ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით პოლიციაში დაკითხვის ადრეული ეტაპიდანვე. თუმცა მოცემული უფლება, ჯერ-ჯერობით ითვლება, რომ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს ჯეროვანი მიზეზების არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, ყოველ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რამდენად არის შეზღუდვა გამართლებული და, თუ არის, სამართალწარმოების ერთიანობაში განხილვისას, ხომ არ დაირღვა ბრალდებულს საქმის სამართლიანი მოსმენა, რადგან შესაძლებელია გამართლებულმა შეზღუდვამაც კი გამოიწვიოს აღნიშნული შედეგი გარკვეულ პირობებში (იხ. *John Murray*, ციტირებული ზემოთ, §63; *Brennan*, ციტირებული ზემოთ, § 45, და *Magee*, ციტირებული ზემოთ, § 44).

53. მოცემული პრინციპები, განხილული ზემოთ §52, შეესაბამება ზოგადად აღიარებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს (იხ. ზემოთ პარაგრაფები 37-42), რომელიც წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს საფუძვლებს და რომელთა მიზანიც გახლავთ ბრალდებულის დაცვა ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი იძულებისაგან. ისინი ამასთანავე ხელს უწყობენ უსამართლობის პრევენციას და მე-6 მუხლის მიზნების განხორციელებას, კერძოდ კი მხარეთა თანასწორობას საგამოძიებო და ბრალმდებელ ორგანოებსა და ბრალდებულს შორის.

54. ამ მხრივ, სასამართლო ხაზს უსვამს საგამოძიებო ეტაპის მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი წარმოებისათვის, რადგანაც მოცემულ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებანი განსაზღვრავს იმ ფორმატს, რომელშიც ხდება ბრალდების სასამართლო განხილვა (*Can v. Austria*, no. 9300/81, კომისიის ანგარიში 1984 წლის 12 ივლისი, § 50 Series A no. 96). ამასთანავე, მოცემულ ეტაპზე, ბრალდებულის ხშირად აღმოჩნდება ხოლმე მონყვლად ვითარებაში, რომელიც კიდევ უფრო მძიმდება იმ ფაქტით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ერთობ კომპლექსურია, განსაკუთრებით კი მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოყენების კუთხით. უმეტეს შემთხვევაში, მოცემული მონყვლადობა შესაძლებელია ჯეროვნად კომპენსირებულ იქნას ადვოკატის დახმარებით, რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს, სხვა მრავალს შორის, დაეხმაროს ბრალდებულს უზრუნველყოს პატივისცემა მისი უფლებისადმი, არ მისცეს საკუთარი თავის სანინააღმდეგო ჩვენება. მოცემული უფლება ითხოვს, რომ სისხლისსამართლებრივ საქმეში ბრალდების მხარე ილწოდეს დაამტკიცოს ბრალდებულის დამნაშავეობა იმ მტკიცებულებათა გამოყენების გარეშე, რომელიც მოპოვებულ იქნა იძულების ან ბრალდებულის ნების აშკარა უგულვებელყოფის გზით (იხ. *Jalloh v. Germany* [GC], no. 54810/00, § 100, ECHR 2006-..., და *Kolu v. Turkey*, no. 35811/97, § 51, 2 აგვისტო 2005). ადვოკატზე ადრეული წვდომა წარმოადგენს პროცედურული დაცვის განუყოფელ ნაწილს, რომელსაც სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმის დადგენისას თუ რამდენად ჩაახშო პროცედურამ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არ მიცემის არსი (იხ. *mutatis mutandis*, *Jalloh*, ციტირებული ზემოთ, § 101). ამ მხრივ სასამართლო ითვალისწინებს CPT რეკომენდაციებს (პარაგრაფები 39-40, ზემოთ), სადაც კომიტეტმა მრავალგზის აღნიშნა, რომ დაკავებულის უფლება იურიდიულ დახმარების მიღებაზე წარმოადგენს ფუნდამენტურ დაცვას ძალადობრივი მოპყრობის წინააღმდეგ. მოცემული უფლებით სარგებლობის ნებისმიერი გამოწვევის უნდა იყოს ნათლად შემოფარგლული და დროში შეზღუდული. მოცემული პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერიოზული ბრალდების შემთხვევაში, რადგანაც დემოკრატიულ საზოგადოებაში მძიმე სასჯელის განხილვისას სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად.

55. მოცემულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, იმისათვის რომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება იყოს საკმარისად “პრაქტიკული და ეფექტიანი” (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 51), მე-6 მუხლის 1 პარაგრაფი მოითხოვს, რომ, ჩვეულებისამებრ, ადვოკატზე წვდომა უზრუნველყოფილ იქნას პოლიციაში ეჭვმიტანილის პირველივე დაკითხვისას; გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ყოველი საქმის გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით დასტურდება, რომ არსებობს მოცემული უფლების შეზღუდვის დაუძლეველი მიზეზები. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დაუძლეველი მიზეზები, გამონაკლის შემთხვევებში, ამართლებს ადვოკატზე წვდომის შეზღუდვას, ამგვარი შეზღუდვა – მიუხედავად მისი მართებულობისა – არ უნდა წარმოადგენდეს მე-6 მუხლით დაცული ბრალდებულის უფლებების არაჯეროვან დაზარალებას (იხ. *mutatis mutandis*, *Magee*, ციტირებული ზემოთ, § 44). დაცვის უფლებები გამოუსწორებლად დაზიანდება, როდესაც ადვოკატზე წვდომის გარეშე, პოლიციაში დაკითხვისას საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ მიცემული ჩვენება გამოყენებულია მსჯავრდებისათვის.

(ბ) აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

56. მოცემულ საქმეში, მომჩივნის ადვოკატზე წვდომის უფლება შეიზღუდა პოლიციაში დაკავების დროს, No. 3842 კანონის 31-ე მუხლის საფუძველზე, რადგანაც იგი ეჭვმიტანილი გახლდათ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციაში არსებული დანაშაულის ჩადენაში. შედეგად პოლიციაში, საჯარო პროკურორისა და გამომძიებელი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემის დროს მას არ ჰყავდა ადვოკატი. მომჩივნისათვის ადვოკატის წვდომის შეზღუდვის გამამართლებელი მიზეზი, გარდა იმისა, რაც სისტემატურად გამოიყენება მოცემული სამართლებრივი დებულებების შემთხვევაში, არ მოუხსენებიათ. შედეგად, მოცემული ფაქტი უკვე არ შეესაბამება მე-6 მუხლის მიერ ამ მხრივ დადგენილ, და 52-ე პარაგრაფში მითითებულ, მოთხოვნებს.

57. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს ჰყავდა ადვოკატი წინასწარი პატიმრობისას. შემდგომი სისხლის სამართლის პროცესის დროს, მას შეეძლო მოწმეთა მოწვევა საკუთარი სახელით და შესაძლებლობა ჰქონდა შეწინააღმდეგებელიყო ბრალდების არგუმენტებს. ასევე აღსანიშნავია, რომ მომჩივანი მუდმივად, სასამართლოზეც და აპელაციისასაც, უარყოფდა პოლიციაში მის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსს. თუმცა, საქმის მასალებიდან აშკარაა, რომ გამოძიება დიდწილად უკვე დასრულებული იყო მანამდე სანამ მომჩივანი წარსდებოდა გამომძიებელი მოსამართლის წინაშე 2001 წლის 1 ივნისს. მეტიც, იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ, საქმის არებით განხილვამდე, არა მარტო არ განიხილა მომჩივნის მიერ პოლიციაში დაკავების დროს მიცემული ჩვენებების დასაშვებობა, არამედ მსჯავრდებისას მთავარ მტკიცებულებად გამოიყენა მომჩივნის მიერ პოლიციისადმი მიცემული ჩვენება, მიუხედავად მის მიერ ამ უკანასკნელის სისწორის უარყოფისა (იხ. პარაგრაფი 23, ზემოთ). ამ მხრივ, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის მსჯავრდებისას, იზმირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ, ფაქტიურად, მის წინაშე არსებული მტკიცებულება გამოიყენა მომჩივნის მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენების დასადასტურებლად. მოცემული მტკიცებულება მოიცავდა 2001 წლის 1 ივლისის ექსპერტის ანგარიშს, ისევე როგორც სხვა ეჭვმიტანილთა მიერ პოლიციაში და საჯარო პროკურორის წინაშე მიცემულ ჩვენებებს. ამ მხრივ, სასამართლოს გასაოცრად მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ხსენებული ექსპერტის დასკვნა მომჩივნის სასარგებლო იყო, რადგანაც აღნიშნავდა, რომ შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად ემთხვეოდა ბანერზე არსებული ხელწერა მომჩივნის ხელწერას (იხ. პარაგრაფი 15, ზემოთ). ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა თანამოპასუხემ, რომლებმაც პოლიციაში და საჯარო პროკურორის წინაშე მომჩივნის საწინააღმდეგო ჩვენება მისცეს, შემდგომ, სასამართლო სხდომაზე, უარყვეს საკუთარი ჩვენებები და იუარეს დემონსტრაციაში მონაწილეობა.

58. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მომჩივანზე უდაოდ იმოქმედა ადვოკატზე წვდომის შეზღუდვამ, რადგანაც მის მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენება მის საწინააღმდეგოდ იქნა გამოყენებული. ვერც ადვოკატის შემდგომმა დახმარებამ და ვერც სამართალწარმოების დაპირისპირებულმა ხასიათმა ვერ გამოასწორა ის ზიანი, რომელიც მოსარჩელეს პოლიციაში დაკავების დროს მიადგა. თუმცა, სასამართლოს საქმე არ გახლავთ იმით სპეკულირება, თუ რა შედეგს იქონიებდა შემდგომ სამართალწარმოებაზე ის ფაქტი, პოლიციაში დაკავების დროს მომჩივანს ადვოკატზე წვდომა რომ ჰქონოდა.

59. სასამართლო შემდგომ აღნიშნავს, რომ არც ფორმულირებით და არც შინაარსით კონვენციის მე-6 მუხლი არ ეწინააღმდეგება პირის უფლებას თავად, საკუთარი ნებით, პირდაპირ ან ირიბად, განაცხადოს უარი სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე (იხ. *Kwiatkowska v. Italy* (dec.), no. 52868/99, 30 ნოემბერი 2000). თუმცა, იმისათვის რომ ეს უკანასკნელი, კონვენციის მიზნების შესაბამისად ეფექტიანი იყოს, სასამართლო განხილვაში მონაწილეობაზე უარი უნდა იყოს აშკარად გამოხატული და თან უნდა ახლდეს ისეთი მინიმალური გარანტიები, რომელიც შეესაბამება მის მნიშვნელობას (იხ. *Sejdic v. Italy* [GC], no. 56581/00, § 86, ECHR 2006-...; *Kolu*, ციტირებული ზემოთ § 53, და *Colozza v. Italy*, 12 თებერვალი 1985, § 28, , Series A no. 89). შესაბამისად, წინამდებარე საქმეში ვერ დავუფიქრებთ მტკიცებას, რომ უფლებების აღმწერი ფორმის საშუალებით მომჩივანს შეატყობინეს დუმის უფლების შესახებ (იხ. პარაგრაფი 14, ზემოთ).

60. საბოლოოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ელემენტს წარმოადგენს მომჩივნის ასაკი. საერთაშორისო სამართლის შესაბამისი დოკუმენტების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება პოლიციაში დაკავებულ არასრულწლოვანთათვის სამართლებრივ დახმარებას (იხ. პარაგრაფები 32-36 ზემოთ), სასამართლო ხაზს უსვამს არასრულწლოვანი დაკავებული პირისათვის ადვოკატზე წვდომის ფუნდამენტურ მნიშვნელობას.

61. მოცემულ საქმეში, როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული, სახელმწიფო უშიშროების სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ არსებული დანაშაულის შემთხვევაში, ადვოკატზე წვდომის უფლების შეზღუდვა სისტემატიურ ხასიათს ატარებდა და ვრცელდებოდა პოლიციაში დაკავებულ ყველა პირზე, მიუხედავად მათი ასაკისა.

62. დასკვნის სახით სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს ჰქონდა საშუალება გაესაჩივრებინა მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებანი სასამართლო მოსმენისას და, შემდეგ, აპელაციის დროს, პოლიციაში დაკავების პერიოდში ადვოკატის არ ყოფნამ გამოუსწორებელი გავლენა მოახდინა მის დაცვის უფლებებზე.

**(გ) დასკვნა**

63. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტის დარღვევას კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილთან ერთობლიობაში.

**ბ. საკასაციო სასამართლოში მთავარი საჯარო პროკურორის წერილობითი მოსაზრების მიუწოდებლობა**

64. მომჩივანი ჩიოდა საკასაციო სასამართლოში მთავარი საჯარო პროკურორის წერილობითი მოსაზრების მისთვის მიუწოდებლობის შესახებ. ამ მხრივ იგი ეყრდნობდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილს, რომლის შესაბამისი ნაწილიც მიუთითებს:

“ყოველი ადამიანი ... სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გარკვევისას აღჭურვილია ... სასამართლოს მიერ ... სამართლიანი ... განხილვის უფლებით...”

**1. პალატის გადაწყვეტილება**

65. 2007 წლის 26 აპრილის განაჩენში პალატამ დაადგინა, რომ საქმეზე არსებული განმტკიცებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოში, მთავარი საჯარო პროკურორის წერილობითი მოსაზრების მომჩივნისათვის მიუწოდებლობა წარმოადგენდა საქმისწარმოების შეჯიბრებითობის დარღვევას. შესაბამისად, პალატამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილის დარღვევას.

## 2. მხარეთა არგუმენტები

66. მხარეებს არ წარმოუდგენიათ შემდომი არგუმენტები მოცემულ საკითხზე.

## 3. სასამართლოს შეფასება

67. სასამართლო მიიჩნევს, რომ პალატის მიერ განხილული მიზეზების გათვალისწინებით, ადგილი ჰქონდა მომჩივნის შეჯიბრებითი სამართალწარმოების უფლების დარღვევას. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილი.

## III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

68. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია ან მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს მიაკუთვნებს სამართლიან დაკმაყოფილებას.”

### ა. მატერიალური ზიანი

#### 1. მხარეთა არგუმენტები

69. მომჩივანი ითხოვდა 5,000 ევროს მატერიალური ზიანისათვის, ხოლო 10,000 ევროს მორალური ზიანისათვის.

70. მთავრობა მიუთითებდა, რომ მომჩივნის მოთხოვნა უსაფუძვლო და გადამეტებული იყო.

#### 2. პალატის გადაწყვეტილება

71. პალატამ არ დააკმაყოფილა მატერიალური კომპენსაციის მოთხოვნა, მიუთითა რა, რომ მომჩივანმა ვერ დაასაბუთა მოთხოვნა. მან აღნიშნა, რომ დარღვევის დადგენა, თავისთავად წარმოადგენდა მომჩივნის მიერ განცდილი ნებისმიერი მორალური ზიანის დაკმაყოფილებას.

#### 3. სასამართლოს შეფასება

72. სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის 1 ნაწილის დარღვევის გამოსწორების ყველაზე შესაფერის ფორმას წარმოადგენდა იმის უზრუნველყოფა, რომ მომჩივანი, შესაძლებლობის ფარგლებში, დაბრუნდეს იმ პოზიციაში, რომელშიც იგი იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო მოცემული მუხლის უგულებელყოფა (იხ. *Teteriny v. Russia*, no. 11931/03, § 56, 30 ივნისი 2005; *Jelić v. Bosnia and Herzegovina*, no. 41183/02, § 53, ECHR 2006-..., და *Mehmet and Suna Yiğit v. Turkey*, no. 52658/99, § 47, 17 ივლისი 2007). სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული პრინციპი წინამდებარე საქმეზეც ვრცელდება. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ დაკმაყოფილების სათანადო ფორმას წარმოადგენს მომჩივნის საქმის ხელახალი სასამართლო განხილვა, რომელიც განხორციელდება კონვენციის მე-6 მუხლის 1 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, იმ პირობით, რომ მომჩივანს სურს საქმის ხელახალი განხილვა (იხ. *mutatis mutandis*, *Gençel v. Turkey*, no. 53431/99, § 27, 23 ოქტომბერი 2003).

73. რაც შეეხება დანარჩენ მორალურ ზიანს, სამართლიან საწყისებზე გადაწყვეტილების მიღებისას, იგი მომჩივანს მიაკუთვნებს 2,000 ევროს.

## ბ. ხარჯები

### 1. მხარეთა არგუმენტები

74. ეროვნული და პალატის წინაშე სამართალწარმოების ასანაზღაურებლად მომჩივანი ითხოვდა 3,500 ევროს ანაზღაურებას, აღნიშნული მოთხოვნის გამამყარებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. აღსანიშნავია, რომ მომჩივანს არ შეუცვლია მისი პირველადი მოთხოვნა პალატის წინაშე, თუმცა წარმოადგინა იურიდიული დახმარების მოთხოვნა დიდი პალატის წინაშე განეული ხარჯებისათვის.

75. მთავრობამ სადავოდ გახადა მოცემული მოთხოვნა და აღნიშნა, რომ იგი დაუსაბუთებელი იყო.

### 2. პალატის გადაწყვეტილება

76. პალატამ მომჩივანს მიაკუთვნა 1,000 ევრო სასამართლო ხარჯებისათვის.

### 3. სასამართლოს შეფასება

77. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ისარგებლა იურიდიული დახმარებით დიდი პალატის წინაშე წარმოების ხარჯების ასანაზღაურებლად. შედეგად, ხარჯები მოიცავს მხოლოდ ეროვნული სასამართლოებისა და პალატის წინაშე განეულ ხარჯებს.

78. სასამართლოს განმტკიცებული პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო ხარჯების მიკუთვნებას 41-ე მუხლის საფუძველზე ადგილი არ ექნება, თუკი არ დადგინდება, რომ ხარჯები რეალური და საჭირო იყო და რომ განეულ იქნა გონივრული ოდენობით. ასევე, სასამართლო ხარჯები ანაზღაურდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დადგინდება დარღვევა (იხ. სხვა მრავალს შორის, *Beyeler v. Italy* (სამართლიანი დაკმაყოფილება) GC], no. 33202/96, § 27, 28 May 2002, და *Sahin v. Germany* [GC], no. 30943/96, § 105, ECHR 2003-VIII).

79. ზემოთმოცემულის გათვალისწინებით, სასამართლო მომჩივანს უკმაყოფილებს პალატის მიერ უკვე მიკუთვნებულ ოდენობას, კერძოდ კი 1,000 ევროს.

## გ. საურავი

80. სასამართლო თვლის, რომ საურავი უნდა განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

## ამის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ მომჩივნის პოლიციაში დაკავების დროს იურიდიული დახმარების ნაკლებობის გამო დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) ნაწილი კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილთან ერთობლიობაში;
2. ადგენს, რომ საკასაციო სასამართლოში მთავარი საჯარო პროკურორის წერილობითი მოსაზრების მომჩივნისათვის მიუწოდებლობით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 ნაწილი.
3. ადგენს:
  - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის განმავლობაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს შემდეგი ოდენობა, კონვერტირებული ახალ თურქულ ლირებში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად:
    - (i) 2,000 ევრო (ორი ათასი ევრო), დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს არამატერიალურ ზიანთან მიმართებაში;
    - (ii) 1,000 ევრო (ერთი ათასი ევრო), დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს სასამართლო ხარჯების ანაზღაურებასთან მიმართებაში;
  - (ბ) რომ ზემოხსენებული სამი თვის გასვლიდან ანაზღაურებამდე, თანხას დაეკისრება საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.
4. უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში 2008 წლის 27 ნოემბერს.

**ვინსენტ ბერჟერ**

იურის კონსული

**ნიკოლას ბრატცა**

პრეზიდენტი





ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა  
ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილებები



